პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!
წელიწადი მეექვსე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის კომიტეტების
— და —
სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან ღამის 12 საათამდე
ტელეფონები: რედაქტორის 14—76, მდივანის 10—58, ღამის მორიგეს 13—80

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, 84, ტელეფონი № 8—81
ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთათვის 90 კ., დანარჩენებისათვის—1 მ. და 20 კ., განცხადებები: ნონპარელის სტრიქონი—40 კაპ. ტექსტში—ორჯერ მეტი, სამგლოვიარო—10—15—20 მან. დოკუმენტების დაკარგვა—1 მ., განცხადებების მიღება სწარმოებს შუადღის 4 საათამდე.
სტამბის ტელეფ. 13—80 ექსპედ. 5—43.

დ ღ ი უ რ ი

- გუშინ გაემგზავრა გერმანიაში შვებულებაში წასული საგარეო საქმ. სახ. კომისარი ამხ. ჩიჩერინი.
- საფრანგეთის ელჩმა ამერიკაში—ბერანჟემ უარი განაცხადა თავის თანამდებობაზე.
- პოლონეთში ჩავიდა ცნობილი მწერალი კლოდ ფარერი.
- შვეციაში გაფიცვა გამოაცხადა 5 ათასმა მუშამ.
- მუსოლინის განკარგულებით ყველა კომუნისტ-დელეგატები მოთავსებული არიან ციხეებში.
- პარიზში გაიმართა მუშათა მასიური დემონსტრაციები.

ხუთშაბათი, 25 ნოემბერი 1926 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 270 (1725)

ლონდონში გარდაიცვალა ამხ. ლეონიდ ბორისის-ძე კრასინი



ამხ. კრასინი

ამხ. კრასინის გარდაცვალება

ლონდონი, 24 ნოემბერი. 24 ნოემბერს დილის 4 საათზე და 40 წუთზე ლონდონში გულის სიდამბლისაგან გარდაიცვალა საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენელი ინგლისში ამხ. კრასინი. (ადს).

საკავშირო მთავრობისაგან

მოსკოვი, 24 ნოემბერი. 23 ნოემბრიდან 24 ნოემბერს, ღამით, გულის სიდამბლით ლონდონში გარდაიცვალა საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენელი ლონდონში ამხ. ლეონიდ ბორისის ძე კრასინი. საბჭოთა კავშირის მთავრობამ ამხ. კრასინის სახით დაკარგა ერთი თავისი გამოჩენილი მოღვაწეთაგანი, გამოცდილი მუშაკი სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის სხვა და სხვა დარგში, საუკეთესო სპეციალისტი და ამავე დროს მუშათა კომუნისტური მოძრაობის ერთი უძველესი მოღვაწეთაგანი. აფასებდა რა განსვენებულის დიდ ცოდნას და მუშაობის უნარს, საბჭოთა კავშირის მთავრობა აგზავნიდა მას ყველაზე უფრო საპასუხისმგებლო და მნიშვნელოვან პოსტებზე.

საბჭოთა კავშირის მშრომელი მასები, რომელთათვისაც ამხ. კრასინის სახელი საკმაოთ ცნობილია, ინაწილებენ მთავრობის გლოვას ამ დიდი დანაკლისის გამო. (ადს).

ს. ს. რ. კ. ცაკის პრეზიდიუმისაგან

მოსკოვი, 24 ნოემბერი. საბჭოთა კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი ღრმა მწუხარებით იუწყება საბჭოთა კავშირის ცაკის წევრის და ინგლისში სრულუფლებიანი წარმომადგენლის ამხ. ლეონიდ ბორისის ძე კრასინის გარდაცვალებას ლონდონში მიმდინარე 24 ნოემბრის დილის 4 საათსა და 40 წუთზე.

ამხ. ლეონიდ ბორისის ძე კრასინის ნეშთის გადმოსვენებისა და დაკრძალვის წესის შესახებ გამოცხადებული იქნება ცალკე სპეციალური კომისიის მიერ. (ადს).

ძველი მეგობრის ხსოვნა

გარდაიცვალა ჩვენი კომუნისტური პარტიის ერთი უძველესი წევრთაგანი, ერთი გონიერთაგანი, ენერგიული, გაბედული და საუკეთესო ჩვენი ამხანაგთაგანი —ლეონიდ ბორისის ძე კრასინი. გარდაიცვალა ჩვენგან მოშორებით, მოშორებით მისთვის მეტად საყვარელი რუსეთისაგან, საბჭოთა ქვეყნისაგან, დიადი ბრძოლის. დიდ სიძნელეთა, დიდ მიღწევათა, მაგრამ კიდევ უფრო დიდ მომავლის მქონე ქვეყნისაგან, იმ მომავლის, რომელიც ღრმად სწამდა ამხ. კრასინს.

ყველა ძველ ამხანაგ ბოლშევიკში მწვავე გულის ტკივილს გამოიწვევს „ნიკიტიჩის“ გარდაცვალება, რომელიც ერთი საუკეთესო მოღვაწეთაგანი იყო ბოლშევიკების პარტიის ორგანიზაციისა და აღმშენებლობისა, მისი ისტორიის ყველაზე უფრო მძიმე პერიოდში.

ლეონიდ ბორისის ძე პირველად შევხვდი ბაქოში 1901 წლის გაზაფხულზე. პირველ მომენტშივე, როგორც კი გაიგო ჩვენი მაშინდელი ჯერ კიდევ ახალგაზრდა არალეგალური ორგანიზაციის მუშაობის შესახებ, მან ენერგიული დახმარება გაგვიწია ყველაფერში.

ჩვენი პარტიის მეორე ყრილობის შემდეგ იგი ცენტრი გახდა პარტიის ყოველგვარი, განსაკუთრებით კონსპირატიული, სერიოზული მუშაობისა — იგი შოულობდა თანხებს, გვეხმარებოდა რჩევით და ხელმძღვანელობით. კონსპირატიული ტეხნიკისა და ორგანიზაციის დარგში ამხ. ლეონიდ ბორისისძე საოცარი უნარიანი, მოხერხებული, გაბედული იყო; მას სწრაფად შეეძლო გამოსავალის მონახვა უძნელესი მდგომარეობიდან. იგი იყო განსაკუთრებული ენერგიის ადამიანი, მეტად განათლებული, ყოველთვის გამსჭვალული შეურყეველი რწმენით, რომ აუცილებლად გაიმარჯვებს ის საქმე, რომლისთვისაც იგი იბრძოდა. ამხ. კრასინი ასეთივე რწმენით ავსებდა ყველა იმათ, ვინც მასთან მუშაობდა. ყოველივე ამასთან ერთად ამხ. ლეონიდ ბორისისძე იყო მშვენიერი ამხანაგი, გრძნობიერი, პირდაპირი, მისთვის სრულიად უცხო იყო წვრილმანობა, ორჭოფობა, გულჩახვეულობა. ყველა ძველმა ბოლშევიკებმა იციან, რომ ლეონიდ ბორისისძეს ჯერ კიდევ 1905 წლამდე შეეძლო თანხების შოვნა ისე, რომ არ მიემართა პარტიისათვის სათაკილო, სახელის გამტეხი საშუალებებისათვის. ყველა ძველმა ამხანაგებმა იციან, თუ რა კარგად შეეძლო მას გასათევი ბინების შოვნა არალეგალურად მომუშავეთათვის, მოწესრიგება კავშირისა, ამხანაგებს შორის ურთიერთობისა და სხვ.

პარტია და კერძოდ ლენინი იცნობდა ამხ. კრასინის ამ თვისებებს და მას ყოველთვის თვალსაჩინო ადგილი ეჭირა ჩვენი პარტიის ცენტრალურ დაწესებულებებში. გარდა ამისა, ამხ. ლეონიდ ბორისისძე იყო საუკეთესო ინჟენერ ტეხნიკოსი და სამეურნეო მუშაკი. ამ მხრივ მას ბევრი მოიგონებს და დააფასებს.

პარტიისა და სახელმწიფოსათვის ამხ. კრასინის დაკარგვა განსაკუთრებით საგრძნობი იქნება. ჩვენ, მისმა მეგობრებმა და ამხანაგებმა ვიცოდით, რომ ლეონიდ ბორისისძე შებოჭა მძიმე სენმა—სისხლის ნაკლულოვანებამ, მაგრამ როდესაც მთელი სულითა და გულით სდევნი სიკვდილს ძვირფასი ამხანაგისაგან, იგი ყოველთვის ანაზდეულად, სწრაფად გვტაცებს მის სიცოცხლეს.

ყოველთვის ცეცხლით ანთებულს, ენერგიულს, წარმოსადეგ, ლამაზ ლეონიდ ბორისისძეს არ სურდა შერიგებოდა ავადმყოფობას, რომელმაც იგი ასე სწრაფად დაასნეულა. მას მეტად დიდი სურვილი ჰქონდა, რომ სამუშაოს დაბრუნებოდა. იგი ამასწინად მწერდა ამის შესახებ; და როგორც კი ოდნავ გაუმჯობესდა მისი ჯანმრთელობა, იგი მაშინვე გაემგზავრა ლონდონში და დაიწყო მუშაობა. ეხლა ჩვენ მხოლოდ მის ცხედარს მივიღებთ, რომ დავკრძალოთ და სამუდამოთ გამოვეთხოვოთ მას.

რა მძიმეა ძველი ამხანაგის, მეგობრის დაკარგვა. დროა, შევეჩვიოთ ამას ჩვენ, რომლებმაც დავკარგეთ ამდენი მახლობელი ამხანაგები, ბრძოლისა და სიხარულის წლებით ჩვენთან შეკავშირებულნი. სიკვდილს სიბრალული არა აქვს, გული კი — ქვა არ არის.

მშვიდობით, ძვირფასო მეგობარო!

კიდევ ბევრი დარჩა შენი მეგობრები, აქაც, ბაქოშიც, საქართველოშიაც, რომლებმაც გაგიცნეს შენ ჯერ კიდევ მეოთხედი საუკუნის წინედ, რომელნიც ყოველთვის მოგიგონებენ შენ, როგორც საუკეთესო ამხანაგს და ადამიანს.

ა. ენუქიძე.

გადმოცემულია ტელეგრაფით.
მოსკოვი, 24 ნოემბერი.

ამხ. კრასინის ხსოვნა

ტელეგრაფმა სამწუხარო ამბავი მოგვიტანა: გუშინ დილით ლონდონში გარდაიცვალა ჩვენი პარტიის ერთ-ერთი გარდაიცვალა ჩვენი პარტიის ერთ-ერთი გამოჩენილი და უძველესი წევრი—საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენელი ინგლისში და საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას წევრი ამხ. **ლეონიდ ბორისისძე კრასინი.** ვიცოდით, რომ უკანასკნელ დროს ამხ. კრასინს განუკურნებელი სენი (ანემია) დასჩემდა. ლეონიდ ბორისისძის სიკვდილით ჩვენ გვშორდება საკავშირო კომპარტიის (ბ) კიდევ ერთი უძველესი მოღვაწე, ჩვენი პარტიის ძველი სახელოვანი გვარდიის ერთ-ერთი წარმომადგენელი და ლენინის უშუალო თანამებრძოლი. კრასინი ეკუთვნოდა რევოლუციონურ სოციალ-დემოკრატ - მარქსისტების იმ თაობას, რომელმაც პირველი საძირკველი ჩაუყარა სოციალ - დემოკრატიულ მუშათა პარტიას რუსეთში მე, რასაკვირველია, აქ არ ვფიქრობ ამ გამოჩენილ რევოლუციონურ მოღვაწის ბიოგრაფიის აწერას. აღვნიშნავ მხოლოდ რამოდენიმე მომენტს მისი ცხოვრებიდან.

კრასინმა რევოლუციონური მუშაობა დაიწყო გასული საუკუნის 90-ან წლებში ის შევიდა იმ წრეში, რომელიც დაარსებული იყო ბრუსნევის მიერ პეტერბურგში 1890 წელს. მას შემდეგ ის ათეული წლის განმავლობაში თითქმის განუწყვეტლივ მუშაობდა რევოლუციონურ ასპარეზზე და ამ ხნის განმავლობაში ის არა ერთხელ ჰჯდარა ციხეებში და არა ერთხელ ყოფილა გადასახლებული აღმოსავლეთ ციმბირში. 1900 წლიდან კრასინი მუშაობდა ბაქოში, როგორც ინჟენერი და ამავე დროს აქტიურ და უახლოეს მონაწილეობას იღებდა ადგილობრივ არალეგალურ სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციის მუშაობაში. ბაქოში ის დარჩა 1904 წლამდე; აქ მან განსაკუთრებით ხელი შეუწყო არალეგალურ სტამბის მოწყობას, სადაც სხვათაშორის იბეჭდებოდა ცნობილი გაზეთი „ისკრა“, რომელსაც უმთავრესად ლენინი რედაქტორობდა. ეს სტამბა, როგორც ცნობილია, დაარსებული იყო ამხ. **ლ. კეცხოველის** და აბ. ენუქიძის მიერ.

ჩვენი პარტიის მეორე ყრილობის შემდეგ კრასინი შეყვანილი იქნა წევრად რუსეთის სოციალ - დემოკრატიული მუშათა პარტიის ცეკაში. ის აქტიურ მონაწილეობას იღებდა აგრეთვე ჩვენი პარტიის მე-3-ე ყრილობის მოწყობაში, თვით ყრილობაზედაც მან საკმაო დიდი როლი ითამაშა. ის ამ ყრილობაზე ლენინთან შეთანხმებით გამოდიოდა მთელ რიგ ორგანიზაციულ და ტაქტიკურ საკითხების გასაშუქებლად. სწორედ ამიტომ ის ხელახლა იქნა არჩეული ცეკას წევრად, როგორც რევოლუციონურ 1905 წელს, ისე რუსეთის პირველი რევოლუციის დამარცხების შემდგომ წლებში კრასინი არალეგალურ პარტიულ მუშაობას აწარმოებს, როგორც რუსეთში, ისე საზღვარგარეთ. მაგრამ მას შემდეგ, რაც რევოლუციის დამარცხება ფაქტი გახდა, კრასინი, რომელიც დარჩა საზღვარგარეთ და რომელმაც ვერ ჰპოვა სათანადო პარტიული სამუშაო, იძულებული ხდება დროებით შესწყვიტოს პარტიული მუშაობა და თავის სპეციალურ საინჟენერო დარგში იმუშაოს და მისდა სასახელოდ უნდა აღინიშნოს, რომ მან ამ დარგშიაც თავი გამოიჩინა, როგორც კარგმა სპეციალისტმა. 1917 წლის რევოლუციის შემდეგ ბოლშევიკურმა პარტიამ ლენინის სახით კვლავ მოიწვია ის რევოლუციისა და მუშათა კლასის სამსახურისათვის. მას შემდეგ პარტია და საბჭოთა ხელისუფლება ყოველთვის აყენებენ მას საპასუხისმგებლო პოსტებზე, აკისრებენ მას უმნიშვნელოვანეს დავალებებს. კრასინს განსაკუთრებით აფასებდა ამხ. ლენინი. თავისი ცოდნითა და გამოცდილებით კრასინი პარტიასა და საბჭოთა ხელისუფლებას დიდ სამსახურს უწევდა, როგორც ორგანიზატორი სამეურნეო ფრონტზე და აგრეთვე როგორც დიპლომატი ბურჟუაზიულ მთავრობებთან მოლაპარაკების წარმოებაში. ის იყო სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს წევრი, გზათა სახალხო კომისარი, წითელი არმიისათვის სურსათ - სანოვაგის მიმწოდებელ საგანგებო კომისიის თავმჯდომარე, საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარი და შემდეგ კი დიპლომატიურ ასპარეზზე ის უახლოეს მონაწილეობას იღებს ყველა თათბირებში და კონფერენციებზე უცხოეთის სახელმწიფოებთან. 1924 წელს ის დაინიშნა სრულუფლებიან წარმომადგენლად პარიზში, ხოლო 1925 წლის ბოლოს ის ამავე თანამდებობაზე ინიშნება ლონდონში. ამ საშინელ სენს რომ მისთვის ბოლო არ მოეღო, ლ. ბ. კრასინს შეეძლო კიდევ ბევრი სამსახური გაეწია როგორც პარტიის, ისე საბჭოთა ხელისუფლებისათვის. ჩვენს პარტიაში ძალიან ცოტა გვყავს ასე ყოველმხრივ მომზადებული წევრი. კრასინის სიკვდილი უდიდესი დანაკლისია ჩვენთვის. **კრასინი განირჩეოდა ხასიათის სიმტკიცით და დამოუკიდებლობით.** ის იყო მჭერმეტყველიც.

ამრიგად, კრასინის სახით, როგორც პარტიამ, ისე საბჭოთა ხელისუფლებამ, —მთელმა ჩვენმა საბჭოთა კავშირმა დაჰკარგა ერთ-ერთი უდიდესი სახელმწიფო მოღვაწე, ისეთი წევრი, რომელსაც როგორც წარსულში, ცარიზმის დროს, ისე საბჭოთა ხელისუფლების დროს უდიდესი დამსახურება მიუძღვის რევოლუციისა და მუშათა კლასის წინაშე. კრასინმა უკვე ჩასწერა თავისი სახელი დიდი პროლეტარული რევოლუციის ისტორიაში. მისი ხსოვნა კიდევ დიდხანს იცოცხლებს მუშების გულში.

ფ. მახარაძე.

ჩვენი ძვირფასი „ნიკიტიჩი“

საკავშირო კომპარტიის ბოლშევიკურ ორგანიზაციას ულმობელმა სიკვდილმა კიდევ გამოაცალა ხელიდან ერთი ძველის-ძველი, დაუღალავი და რევოლუციისათვის თავდადებული მებრძოლი, მუშათა კლასის და მისი ავანგარდის არალეგალურად მომუშავეთა საუკეთესო ხელმძღვანელი და ორგანიზატორი შავ-ბნელ თვითმპყრობელობის დროს **ლევ ბორისის ძე კრასინი**, ჰერქვეშ მომუშავეთა შორის წოდებული „ნიკიტიჩის“ სახელით.

1903 წ. ბოლოს თბილისის სოც.-დ. ორგანიზაციის მიერ ბაქოს ორგანიზაციის და მის ტეხნიკურ ხელმძღვანელთა განკარგულებაში გაგზავნილი ვიქენით მე და ამხ. ს. თოდრია. ბაქოში მაშინ მუშათა მოძრაობამ ფართე ხასიათი მიიღო, გაფიცვები გავრცელდა, პოლიტიკური ორგანიზაციები ჩამოყალიბდენ. საიდუმლო სტამბის საჭიროებას ძლიერ გრძნობდა ბაქოს სოც.-დ. ორგანიზაცია; ასეთი სტამბაც მოეწყო ტახაპირის ქუჩაზე ამხ. **ნიკიტიჩის, აბელ ენუქიძის, სიმონ ენუქიძის, ვანო სტურუას და ვ. ბოლქვაძის** აქტიური მონაწილეობით.

მთელი ტეხნიკური საქმის გაძღოლა და უშუალო ხელმძღვანელობა საიდუმლო სტამბის მუშაობაში, როგორც მახსოვს, ამხ. ნიკიტიჩის მოვალეობას შეადგენდა. თუ საჭიროება მოითხოვდა, რომ სტამბა სხვა, უფრო კონსპირატიულ ადგილას გადატანილიყო, ამის შესახებ იქ მომუშავე ამხანაგებს უნდა წინასწარ ეცნობებინათ ნიკიტიჩისათვის. ასეთები იყვენ ამხ. აბელი და ს. ენუქიძეები, რომლებიც დროგამოშვებით დადიოდენ ნიკიტიჩთან ბაილოვზე და მათთან ერთად სწყდებოდა ესა თუ ის საკითხი.

ვინაიდან იმ ხანებში ამხ. ნიკიტიჩი ბაილოვის ელექტროსადგურის დირექტორი იყო, როგორც ინჟენერი, მასთან მისვლა ზემოხსენებულ ამხანაგებისათვის თუმცა საშიშროებას წარმოადგენდა, მაგრამ ყველა ჩვენგანი ოფიციალურად მაინც ახერხებდა მისვლა-მოსვლას და დირექტივების მიღებას.

იმ ხანებში ბაქოს ორგანიზაციას ხშირად ეხდებოდა ფინანსიური გაჭირვების ატანა, მაგრამ ნიკიტიჩი ისეთი მოხერხებული და გამოცდილი იყო, რომ „ქვას ვახეთქდა“ და ფულს იშოვიდა როგორც ჩვენი, სტამბის მუშების საარსებო საჭიროებისა, ისე სტამბის სხვა მოთხოვნილებებისათვის, როგორც, მაგ., ქაღალდის ყიდვა, საღებავის შეძენა და სხვა. ყველაფერი ეს მის კისერზე იყო და ისიც პირნათლად ასრულებდა ყოველივეს. ყოფილა შემთხვევები, ჩვენ კარჩაკეტილ ცხოვრებაში, როდესაც ნიკიტიჩს თავისი უკანასკნელი გროშებიც გადმოულაგებია და შეწუხებულა, რომ მას მეტი არ ჰქონებია და საიდუმლო სტამბის საჭიროებას ჯეროვანად ვერ დაუკმაყოფილებია.

ამხ.ნიკიტიჩის დახმარებით და გარედან ხელმძღვანელობით 1904 წლის დასაწყისში ბაქოში მოეწყო რ. ს.-დ. მ. პ. (ბ) ც. კ-ის დიდი საიდუმლო სტამბა, სადაც იბეჭდებოდა უამრავი პროკლამაციები და იგზავნებოდა სამრეწველო ცენტრებში — ლენინგრადში და მოსკოვში, აგრეთვე სხვადასხვა პარტიულ ორგანიზაციის განკარგულებაში. აი ამ ცეკას ბაქოს საიდუმლო სტამბის სულის ჩამდგმელი და მისი ხელმძღვანელი იყო ჩვენი ძვირფასი ნიკიტიჩი. ორნახევარი წელი იარსება ამ სტამბამ და ამ ხნის განმავლობაში მას თავს დასტრიალებდა ის, როგორც მის პირმშო შვილს, რომელიც მუშათა კლასს პოლიტიკურად ანვითარებდა და გზას უკაფავდა მომავალი ბრძოლის ტაქტიკის შემუშავებისა და მასების გათვითცნობიერებისათვის. მარტოთ - მარტო ნიკიტიჩს ჰქონდა მინიჭებული უფლება ამ სტამბაში შესვლისა და მთელი სტამბის მუშაობის დათვალიერებისა.

ის უდიდესი კონსპირატორი იყო. უეჭველად შეგვეკითხებოდა, როცა უნდა მოსულიყო სტამბაში ამა თუ იმ საკითხის გამოსარკვევად და წინასწარ მოსვლის შესახებ ს. ენუქიძეს შეატყობინებდა, რომ დასტური მიეღო, ის სტამბასთან დაკავშირებული იყო ს. ენუქიძის საშუალებით. მთელი რევოლუციონური ლიტერატურა ნიკიტიჩის მითითებით ეგზავნებოდა პარტიულ ორგანიზაციებს ადგილებზე.

1905 წლის ზაფხულში ნიკიტიჩის ინიციატივით მოსკოვშიაც იქნა მოწყობილი საიდუმლო სტამბა, სადაც გაწვეულ იქნა მის მიერ ამხ. ს. ენუქიძე, როგორც საიდუმლო სტამბების ერთი საუკეთესო მომწყობი. იმავე წლის სექტემბერში დაიწყო მოსკოვის სტამბამაც მუშაობა ნიკიტიჩის უშუალო ხელმძღვანელობით, რომელიც ბაქოს შემდეგ მოსკოვში გადავიდა და იქ მუშაობდა მოსკოვის ს.-დ. ბოლშევიკების ორგანიზაციაში. მოსკოვის სტამბა ისე იყო მოწყობილი, რომ 1922 წლამდე, იქ მომუშავეთა გარდა, არავინ არ იცოდა არაფერი მისი არსებობის შესახებ და ეს მხოლოდ იმიტომ, რომ ამხ. **ნიკიტიჩის** მიერ მიცემული გეგმის მიხედვით იყო ის მოწყობილი, ასე რომ მოსკოვის დეკემბრის აჯანყების დროს ეს სტამბა გადარჩა. ის აღდგენილია ეხლა იმავე ადგილას და მოსკოვის რევოლუციონური მუზეუმს, ისე როგორც ისტორიული ადგილი, საჩვენებლად გადაუქცევია.

1905 წლის მოსკოვის აჯანყების დამარცხებამდე ამხ. **ნიკიტიჩი** ლენინგრადში გადავიდა სამუშაოდ და იქ იარაღის მომარაგების საქმეს აწყობდა, მაგრამ 1905 წ. დეკემბრის აჯანყების დამარცხებამ ლენინგრადსაც თავისი დაღი დაასვა. ამ დროს **ნიკიტიჩი** ცხოვრობდა ფონტანკაზე მაშინდელ განათლების სამინისტროს ახლოს. მახსოვს, რაღაც საქმეზე ამხანაგების დავალებით მასთან მივედი. ძლიერ დაღონებული იყო, მაგრამ მას სულიერი განწყობილება მაინც არ დაუკარგავს და მომავალს იმედით შეჰყურებდა, მიუხედავად აჯანყების დამარცხებისა და რეაქციის თარეშისა.

როცა პირველი სახელმწიფო სათათბირო შეიკრიბა და რევოლუციონურმა მოძრაობამ ლენინგრადის მუშათა კლასში ისევ წამოჰყო თავი, ამ დროს ბოლშევიკების ჟურნალ - გაზეთებსაც მიეცა საშუალება რევოლუციონური გზით გამოსვლისა. ასეთი გაზეთები იბეჭდებოდა ბოლშევიკების სტამბა „დელო“-ში ფონტანკაზე, სადაც სხვა ამხანაგებთან მეც ვმუშაობდი ასოთ-ამწყობად. მაგრამ არ გასულა დიდი დრო, რომ ამის საშუალებაც მოსპო რეაქციამ პირველი სახ. სათათბიროს გარეკის შემდეგ.

დადგა საკითხი, თუ როგორ უნდა მოქცეულიყო ხელმძღვანელი ორგანიზაცია? გამოსავალი ისევ **ნიკიტიჩის** საშუალებით იქნა ნახული: მან წინადადება მოგვცა ხელახლა არალეგალურ მდგომარეობაში დავბრუნებულიყავით და ფინლანდიაში გადავბარგებულიყავით სამუშაოთ ერთი შვეციის მოქალაქის ნახევრად ლეგალურ სტამბაში, სადაც წინასწარ გადატანილ იქნა ს. ენუქიძის მიერ 20 ფუთამდე რუსული შრიფტი; ამ საშუალებით 2 წელზე მეტი გამოდიოდა ბოლშევიკური გაზეთი „პროლეტარი“, ბროშურები და სხვადასხვა მოწოდებები და ფურცლები. ამ პოლიტიკურ ლიტერატურულ მუშაობას ლენინი ხელმძღვანელობდა.

ამის შემდეგ, ძვირფასს ნიკიტიჩს აღარ შევხვედრივარ.

ასეთი ძველი რევოლუციონერი და ორგანიზატორი დაჰკარგა საკავშირო საბჭოთა სოც. რესპუბლიკის მუშათა კლასმა.

მშვიდობით, ჩვენო ძვირფასო ნიკიტიჩ!

მუშათა კლასი და წარსულში შენისთანა მებრძოლი ამხანაგები წითელი დროშით და ლენინიზმის ლამპრით ხელში გზას გავიკაფავთ საბოლოო გამარჯვებისაკენ!

მუშა უ. ჯაში (ყარამანი)

ამხ. კრასინის ბიოგრაფია

ლეონიდ ბორისისძე კრასინი დაიბადა 1870 წელს, 15 ივლისს ტობოლის გუბერნიის პატარა სამაზრო ქალაქში კურგანში. მისი მამა ბორის ივანესძე კრასინი იყო საშუალო ინტელიგენტი, ჭეშმარიტად დემოკრატიული პსიქოლოგიით და პოლიტიკური და სოციალური რადიკალიზმის, თუმცა არა სავსებით ჩამოყალიბებულ, მაგრამ საკმაოდ ძლიერ ტენდენციებით. ამაში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ბორის ივანესძე კრასინის ახლო ნაცნობობას ზოგიერთ მაშინდელ პოლონელ აჯანყებულებთან და შემდეგ ნაროდნიკულ და „ნაროდოვოლცების“ ჯგუფებთან, რომელთაც ციმბირში ასახლებდენ. გარდა ამისა კრასინის მამა „ადმინისტრატიული მიდრეკილების“ მქონე კაცი იყო. როგორც ჩანს, მამისგან მასზე მემკვიდრეობად გადავიდა მუშაობის უნარი და სიყვარული მუშაობისადმი. საერთო სულიერ განვითარებაზე გავლენა იქონია მისმა დედამ ანტონინა გრიგოლის ასულმა, რომელიც წარმოადგენდა 60-ან წლების უაღრესად განვითარებულ, დიდი სულიერი მოთხოვნილებების მქონე, ტიპიურ რუს ქალს.

ამ განვითარებაზე გავლენა იქონიეს აგრეთვე გარეშე ფაქტორებმა: მთელი მისი ბავშვობის და სიყრმის პირობებმა. საქმე იმაშია, რომ მე-19-ე საუკუნის 80-ან წლებში ციმბირი ითვლებოდა სოციალური და პოლიტიკური რადიკალიზმის ერთ-ერთ ბუდეთ (მეორე ცენტრი იყო ვოლგის მხარე). რუსეთიდან გადმოსახლებულთა მოზღვავებამ დიდი გავლენა იქონია ციმბირის ინტელიგენციის სულიერ ცხოვრებაზე. გადმოსახლებულ პოლიტიკურ მოღვაწეების გავლენის ატმოსფერაში გაატარა კრასინმა თავისი ბავშვობა და სიყრმე. კრასინი გაიზარდა „იდეალურ“ ოჯახურ პირობებში. უნდა ითქვას, რომ ის სრულებითაც არ ყოფილა ფუფუნებაში, პირიქით, მის საკმაოდ მრავალრიცხოვან ოჯახს ძლივს-ძლივობით გაჰქონდა თავი და წარმოდგენა იმაზე, თუ რა არის ბიუჯეტი და როგორ უნდა შემოსავალ-გასავლის შეთანაბრება, კრასინმა მიიღო დიდი ხნით ადრე, ვინემ ის საქმიან და პოლიტიკურ ასპარეზზე გამოვიდოდა.

საშუალო განათლება კრასინმა მიიღო ტიუმენის რეალურ სასწავლებელში, რომელიც 17 წლისამ დაამთავრა. ამ პერიოდში კრასინს უკვე ემჩნევა გარკვეული მისწრაფება პოზიტიურ მეცნიერებისადმი. 1887 წელს კრასინი შევიდა პეტერბურგის ტეხნოლოგიურ ინსტიტუტში. ინსტიტუტში მეცადინეობის პირველ წლებში კრასინი დაინტერესდა მარქსიზმით, ის სერიოზულად იწყებს მის შესწავლას და მოკლე ხნის განმავლობაში მარქსიზმის საუკეთესო მცოდნეთ ითვლება თავის ამხანაგების შორის. პოლიტიკურ ბრძოლას კრასინი პირველად ეზიარა 1890 წელს, როცა სტუდენტების მღელვარებაში მონაწილეობისათვის მას მოკლე ხნით ასახლებენ პეტერბურგიდან. პეტერბურგში დაბრუნების შემდეგ 1890 წ. ოქტომბერში კრასინი შედის ბროპაგანდისტთა წრეში, რომელიც რუსეთის ერთ-ერთ პირველ სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციას წარმოადგენდა და რომელიც მუშაობდა მაშინდელ პეტერბურგის მუშებს შორის. ეს წრე, რომელიც დაარსებული იყო მ. ი. ბრუსნევის და ვ. ს. გოლუბევის მიერ, შემდეგში იქცა „მუშათა კლასის განთავისუფლებისათვის ბრძოლის კავშირად“, რომლის ორგანიზატორი იყო ვ. ი. ლენინი. მაგრამ კრასინის გაცნობა ლენინთან და მათი ერთად მუშაობა შემდგომ პერიოდს ეკუთვნის. როცა „ბრძოლის კავშირი“ დაარსდა, კრასინი უკვე აღარ სცხოვრობდა პეტერბურგში. ვინაიდან ის გადაასახლეს 1891 წელს მწერალ შელგუნოვის დასაფლავების დღეს სტუდენტების მიერ დემონსტრაციის გამართვის გამო. ამავე დროს ის გამორიცხულ იქნა ტეხნოლოგიურ ინსტიტუტიდან ისე, რომ დაბრუნების უფლება აღარ ქონდა. ამ მომენტიდან კრასინის ბიოგრაფია რუს რევოლუციონერის საკმაოდ ჩვეულებრივ ბიოგრაფიად იქცა. ის გადასახლების შემდეგ ნიჟნი-ნოვგოროდში იხდის სამხედრო ბეგარას, სამხედრო სამსახურში ყოფნის დროს ის არ სწყვეტს მარქსიზმის პროპაგანდას ნიჟნი-ნოვგოროდის სხვადასხვა წრეებში; ინტელიგენტურ წრეებში ის გააფთრებით ებრძვის გახრწნის გზაზე დამდგარ ნაროდნიკობას, რომელსაც ნიჟნი-ნოვგოროდში ისეთი გამოჩენილი წარმომადგენლები ჰყავდა, როგორიც იყვნენ ნ. ფ. ანენსკი, ზვეროვი, კარელინი. ამავე დროს კრასინი, არ სწყვეტს რა კავშირს მ. ი .ბრუსნევთან, ხელს უწყობს სოციალ-დემოკრატიული პროპაგანდის მოწყობას მოსკოვის ფაბრიკებში და ბრუსნევის დაპატიმრების შემდეგ მასაც აპატიმრებენ და ათავსებენ ტაგანის ციხეში, სადაც დაახლოვებით 10 თვე დაჰყო ცალკე საკანში. განთავისუფლების შემდეგ, ის სამხედრო სამსახურს ათავებს (1893 წ.) ტულაში, სადაც მას გაფაციცებით თვალყურს ადევნებდენ.

ტაგანკაში ჯდომას კრასინი ყოველთვის დიდი კმაყოფილებით იგონებდა. პირველი დაკითხვის შემდეგ ჟანდარმებმა ის დასტოვეს და მთელი ეს თავისუფალი დრო მან გულმოდგინე მუშაობას მოანდომა: შეისწავლა გერმანული ენა და ორიგინალში წაიკითხა შილერის და გიოტეს თითქმის ყველა თხზულებანი, გაეცნო შოპენგაუერს და კანტს, შეისწავლა მილის ლოღიკა, ვუნდტის პსიქოლოგია, გადაიკითხა სოლოვიევის და ჩერნიშევსკის ისტორიული წიგნების ტომების საგრძნობი რაოდენობა და საერთოდ დიდათ შეავსო საკმაოდ ღარიბი თეორეტიული ბაგაჟი რუს სტუდენტის რომელსაც ბედი ხან ერთ და ხან მეორე ქალაქში დაახეტებდა. მარტო გერმანული ენის ცოდნა დიდ უპირატესობას აძლევდა შემდგომ თვითგანვითარებისათვის. ციხის ცალკე საკანის ცუდი გავლენა მან დახძლია ახალგაზრდობით, მშობლებისაგან შთამომავლობით მიღებულ ჯანმრთელობით და ცხოვრებაზე მხნე და სახობით ალსავსე შეხედულებით, რომელიც მან მოიტანა ციმბირის თვალუწვდენელ ველებიდან და ულრან ტყეებიდან. 1894 წელს მას კვლავ ასახლებენ ყირიმიდან, სადაც ის ზაფხულს ატარებდა. მისი გადასახლება გამოწვეული იყო ალექსანდრე მე-III-ის ყირიმში ჩასვლით. კრასინმა მაშინ თავის საცხოვრებელ ადგილად აირჩია სოფელ კალაჩი ვორონეჟის გუბერნიაში, სადაც ის მუშაობდა რკინის გზის გასაყვან სამუშაოებზე ჯერ როგორც უბრალო მუშა და შემდეგ როგორც ათის თავი. ის მთელი თავისი ენერგიით ეწევა მუშაობას და ამავე დროს არ ივიწყებს თავის რევოლუციონურ მოვალეობას, რის გამო მას მოკლე ხნის შემდეგ ითხოვენ სამუშაოდან, როგორც პოლიტიკურად არასაიმედო პიროვნებას. შემდეგ 1895 წელს იანვარში მას კვლავ აპატიმრებენ და ბრუსნევის საქმესთან დაკავშირებით უსჯიან 8 თვის ციხეს და ვოლოგდის გუბ. იარენის მაზრაში გადასახლებას, რაც შეცვლილი იქნა აღმოსავლეთ ციმბირში გადასახლებით 3 წლის ვადით. გადასახლების ადგილად კრასინი ირჩევს ირკუტსკს. ირკუტსკში კრასინი ჩადის უკვე როგორც სავსებით ჩამოყალიბებული პიროვნება, რევოლუციონერი-მარქსისტი. ირკუტსკში, სადაც იმ დროს ყოვლად შეუძლებელი იყო რაიმე აქტიური პოლიტიკური მუშაობა, ამ სამ წელს კრასინი ანდომებს პოლემიკურ ბრძოლას „ნაროდოვოლცების“ წინააღმდეგ, რომლებიდანაც თითქმის სავსებით შესდგებოდა ირკუტსკის გადასახლებულთა ახალშენი. ამ ხნის განმავლობაში კრასინი მუდამ მუშაობდა ციმბირის რკინის გზებზე, როგორც ნახაზების შემდგენი და ტეხნიკოსი, შემდეგში საპასუხისმგებლო სამუშაოზედაც დანიშნეს, როგორც ინჟენერი მშენებელი.

გადასახლების ვადის გათავების შემდეგ კრასინი ახერხებს ხარკოვის ტეხნოლოგიურ ინსტიტუტში შესვლას უმაღლეს ტეხნიკურ ცოდნის და ინჟენერის დიპლომის მისაღებად.

მაგრამ ინსტიტუტის გათავება მან შესძლო მხოლოდ 1900 წელში, ვინაიდან მისი სწავლის ნორმალური მსვლელობა სწყდებოდა ხან დროებითი გადასახლებებით ხარკოვიდან და ხან პრაქტიკული მუშაობით. ინსტიტუტის გათავების შემდეგ ამხ. კრასინი, როგორც ინჟენერი, გაწვეულ იქნა ბაქოში თავის სპეციალობაში სამუშაოდ, სადაც მან გაატარა ოთხი წელიწადი; აქ იგი მუშაობდა დიდი ელექტროსადგურების აგებაზე. მუშაობის ეს 4 წელი მიმდინარეობდა ორის მიმართულებით: ერთის მხრით, კრასინმა დიდი ენერგია დახარჯა თავის სპეციალობაში მუშაობაზე—სწორედ ეს წლები იყო ბაქოს ნავთის მრეწველობის უაღრესი განვითარებისა და ნავთის ხარეწაოების ელექტროფიკაციის წლები; მეორეს მხრით, ის, რევოლუციონური ცეცხლით ანთებული, ციმბირში პრაქტიკულ მუშაობას ჩამოშორებული, აქ მყისვე ჩაება არალეგალური სოციალ-დემოკრატიული პარტიის მუშაობაში არა მარტო ბაქოში, არამედ კავკასიის სხვა მნიშვნელოვან ცენტრებშიც. ამხ. კრასინის რევოლუციონური მუშაობა გამოიხატებოდა ერთის მხრით იმაში, რომ იგი ინტენსიურ პროპაგანდას აწარმოებდა ბაქოს პროლეტარიატის შორის. ბაქო მაშინ მსხვილი პროლეტარული ცენტრთაგანი იყო რუსეთში. შრომის აღმაშფოთებელი პირობები ნავთის ხარეწაოებში საკმაო მასალას იძლეოდა ენერგიული აგიტაციისა და პროპაგანდისათვის. მუშაობამ ამ მიმართულებით, რომელსაც ამხ. კრასინი აწარმოებდა ბაქოს სოციალ-დემოკრატების ჯგუფთან ერთად, წარმოშვა ბაქოს ცნობილი გაფიცვა 1903 წ., რომელიც თავის მხრივ 1905 წლის რევოლუციის წინამორბედი, პირველი სიმპტომი იყო.

ამხ. კრასინის რევოლუციონური მუშაობის მეორე მიმართულება გამოიხატა რუსეთში პირველი ფართოდ მოწყობილი სოციალ-დემოკრატიული არალეგალური სტამბის შექმნაში ამ სტამბებმა—ისინი იმყოფებოდენ თვითონ ქალაქ ბაქოში—მეტად მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს სოციალ-დემოკრატიული პარტიის მოღვაწეობაში, რომელიც მაშინ ჯერ კიდევ მთლიანი იყო. „ისკრა“, რომლის მასალები იწერებოდა და მუშავდებოდა ჯერ ციმბირში შემდეგ კი ლონდონში, იბეჭდებოდა ბაქოს სტამბებში, რომელიც მოწყობილი იყო ამხ. კრასინის და მისი მეგობრების ენერგიული ცდით; იგი იბეჭდებოდა იმ მატრიცებით, რომელიც იგზავნებოდა პირდაპირ საზღვარ-გარეთიდან და რომლითაც მზადდებოდა სტერეოტიპები. ბაქოში მუშაობამ ამხ. კრასინს მოუხვეჭა კარგი ინჟენერის, ენერგიული რევოლუციონერის და პირველ გარისხოვანი არალეგალური მომუშავის სახელი. იგი მხედველობაში ჰყავდა პარტიის ცენტრალურ ორგანოებს და პარტიის მე-2 ყრილობის შემდეგ 1903 წ. კოოპტაციის წესით მიწვეულ იქნა რუს. სოც.-დემ. მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრად. 1904 წელში ამხ. კრასინი თავისი ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო (ავად გახდა ციებით) უნდა გადასახლებულიყო ცენტრალურ რუსეთში; მან ახალი სამუშაო იშოვა მსხვილ სამრეწველო ცენტრში მოსკოვის მახლობლად—ორეხოვო-ზუევოში და იქ გადასახლდა. ეს მისი გადასახლება დაკავშირებული იყო რევოლუციონური მუშაობის გაფართოებასთან; ამის ერთ შედეგთაგანი იყო უფრო მჭიდრო ურთიერთობის დამყარება პარტიისა და მოსკოვის მსხვილ ფაბრიკანტს—სავვა მოროზოვს შორის. ამხ. კრასინის პარტიული მუშაობა მიმდინარეობდა უფრო და უფრო გაძლიერებული ტემპით და დამთავრდა იმით, რომ იგი უნდა გადასულიყო არალეგალურ მუშაობაზე (ცეკას დაპატიმრების დროს მწერალ ლ. ნ. ანდრეევის ბინაზე).

1905 წელში ამხ. კრასინი დელეგატად იქნა გაგზავნილი სოციალ-დემოკრატიული პარტიის ლონდონის მე-3 ყრილობაზე, რომელიც, როგორც ცნობილია, პარტიის მენშევიკური ნაწილის სურვილის მიუხედავად, მიწვეულ იქნა „უმრავლესობის კომიტეტების ბიუროსაგან“ და რომელზედაც პარტიის ბოლშევიკური ნაწილი ჩამოყალიბდა და გამოეყო, როგორც ცალკე, დამოუკიდებელი პარტია. ამხ. კრასინი ამ ყრილობაზე ზიმინ-ვინტერის ფსევდონიმით არჩეულ იქნა თავმჯდომარის ამხანაგად და დიდ როლს თამაშობდა ყრილობაზე. იგი ძირითადი მოხსენებებით გამოვიდა მთელ რიგ საორგანიზაციო და პოლიტიკურ საკითხებზე, და კერძოდ, ამხ. ლენინთან ერთად ყრილობაზე გაატარა უმთავრესი რეზოლუცია სოციალ-დემოკრატიული პარტიის დროებით რევოლუციონურ მთავრობაში მონაწილეობის საკითხის შესახებ. ყრილობამ კვლავ აირჩია იგი ცენტრალური კომიტეტის წევრად. ამხ. კრასინი არალეგალურად დაბრუნდა რუსეთში და განაგრძობდა ენერგიულ პარტიულ მუშაობას; ამასთანავე იგი არ სტოვებდა თავის პროფესიონალურ მოღვაწეობას (ამ ხანისათვის, რევოლუციონურ ტალღათა აგორების გამო მან მიაღწია ლეგალობას). ეს პროფესიონალური მუშაობა,—იგი იყო განმანათებელი საკაბელო ქსელის გამგე პეტერბურგში,—საშუალებას აძლევდა მას, რომ ფარული რევოლუციონური მუშაობა ეწარმოებია.

1908 წელში ამხ. კრასინი ჩაუვარდა ხელში პოლიციას და დაპატიმრებულ იქნა ფინეთში. მაგრამ დაპატიმრების დროს ჟანდარმებმა და პროკურატურამ ვერ შესძლეს რაიმე დამამტკიცებელი მასალების წარდგენა და ვიბორგის გუბერნატორის დადგენილებით ამხ. კრასინი განთავისუფლებულ იქნა. ამის შემდეგ იგი ვეღარ დაბრუნდა პეტერბურგში და გაემგზავრა საზღვარ-გარედ.

დადგა წლები, როცა რეაქციის სრული გამარჯვების გამო შეუძლებელი გახდა პრაქტიკული მუშაობის წარმოება რუსეთში. ვინაიდან ამხ. კრასინი ლიტერატორი არ იყო და არ შეეძლო თავისი ძალების გამოყენება ემიგრანტთა წრეების მუშაობაში, ამიტომ იგი საზღვარ-გარედ ყოფნის დროს იძულებული შეიქნა დროებით შეეწყვიტა რევოლუციონური მოღვაწეობა და მუშაობა დაეწყო საინჟენერო სპეციალობის დარგში. ამხ. კრასინი დასახლდა ბერლინში, სადაც იგი ენერგიულად შეუდგა პრაქტიკულ საინჟენერო მოღვაწეობას და დაუღალავი შრომით შესძლო თვალსაჩინო ადგილი დაეჭირა მაღალ კვალიფიკაციურ გერმანელ ინჟენერებს შორისაც კი,

ამხ. კრასინი მყისვე გამოეხმაურა ბოლშევიკური პარტიის პირველსავე მოწოდებას რევოლუციის დროს. ამხ. ლენინისა და ტროცკის მიწვევით ამხ. კრასინი აქტიურ მონაწილეობას იღებდა ბრესტლიტოვსკის მოლაპარაკებაში და ერთი ავტორთაგანი გახდა ეგრედწოდებული აგვისტოს დამატებითი შეთანხმებისა, რომელიც 1918 წ. აგვისტოში დაიდო ბერლინში.

ბერლინიდან მოსკოვში დაბრუნების შემდეგ ამხ. კრასინმა დაიჭირა წითელი არმიის მომარაგების საგანგებო კომიტეტის თავმჯდომარის თანამდებობა. ამ თანამდებობასთან ერთად იგი კისრულობს აგრეთვე სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს პრეზიდიუმის წევრისა და ვაჭრობა - მრეწველობის სახალხო კომისარის მოვალეობას. 1919 წლის მარტში იგი ინიშნება აგრეთვე გზათა - მიმოსვლის სახალხო კომისარადაც. მაგრამ სულ მალე ამხ. კრასინის სამეურნეო მოღვაწეობა შეიცვალა დიპლომატიური მუშაობით.

ამხ. ლიტვინოვთან ერთად იგი არის საბჭოთა რუსეთის წარმომადგენელი ბურჟუაზიულ მსოფლიოსთან. პირველი შეხვედრის დროს 1919 წ. სექტემბერში ამხ. კრასინი ესტონეთთან მოლაპარაკებისათვის წარმომდგენლად იგზავნება კონფერენციაზე პსკოვში. იმავე წლის დეკემბერში იგი ინიშნება საზავო დელეგაციის მეთაურად. ამ დელეგაციამ რამოდენიმე ხნის შემდეგ ხელი მოაწერა იურევის ზავს ესტონეთთან, რაიც იყო ბლოკადის პირველი გარღვევა. ამ ხელშეკრულობის დამუშავებას ამთავრებს უკვე იოფფე. 1920 წელში ლონდონში ეწყობა საბჭოთა წარმომადგენლობა. ამ წარმომადგენლობის მეთაურად, ამხ. ლენინის დანიშვნით, ხდება ამხ. კრასინი. 1921 წ. მარტში ამხ. კრასინი ხდებს ინგლის-საბჭოთა ხელშეკრულებას. ეს ხელშეკრულება ერთი პირველთაგანი იყო იმ ხელშეკრულებათა სერიიდან, რომელნიც საბჭოთა ქვეყნებს ამჟამად აკავშირებენ კაპიტალისტურ სახელმწიფოებთან.

ამის შემდეგ ამხ. კრასინი რჩება ლონდონში საბჭოთა რესპუბლიკების სრულუფლებიან წარმომადგენლად. სრულუფლებიანი წარმომადგენლის სახით იგი შევიდა საბჭოთა დელეგაციებში გენუისა და ჰააგის კონფერენციებზე. შემდეგ იგი ინიშნება საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისრად და ცხოვრებაში ატარებს საგარეო ვაჭრობის მონოპოლიას.

1924 წლის დასასრულს ამხ. კრასინი დაინიშნა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის სრულუფლებიან წარმომადგენლად პარიზში; ამასთანავე იგი დარჩა თავისივე თანამდებობაზე—საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისრად.

ამ წლის ოქტომბერში მან კვლავ დაიჭირა საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენლის პოსტი ლონდონში.

შ. ლ.

საბჭოთა კავშირი გლოვობს კრასინს

ს. კ. პ. (ბ) საოლქო კომიტეტისაგან

საკავშირო კომპარტიის (ბ) ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტი ღრმა მწუხარებით აუწყებს ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების ყველა პარტორგანიზაციებს, რომ ლონდონში გულის სიდამბლით გარდაიცვალა საკავშირო კომპარტიის (ბ) უძველესი წევრი, რომელმაც ბაქოს პარტორგანიზაციის პროლეტარულ რიგებში მიიღო რევოლუციონური გამობრძმედა, საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას წევრი ამხ. ლეონიდ ბორისის ძე კრასინი.

ს. კ. პ. (ბ) საოლქო კომიტეტი

ამიერ-კავკასიის ცაკისაგან

გუშინ მოსკოვში გარეშე საქმეთა სახალხო კომისარის ამხ. ჩიჩერინის სახელზე გაიგზავნა შემდეგი დეპეშა:

„ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი, მთელი ამიერ-კავკასიის მშრომელთა სახელით ულრმეს თანაგრძნობას აცხადებს ბოლშევიკების ძველი გვარდიის საუკეთესო მებრძოლის და საუკეთესო საბჭოთა დიპლომატის ამხ. ლეონიდ ბორისის ძე კრასინის გარდაცვალების გამო.

ამიერ-კავკასიის ს. ფედ. საბჭოთა რესპუბლიკის ცაკის თავმჯდომარე ს. ხანოიანი.

ა. კ. სახკომსაბჭოსაგან

ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო თავის ღრმა მწუხარებას უერთებს მთელი საბჭოთა კავშირის გლოვას, რომელმაც ამხ. კრასინის სახით დაჰკარგა უძველესი მებრძოლი პროლეტარული რევოლუციისათვის, მტკიცე დიპლომატი და მშრომელთა რესპუბლიკების სავაჭრო წარმომადგენელი.

ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **მამია ორახელაშვილი.**

საქართველოს ცაკისაგან

„საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი საბჭოთა კავშირის მშრომელებთან ერთად გლოვობს საკავშირო კომპარტიის (ბ) უძველესი წევრის ამხ. კრასინის დაკარგვას. ამხ. ლეონიდ ბორისის ძეს გარდაცვალებით ჩვენ დავკარგეთ ჩვენი პარტიის ძველი გვარდიის ერთი სახელოვანი წარმომადგენელთაგანი და ილიჩის პირდაპირი, უშუალო თანამებრძოლი. კავშირმა დაჰკარგა ერთი დიდი სახელმწიფო მოღვაწეთაგანი.

საქართველოს ცაკის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქ. სახ. კომ. საბჭოსაგან

საქართველოს სახალხო კომისართა საბჭო ღრმად დამწუხრებულია გამოჩენილი საბჭოთა დიპლომატის, საკავშირო კომპარტიის (ბ) უძველესი წევრის და დიდი კავშირის მუშურ-გლეხური მთავრობის აქტიური მუშაკის ამხ. კრასინის გარდაცვალების გამო.

საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ს. ჯუღელი.**

მგლოვიარება ამხ. კრასინის გარდაცვალების გამო

მოსკოვი, 24 ინგლისში საბჭოთა კავშირის სრულუფლებიან წარმომადგენლის ამხ. კრასინის გარდაცვალების გამო გარეშე საქმეთა სახალხო კომისარიატმა ყველა თავის დაწესებულებებში მგლოვიარება გამოაცხადა ორი კვირით.

მოსკოვი, 24 ნოემბერი. ამხ. კრასინის ქვრივის სახელზე გარეშე საქმეთა სახალხო კომისარიატის კოლეგიამ გაგზავნა დეპეშა, რომელშიაც ულმეს თანაგრძნობას უცხადებს მას. (ადს).

ინგლისის დამოუკიდებელ მუშათა პარტიისაგან

ლონდონი, 24 ნოემბ. ინგლისის დამოუკიდებელი მუშათა პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა გაუგზავნა საბჭოთა კავშირის მშრომელებს შემდეგი მიმართვა:

„დამოუკიდებელი მუშათა პარტია, რუს ამხანაგებთან ერთად დასტირის ხალხთა დიდი მეგობრის ამხ. კრასინის დაკარგვას.

იმ დღიდან, როდესაც საბჭოთა მთავრობის მიერ კრასინი დაინიშნა ლონდონში, სიკვდილის პირამდე, განსვენებული გმირული ნებისყოფით და მიუხედავათ დიდი დაბრკოლებებისა, მუშაობდა ჩვენს მმართველ წრეებსა და საბჭოთა კავშირს შორის წამოჭრილ უაღრესად მნიშვნელოვან საკითხების მოსაგვარებლათ. თუ კრასინის მუშაობა ვერ დასრულდა წარმატებით, ამის მიზეზია ჩვენ მმართველთა პირადი ინტერესები. სრული არარაობა ამ მმართველების აშკარა შესამჩნევი იქნება, თუ მათ შევადარებთ იმ კაცის სიდიადეს, რომლის ცდასაც მათ არ მისცეს გასავალი. მაგრამ დადგება დღე, როდესაც ორივე ქვეყნის ხალხები გადალახავენ ყველა დაბრკოლებებს, რომელიც აღმართულია მათ შორის კაპიტალისტური ექსპლოატატორების მიერ და ამ დღეს ამხ. კრასინს შეაფასებენ ისე, როგორც ერთ დიდ და ბრძენ მოღვაწეს, რომლის მუშაობის მეოხებით შესაძლებელი გახდა ახალი ხანის დაწყება. (ადს).

ვაჭრობის სახ. კომისარიატისაგან

მოსკოვი, 24 ნოემბერი. ვაჭრობის სახ. კომისარიატის ბრძანებაში ამხ. კრასინის გარდაცვალების გამო, ნათქვამია: ბლოკადის მოხსნის დღიდან ამხ. კრასინი დაუღალავათ მუშაობდა მონოპოლიის სისტემის შესაქმნელათ საგარეო ვაჭრობაში. მისი ინიციატივით მთელ რიგ კაპიტალისტურ სახელმწიფოებში ეწყობა საბჭოთა კავშირის სავაჭრო წარმომადგენლობები. იგი მტკიცე ურთიერთობას ამყარებს უცხოეთის მსხვილ და გამოჩენილ ფირმებთან და ხელს უწყობს ჩვენი პოზიციების განმტკიცებას მსოფლიო ბაზარზე. ამხ. კრასინმა შექმნა და აღზარდა საგარეო ვაჭრობის მონოპოლიის ფრონტზე მუშაკთა მთელი არმია.

ამხ. კრასინი თავის ენერგიით, სოციალიზმის გამარჯვებაში მტკიცე რწმენით და შემოქმედებით იყო მიზეზი საგარეო ვაჭრობის მუშაკთა ხალისიანი მუშაობისა. დღეს, მისმა სიკვდილმა უფრო შეამჭიდროვოს კომისარიატის თანამშრომლები განსვენებულის საუკეთესო ანდერძების შესასრულებლათ. (ადს).

დაწვრილებითი ცნობები

ლონდონი, 24 ნოემბერი. ამხ. კრასინი გარდაიცვალა ჩეშამ-ხოუზში (წარმომადგენლობის შენობა), დილის 4 საათსა და 40 წუთზე. ლონდონში ამხ. კრასინი ჩავიდა 28 სექტემბერს. მან ავად იგრძნო თავი 1925 წლის ნოემბერში, როდესაც მას მოუხდა დიდი და დაჭიმული ძალღონით მუშაობის ჩატარება და მისი ძალები ერთბაშად მოიშვა. ექიმების აზრით ის იყო ავად ავზნიანი ანემიით. მოსკოვში მკურნალობის მოკლე კურსის გავლის შემდეგ ამხ. კრასინი გაემგზავრა პარიზში. დრო და დრო ავადმყოფი სრულიად ჯანმრთელათ გრძნობდა თავს და 1926 წლის სექტემბერში იგი გაემგზავრა ლონდონში, თუმცა. სრულ განკურნებამდე ჯერ კიდევ შორს იყო. ლონდონში მისი ჯანმრთელობა ძალზე გაუარესდა, მაგრამ მას მაინც შეეძლო თავის მოვალეობათა შესრულება 6 ნოემბრამდე. ამ დღიდან ავადმყოფობა გადავიდა უფრო მწვავე ფორმებში. მიუხედავათ ექიმების ცდისა, ცოლის, ქალიშვილის და მეგობრების კარგი მოვლისა ავადმყოფის მდგომარეობა სულ უფრო უარესდებოდა. მაგრამ ახლობლები მაინც ფიქრობდენ. რომ კრასინის ჯანმრთელობა გამოკეთდებოდა. სიკვდილი უცაბედი იყო. კრასინი გარდაიცვალა უტანჯველათ და მას ბოლომდე შერჩა ცნობიერება.

იმ ექიმების დასკვნა, რომელნიც ექიმობდენ ამხ. კრასინს—ამბობს, რომ მოულოდნელი სიკვდილი გამოიწვია გულის მოძრაობის შეჩერებამ, რაც თავის მხრივ შედეგი იყო სისხლის შინაგანი ჩაქცევისა, ხოლო ამ უკანასკნელის მიზეზათ ცნობილია ავზნიანი ანემია. დასკვნას ხელს აწერს ლორდი დაუსონ-ოფ-პენნ, ექიმი ვილიამს გენსელი (სისხლის სნეულებათა სპეციალისტი), ექიმები—ნობარო, ლოუბრი და შვარცმანი. (ადს).

ინგლისი და საფრანგეთი

მოსკოვი, 24 ნოემბერი. ამხ. კრასინის გარდაცვალების გამო გარეშე საქმეთა სახალხო კომისარს თანაგრძნობა გამოუცხადეს ინგლისის საქმეთა რწმუნებულმა ხოჯსონმა და საფრანგეთის ელჩმა ერბეტმა. (ადს).

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

კომინტერნის აღმასკომის გაფართოებული პლენუმი

საერთაშორისო მდგომარეობა და კომინტერნის ამოცანები

ამხ. ბუხარინის მოხსენება

სოციალ-დემოკრატია საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ

მოსკოვი, 24 ნოემბერი. კომინტერნის აღმასკომის გაფართოებული პლენუმის 23 ნოემბრის სხდომაზე მოხსენებით საერთაშორისო მდგომარეობისა და კომინტერნის ამოცანების შესახებ გამოვიდა ამხ. ბუხარინი.

„ახლანდელ საერთაშორისო მდგომარეობას ჩვენ ვაფასებთ,—ამბობს ამხ. ბუხარინი, — როგორც სიტუაციას ორ რევოლიუციონურ ტალღას შორის. როგორ აფასებს ეხლანდელ მდგომარეობას სოციალ-დეოკრატია, რომელიც თითქოს არის მუშათა პარტია?

სოციალ - დემოკრატები ამტკიცებენ, რომ ჩვენ ვცხოვრობთ ნორმალური კაპიტალისტური განვითარების ეპოქაში, რომლის თავისებურებას წარმოადგენს მხოლოდ კაპიტალიზმის ახალი საორგანიზაციო ფორმები, როგორც კაპიტალისტური ქვეყნების შიგნით, ისე ცალკე ქვეყნებს შორის. მათის აზრით, შეკავშირებული კაპიტალი კონკურენციის ნაცვლად სხვადასხვა ქვეყნებში ქმნის მძლავრ საერთაშორისო ეკონომიურ ორგანიზაციებს მსოფლიო მეურნეობის ჩარჩოებში. სოციალ - დემოკრატიის მტკიცებით „დედამიწაზე“ ამგვარად ხორციელდება ეგრედ-წოდებული მშვიდობიანობის იდეა და სწორედ ერთა ლიგა წარმოადგენს ამ პაციფისტური მოძრაობის ორგანოს.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს მტკიცებანი, თუ მათ შევადარებთ სინამდვილეს, პირდაპირ სასაცილოა. განა შეიძლება ეხლანდელ მდგომარეობაზე ლაპარაკი, რომ თითქოს ის წააგავს ომის წინანდელ დროს. განა შეიძლება იმის მტკიცება, რომ კაპიტალიზმი ნორმალურ პირობებში ვითარდება. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ შეგვიძლია სულ საწინააღმდეგო დავამტკიცოთ. მხოლოდ თუ გინდ ის ფაქტი, რომ არსებობს საბჭოთა კავშირი ნიშნავს იმას, რომ კაპიტალიზმი არა ნორმალურ მდგომარეობაში იმყოფება. ჩვენ მოწამენი ვართ ისეთი დიდი მოვლენების, როგორიც არის რევოლიუცია შორეულ აღმოსავლეთში. რომლის დასაწყისს წარმოადგენს ჩინეთის რევოლიუცია, რევოლიუცია მსოფლიო ისტორიული მნიშვნელობის მქონე. და მარტო ამიტომაც არ შეიძლება ეხლანდელს სიტუაციას ნორმალური ეწოდოთ. ინგლისის დაუძლურების ნიშნები ერთი დიდი მნიშვნელობის ფაქტებს წარმოადგენენ, რომ მათი სათანადოთ არ შეფასება შეუძლებელია.

შემდეგ, — ამბობს ბუხარინი,—განა კაპიტალიზმის წინააღმდეგობანი შემცირდნენ? ჩვენ ვამტკიცებთ, რომ ეს წინააღმდეგობანი კიდევ უფრო გაიზარდნენ.

კაპიტალისტური სისტემის სადარაჯოზე

მუშათა პარტიების წინაშე, — ამბობს ბუხარინი, — ამჟამად სდგას პრინციპიალური კითხვა: კაპიტალისტური სტაბილიზაციის მხარეზე, თუ მის წინააღმდეგ. ეს საკითხი წარმოადგენს მიჯნას, რომელიც ყოფს მუშათა კლასს. სოციალ-დემოკრატია მხარს უჭერს კაპიტალისტურ სტაბილიზაციას, ჩვენ —მისი წინააღმდეგნი ვართ. ამ დიდი პრინციპიალური ხაზისაგან არის დამოკიდებული სხვა ტაქტიკური გადაწყვეტილებები. სოციალ-დემოკრატები შორეული აღმოსავლეთის რევოლიუციის წინააღმდეგნი არიან. თვით მემარცხენე სოციალ - დემოკრატებიც, როგორიც არის ოტტო ბაუერი, მტრულად ან ნახევარ მტრულად და ნეიტრალურად უყურებენ შორეულ აღმოსავლეთის რევოლიუციას. ეს იმიტომ, რომ შორეულ აღმოსავლეთის რევოლიუცია წარმოადგენს აგრეთვე დიდ განმანადგურებელ ხასიათის ფაქტორს, რომელიც მიმართულია კაპიტალისტურ სტაბილიზაციის წინააღმდეგ. სოციალ-დემოკრატია ილაშქრებს ყველა ეგრედ-წოდებულ უწესობათა წინააღმდეგ დასავლეთ ევროპაში. ის ილაშქრებს საყოველთაო გაფიცვის წინააღმდეგ ინგლისში. განსაკუთრებით მისი შემდგომი განვითარების წინააღმდეგ, ვინაიდან იგი კაპიტალისტური სტაბილიზაციის ყოველგვარი დარღვევის წინააღმდეგია. პირიქით, სოციალ - დემოკრატია, მხარს უჭერს და ხელს უწყობს კაპიტალისტური სტაბილიზაციის თითქმის ყველა ფაქტებს. სოციალ - დემოკრატია მხარს უჭერს აგრეთვე ისეთ მტაცებლურ ორგანიზაციებს, როგორიც არის ერთა ლიგა, ვინაიდან იგი მასში ხედავს,—საუკეთესო საშუალებას კაპიტალისტურ წინააღმდეგობათა თავიდან ასაცილებლად. სოციალ - დემოკრატია უყურებს ლიგას, როგორც მშვიდობიანობის იარაღს, რომელიც საჭიროებს უკიდურესობამდე მხარის დაჭერას და ცოტაოდენ დემოკრატიზაციას.

დასკვნები, რომელთა გამოტანა ჩვენ შეგვიძლია, შემდეგია: **სოციალ - დემოკრატიის მოღალატეობა ეხლა უფრო დიდია, ვიდრე მისი მოღალატეობა 1914 წლის აგვისტოში, ვინაიდან იგი მაშინ იდგა ნაციონალური კაპიტალიზმის დაცვის თვალსაზრისზე, ეხლა კი იგი იცავს კაპიტალიზმის არა მარტო ანციონალურ, არამედ მის მთელ მსოფლიო სისტემას. ეს არის აშკარა და მეტად საშიში ფაქტი.**

მშვიდობიანობის პრობლემა და კომინტერნი

მით უფრო უნდა გავაძლიეროთ ჩვენ ჩვენი ღონისძიებები ამ წყეული იდეოლოგიის დასაძლევად. ენერგიული მუშაობის გარეშე ამ მიმართულებით ჩვენ ვერ მივაღწევთ გამარჯვებას და თუ იფეთქა ომმა, ვიგემებთ უფრო მეტ იმედის გაცრუებას, ვიდრე 1914 წელს.

ამასთან მჭიდრო კავშირში იმყოფება მშვიდობიანობის პრობლემა. ეს მეტად სერიოზული საკითხია. მუშათა ფართე მასები, რომლებმაც თავის ზურგზე გადაიტანეს მსოფლიო ომი, განწყობილნი არიან ომისა და დიდ შერყევათა წინააღმდეგ. ისინი მშვიდობიანობის მომხრე არიან. სოციალ-დემოკრატია სარგებლობს მათი განწყობილებით. იგი ამბობს, რომ ერთა ლიგა არის მშვიდობიანობის საშუალება, მაგრამ წყეული რუსები დამშლელ ელემენტებს წარმოადგენენ ამ მშვიდობიანობის სისტემაში, ბოლშევიკები აზიის ერებს ამხედრებენ განათლებულ სახელმწიფოების წინააღმდეგ.

რას ნიშნავს ცნება მშვიდობიანობა სოციალ - დემოკრატიის გაგებით. ის ნიშნავს ნიღაბს უფრო დიდი, უფრო საშინელი ომების მოსამზადებლად, ვიდრე წინანდელი ომები იყო. მეორე მხრით, უნდა გვახსოვდეს, რომ რევოლიუციონური მოძრაობა, აჯანყებები და გაფიცვები და აგრეთვე სოციალისტური მშენებლობა საბჭოთა კავშირში ნამდვილი მშვიდობიანობის საუკეთესო გარანტიას წარმოადგენენ. ეს ფაქტები, რომლებიც თავის-თავად იგულისხმებიან, ჩვენ სავსებით და მთლიანად უნდა განუმარტოთ მთელი მსოფლიოს მუშებს. ჩვენ უნდა ვსთქვათ, რომ კომუნისტური პარტიები არიან რევოლიუციის პარტიები, გადატრიალებების პარტიები, კომინტერნი კი მსოფლიო ორგანიზაცია, რომელსაც პროლეტარიატი მიჰყავს მსოფლიო რევოლიუციისაკენ და სწორედ იმიტომ, რომ კომინტერნი არის რევოლიუციის მსოფლიო პარტია, სწორედ ამიტომ წარმოადგენს იგი მთელ მსოფლიოში ნამდვილი მშვიდობიანობის ციხე-სიმაგრესა და გარანტიას.

სოციალ-დემოკრატიის კონტრ-რევოლიუციონური როლი

იმპერიალიზმის იდეოლოგია, როგორც მსოფლიო რევოლიუციის მოწინააღმდეგე მოვლენა, დაკავშირებულია ეხლანდელ მდგომარეობის საერთო შეფასებასთან. ჩრდილოეთ-ამერიკის შეერთებული შტატები და საბჭოთა კავშირი ეხლანდელი საერთაშორისო მდგომარეობის ძირითადი ანტიპოდები არიან. სოციალ-დემოკრატიის დამოკიდებულება ამერიკასთან არის სოციალ-დემოკრატიის კონტრ-რევოლიუციონური როლის გამოხატულება, არის თამაში მუშათა კლასის უძლიერესი მტრების ხელში. პირიქით, სოციალ - დემოკრატიის მტრული დამოკიდებულება საბჭოთა კავშირის მიმართ არის სოციალ-დემოკრატიის კონტრ - რევოლიუციონური როლის მეორე დამახასიათებელი მოვლენა. როცა სოციალ-დემოკრატია გამოდის რევოლიუციის წინააღმდეგ აღმოსავლეთში, ეს მისი კონტრ - რევოლიუციონური როლის მესამე გამოხატულებაა. ყველგან, საცა კი წამოიჭრება დაბრკოლებები კაპიტალისტურ სისტემაში, სოციალ - დემოკრატია პირდაპირ კონტრ - რევოლიუციონურ როლს თამაშობს.

ოპოზიციონური ჯგუფები კომინტერნში

რაც შეეხება ჩვენი პარტიების როლს სხვადასხვა ქვეყნებში სხვადასხვაგვარი უნდა იყვეს. საბჭოთა კავშირში ძირითადი ამოცანაა შემოქმედებითი მუშაობა და სოციალიზმის აღმშენებლობა. სოციალ - დემოკრატია ამ აღმშენებლობის წინააღმდეგია. ჩვენს რიგებშიაც კი მოიპოვებიან სხვადასხვა ოპოზიციონური ჯგუფები, რომელნიც რამოდენიმეთ სკეპტიკურათ უყურებენ სოციალიზმის აღმშენებლობას. ეს უიმედობა სოციალ - დემოკრატიული წარმოშობისაა.

რატომ არ სჯერათ ამ ჯგუფებს საბჭოთა კავშირის პროლეტარიატის აღმშენებლობითი მუშაობის გამარჯვების შესაძლებლობა? თუ ამ საკითხს განვიხილავთ თეორეტიულად, ადვილად გავიგებთ თუ სად არის ამ სკეპტიკური განწყობილების ფესვები. ისინი ამბობენ: რუსეთი იყო ჩამორჩენილი ქვეყანა, ძალაუფლების ხელში ჩაგდება შესაძლებელი იყო. მაგრამ აღმშენებლობა სულ სხვა საქმეა. ენგელსი ხომ სწერდა, რომ შესაძლოა ჩვენმა პარტიამ ნაადრევად ჩაიგდოს ძალაუფლება ხელში. და, სკეპტიკურად განწყობილ ხალხის აზრით საბჭოთა რუსეთში ჩვენ სწორედ ასეთ შემთხვევასთან გვაქვს საქმე: ბოლშევიკებმა ძლიერ ნაადრევად დაიპყრეს ხელისუფლება. მე დარწმუნებული ვარ, რომ ამ პლენუმის შემდეგ ასეთი განწყობილება მოისპობა. ამ მხრივ ჩვენ სასტიკი ლიკვიდატორები ვართ.

ჩვენი ოპოზიცია და ულტრა მემარცხენენი სასტიკათ დამარცხდენ. მათ ქებით შეხვდენ მხოლოდ ბურჟუაზიული და ნახევრად ბურჟუაზიული პარტიები. აქვე უნდა შევეხოთ ოპოზიციონურ ჯგუფების მოკავშირეების საკითხს. შემთხვევითი არ არის ის, რომ რუტ ფიშერი, ურბანსი და მასლოვი კორშის გვერდით აღმოჩნდენ. შემთხვევითი არ არის, რომ იდეოლოგიის მხრივ ოპოზიციონურ ჯგუფებს კავშირი აქვთ ისეთ კონტრ - რევოლიუციონურ გამოცემებთან, როგორიცაა კაუცკის ჟურნალი.

ჩინეთში უმთავრესი ამოცანაა იმპერიალისტური მტრის დამარცხება. კომინტერნი შესაძლოთ სთვლის ჩინეთის არაკაპიტალისტურ განვითარებას და ამბობს, რომ ეს არის ამოცანა, რომლისთვისაც საჭიროა ბრძოლა. ამოცანის პირველი ნახევარი ჩინეთში კარგად არის გადაჭრილი: კანტონის არმია მტკიცედ მიიწევს წინ, ხოლო სახალხო არმიაც აგრეთვე მიისწრაფვის პეკინისაკენ. სავსებით მოსალოდნელია, რომ ჩვენ ვიხილავთ გაერთიანებულ ჩინეთს, რაც შესცვლის მთელი ქვეყნის ძალთა განწყობილებას.

კომპარტიების ამოცანები ცალკე ქვეყნებში

მთავარი პერსპექტივაა ჩინეთის კავშირი ს. ს. რ. კ-თან და დასავლეთ ევროპის პროლეტარიატთან. ჩვენ შევსძლებთ ამ ამოცანის გადაჭრას.

ამერიკის კაპიტალიზმი მთელი კაპიტალისტური სისტემის დასაყრდნობ ბაზისს წარმოადგენს-ამერიკის კომპარტიის წინაშე ჯერ-ჯერობით საკმაოდ შეზღუდული ამოცანები სდგას. პარტია ჯერ მხოლოდ მასების დაპყრობისა და შემდგომი მუშაობისათვის დასაყრდენ ბაზისის შექმნის გზაზე სდგას.

დასავლეთ ევროპაში მდგომარეობა სულ სხვაგვარია.იქ,მასების დაპყრობისა და კლასობრივ ბრძოლის ხელმძღვანელობის საშუალებით ჩვენ სერიოზულ საშიშროებას წარმოვადგენთ კაპიტალიზმის სტაბილიზაციისათვის. სტაბილიზაცია მარტო ობიექტიური პროცესი ხომ არ არის. მუშათა კლასი მასში სუბიექტიური ფაქტორის როლს თამაშობს.

კომპარტია ერთად ერთი პარტიაა, რომელიც ემუქრება სტაბილიზაციას და კომინტერნი ამაყობს ამით.

მასიური ორგანიზაციისათვის

მასიური ორგანიზაციის გარეშე სასაცილოა კაპიტალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაზე ლაპარაკი. კომინტერნი დიდ მნიშვნელობას აძლევს პროფკავშირებში მუშაობას, მაგრამ, უნდა ითქვას, რომ ზოგიერთი პარტია ცუდათ ასრულებს ამ ამოცანას. პარტიის პოლიტიკური გავლენა ფართე მასებში იზრდება. პოლიტიკურ საკითხებში მასები ენდობიან კომპარტიას, რის საუკეთესო დამამტკიცებელია გერმანიის მეფის გვარეულობათა ქონების ანაზღაურების წინააღმდეგ ჩატარებული კამპანია.

რაც შეეხება განვითარების ტემპს, ამ მხრივ ყველაზე დიდ შედეგებს მიაღწია ინგლისის კომპარტიამ. ეს პარტია რიცხვით ჯერ-ჯერობით მცირეა, მაგრამ მისი განვითარების ტემპი უფრო ჩქარია, რადგან ის სხვებზე უფრო აქცევს ყურადღებას პროფკავშირებში მუშაობას.

დასავლეთ ევროპაში კომპარტიების მდგომარეობა ხელსაყრელია. მათ განვლეს სამი ხანა: პირველი — ბრძოლის, უშუალო რევოლიუციონურ სიტუაციის ხანა. კომპარტიები ბრძოლისაკენ მოუწოდებდნენ მუშებს, სოციალ - დემოკრატია პირდაპირ კონტრ - რევოლიუციონურ როლს თამაშობდა. მეორე ხანა—კაპიტალიზმის სტაბილიზაციის დასაწყისი—ძალთა გადაჯგუფების ხანა. კომპარტიები რამოდენიმეთ უკან იხევდნენ. სოციალ - დემოკრატია გამოცოცხლდა. მესამე ხანა—ეხლანდელი მდგომარეობა, როცა სტაბილიზაცია სულ უფრო და უფრო მეტ წინააღმდეგობებს იწვევს. ამის გამო იქმნება კომპარტიებისათვის ხელსაყრელი მდგომარეობა. ინგლისის გაფიცვას კომპარტიებმა საკმაო დახმარება ვერ გაუწიეს. ეს საჭიროა ვიცოდეთ, რადგან ინგლისის მემაღაროების გაფიცვა უდიდესი ბრძოლაა, ხოლო სტაბილიზაციის პროცესში ასეთ ბრძოლებს ადგილი ექნება ცენტრალურ ევროპაშიაც.

ამიტომ აუცილებელია, რათა საჭირო მომენტში შევსძლოთ მუშათა მასების გამოყვანა, რისთვისაც აუცილებელია ენერგიული მუშაობა პროფკავშირებში.

სოციალ-დემოკრატია რევოლიუციას უყურებს, როგორც ბუნებრივ პროცესს, რომელშიაც ის უნდა ჩაერიოს. ჩვენ, პირიქით, ვლაპარაკობთ რევოლიუციის ორგანიზაციის საჭიროების შესახებ. მუშაობა ფართო მასებს შორის და ჩვენი პარტიების კონსოლიდაცია—ეს არის რევოლიუციის ორგანიზაცია. თუ ამ ამოცანას დავსძლევთ, ცენტრალურ ევროპაში ჩვენ გვექნება უშუალო რევოლიუციონური სიტუაცია. თუ ჩვენ ის ვერ დავსძლიეთ, მაშინ პროლეტარიატი ბურჟუაზიისათვის კრიტიკულ მომენტშიაც კი ვერ შესძლებს ძალაუფლებისათვის ბრძოლის წარმოებას. უძლიერეს კავშირს ისტორიაში წარმოადგენს აღმოსავლეთის ხალხთა კავშირი დასავლეთ ევროპის მებრძოლ პროლეტარიატთან. თუ ამის განხორციელება მოხერხდა, ჩვენი ძირითადი ამოცანა გადაჭრილად შეგვიძლია ჩავსთვალოთ“.

(მხურვალე და ხანგრძლივი ტაში).

(ადს).

მესამე სხდომა

მოსკოვი, 24 ნოემბერი. კომინტერნის აღმასკომის გაფართოებული პლენუმის მესამე სხდომა გაიხსნა, 24 ნოემბერს დილით, **ამხ. ილეკის** თავმჯდომარეობით. პლენუმზე წაკითხულ იქნა ინგლისის კომპარტიის მისასალმებელი დეპეშა, რომელსაც პლენუმი შეხვდა მხურვალე აპლოდისმენტებით.

ინგლისის კომპარტიისაგან

მისასალმებელ დეპეშაში ნათქვამია: „დიდი ბრიტანეთის კომუნისტური პარტია ძმურ და მხურვალე სალამს უგზავნის კომინტერნის აღმასკომის პლენუმს. ინგლისის მუშათა სახელით მადლობას უძღვნით კომუნისტური ინტერნაციონალის პარტიებს, გმირულათ მებრძოლ მემაღაროეთათვის დახმარების აღმოჩენის გამო. ეს დახმარება საჭიროა გაგრძელდეს, რადგანაც დღევანდელი დიდი დაბრკოლებების ხანაში. ისე როგორც დიდი გაფიცვის პერიოდში, ჩვენი პარტია საჭიროებს ძმურ დახმარებას და ხელმძღვანელობას კომინტერნის მხრივ. „მუშათა ბელადების“ კოალიცია ჯონსონ ხიქსის მეთაურობით, უმზადებს ჩვენს პარტიას უაღრესად გაფართოებულ თავდასხმებს ,მაგრამ ჩვენ დამშვიდებული მოველით მას. ჩვენ ენერგიულათ ვმუშაობთ. ჩვენი პარტიის 6.000 ახალი წევრის აღსაზრდელათ, რომლებიც პარტიის რიგებში შემოვიდნენ მემაღაროეთა ბრძოლის დროს; შემოვიდნენ ის მტკიცე გადაწყვეტილებით, რომ გამარჯვებამდე დარჩენ მასთან. ულოცავთ საკავშირო კომპარტიას (ბ) ოპოზიციის კაპიტულიაციას. მსოფლიო პროლეტარიატი უყურებს კომინტერნს. როგორც მსოფლიო რევოლიუციის მეთაურს. გაუმარჯოს, კომუნისტურ ინტერნაციონალს“.

კუსინენის მოხსენება

შემდეგ სიტყვა ეძლევა საერთაშორისო მდგომარეობისა და კომინტერნის სექციების ამოცანების შესახებ, მეორე მომხსენებელს ამხ. კუსინენს, რომელსაც პლენუმი ხანგრძლივი ოვაციებით ხვდება. ამხ. კუსინენის მოხსენების შემდეგ, რომელიც გაგრძელდა ორი საათი, **თავმჯდომარე ამხ. ილეკი, ამხ. კრასინის გარდაცვალების გამო, სიტყვას აძლევს ამხ. სკრიპნიკს.**

ამხ. კრასინის გარდაცვალების გამო

— „მე წილათ მხვდა სამწუხარო მოვალეობა გადავსცე კომინტერნის აღმასკომის პლენუმს, ცნობა იმ აუნაზღაურებელი დანაკლისის შესახებ, რომელიც წილად ხვდა საკავშირო კომუნისტურ პარტიას და მასთან ერთად მთელ კომუნისტურ ინტერნაციონალს.

დღეს, ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა საკ. კომ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის წევრი, ერთი უძველესი მარქსისტთაგანი, ლენინის ძველი თანამშრომელი, ყოფილი საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარი და საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენელი ინგლისში ამხ. ლეონიდ ბორისისძე კრასინი.

რუსეთში მარქსისტული მუშათა მოძრაობის გარიჟრაჟზე 1889 და 1891 წ. დაიწყო ამხ. კრასინმა თავისი რევოლიუციონური მუშაობა—ჯერ ახალგაზრდათა ცალკე მარქსისტულ წრეებში და პირველი იყო იმათ შორის.ვინც აღვიძებდა ლენინგრადის პროლეტარიატში კლასობრივ თვითშეგნებას.

დიდი დრო გავიდა მას შემდეგ, რაც არალეგალური მუშაობის შემდეგ მეორე ყრილობის დამთავრებისას იგი კოოპტაციით მიიწვიეს პარტიის ცენტრალურ კომიტეტში. აქედან დაწყებული იგი მრავალი წლების განმავლობაში იდგა პარტიულ საქმესთან.

მენშევიკებთან განხეთქილების პირველი თვეების შემდეგ ამხ. კრასინი უერთდება „მეუმრავლესეთა კომიტეტების ბიუროს“ და შედის მასში, როგორც ცეკას წევრი. იგი ენერგიულ მუშაობას აწარმოებდა რ. ს.-დ. მ. პ. მესამე ყრილობის მოსაწვევათ (ბოლშევიკების 1-ლი ყრილობა). სადაც იგი არჩეულ იქნა ბოლშევიკების ცენტრალურ კომიტეტში.

აქედან იგი იწყებს თავდაუწყებულ მუშაობას არალეგალურ სტამბების მოწყობისა და არალეგალური ლიტერატურის გასავრცელებლათ. გარდა ამისა მისი ხელმძღვანელობით სწარმოებდა 1905 წლის შეიარაღებული აჯანყება. კრასინს ამოუწურავი ენერგია ჰქონდა. ერთი მეორეზე ჩნდებოდენ არალეგალური სტამბები, არალეგალური პროლეტარული, ბოლშევიკური სიტყვა, ათასი და ასეული ათასი ფურცლები, პროკლამაციები, მოწოდებები, ბროშიურები და ჟურნალები, რომლებიც ვრცელდებოდა სახელმწიფოს ყველა კუთხეებში და მოუწოდებდა პროლეტარიატს ამბოხებისაკენ და აღვიძებდა მასში კლასიურ თვითშეგნებას. 1905 წლამდე ამხ. კრასინი ამზადებდა მაშინდელი რუსეთის პროლეტარიატს პირველ აჯანყებისათვის, რევოლიუციონური ბრძოლისათვის. მაშინ ედგმებოდა პირველი საძირკველი მუშათა და გლეხთა კავშირს. ამ წლების განმავლობაში, ამხ. კრასინმა ჩაატარა დიდი სამუშაო.

ჩვენში პარტიის მე-4 და მე-5 ყრილობაზე ამხ. კრასინს ირჩევენ ცენტრალური კომიტეტის წევრათ და იგი კვლავ განაგრძობს თავის დაუღალავ მუშაობას.

რეაქციის დროს, როდესაც ცარიზმის დევნის გამო, იგი იძულებული იყო წასულიყო ემიგრანტათ, ამხ. კრასინი მუშაობს უცხოეთში, გერმანიაში ელექტრო ქარხნებში და ელექტრო სადგურებზე.

როგორც ერთი საუკეთესო ინჟინერ-ელექტრიკოსთაგანი, იგი კვლავ დააბრუნა მეფის მთავრობამ რუსეთის ელექტრო ქარხნებში სამუშაოთ. აქ, ლენინგრადში, იგი კვლავ განაგრძობს თავის რევოლიუციონურ საქმიანობას.

პროლეტარიატის ძლევამოსილი გამოსვლის შემდეგ, როდესაც განადგურებულ იქნა ბურჟუაზიული ხელისუფლება და მუშებმა და გლეხებმა ჩაიგდეს მთავრობის საჭეები ხელში, ამხ. კრასინი იწყებს გაათკეცებული ენერგიით მუშაობას ჩვენს პარტიაში, როგორც წითელი არმიის მომარაგების საგანგებო კომისიის წევრი და თავის წვლილი შეაქვს ჩვენი შეიარაღებული ძალის ორგანიზაციისა და მომარაგების საქმეში. ამის შემდეგ ამხ. კრასინს ანდობენ საგზაო კომისარიატის ხელმძღვანელობას, ხოლო შემდეგ მას ნიშნავენ კავშირის მასშტაბით ყველაზე უფრო საპასუხისმგებლო პოსტზე — საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისრათ.

როდესაც დადგა საკითხი, ინგლისში საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენლის გაგზავნაზე, ეს მოვალეობა დაეკისრა ამხ. კრასინს.

პარტიის მე-13 ყრილობაზე ამხ. კრასინი ხელ-ახლა იქნა ამორჩეული საკავშირო კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში და მისდამი ეს ნდობა პარტიამ დაადასტურა თავის უკანასკნელ—მე-14 ყრილობაზედაც.

ერთი უძველესი ლენინელთაგანი, ერთი უძველესი მარქსისტთაგანი, იგი 40 წლის მანძილზე ეწევა მუშაობას პროლეტარების წრეებში, მრავალი წლების განმავლობაში ლენინთან მომუშავემ და მისი მითითებების გამტარებელმა, ამხ. კრასინმა, როგორც დიდი ინიციატივის და ენერგიის პატრონმა დიდი წვლილი შეიტანა ჩვენი ქვეყნის მუშათა კლასის განთავისუფლების საქმეში.

თავდაუწყება, ენერგია და ინიციატივა—მისი პიროვნების დამახასიათებელი მთავარი ხაზებია. მისი სახით საკავშირო კომ. პარტიამ (ბ) და მასთან ერთად მთელმა კომუნისტურმა ინტერნაციონალმა დაკარგა ერთი თავისი საკეთესო წევრთაგანი“.

ამხ. სკრიპნიკის სიტყვის შემდეგ სხდომა იხურება. სხდომა კვლავ გაიხსნება 24 ნოემბერს საღამოთი. დღის წესრიგშია: კამათი ამხ. ბუხარინისა და კუსინენის მოხსენებათა გარშემო. (ადს).

მეოთხე სხდომა

მოსკოვი, 24 ნოემბ. 24 ნოემბრის საღამოს სხდომაზე კომინტერნის აღმასკომის გაფართოებულ პლენუმზე გაიხსნა კამათი ამხ. ბუხარინისა და კუსინენის მოხსენებათა გარშემო საერთაშორისო მდგომარეობისა და კომინტერნის სექციათა ამოცანების შესახებ. **ტრენი** (საფრანგეთი) თავის სიტყვაში, რომელიც ერთ საათზე მეტს გაგრძელდა, შეეხო ევროპისა და ამერიკის შეერთებული შტატების დამოკიდებულებას და წამოაყენა იდეა ანტიამერიკული კაპიტალისტური შტატების მოწყობის შესახებ ევროპაში. **პეპპერი** (კომინტერნის აღმასკომი) აღნიშნავს ანტილენინურ მიდგომას მიმდინარე უმნიშვნელოვანეს საკითხებისადმი, აშკარავებს მისი მსჯელობის უსუსურობას და ამტკიცებს წარმოდგენილ იდეის კავშირს სოციალ - დემოკრატიულ თეორიებთან. შემდეგ გამოსული ამხ. **გაკენნი** (ჩეხო-სლოვაკია), ჩერდება კაპიტალისტურ სტაბილიზაციის კრიზისზე ჩეხო-სლოვაკიაში და აღნიშნავს, ბურჟუაზიის ულონობას ამ კრიზისის დაძლევაში. უკანასკნელათ გამოდის **სენკატაიამა** (იაპონია). ორატორი აღნიშნავს ჩინეთის სახალხო - რევოლიუციონური მოძრაობის როლს და ამბობს, რომ ინდონეზიაში და ფილიპინის კუნძულებ დაწყებული მოძრაობა, ისე როგორც იაპონიაში მუშურ-გლეხური პარტიის დაარსება, უნდა ჩაითვალოს ჩინეთის მშრომელი ხალხის გმირული ბრძოლის შედეგებათ.

კამათი გაგრძელდება 25 ნოემბრის დილის სხდომაზე. (ადს).

გენსაბჭომ ულალატა გაფიცულ მუშებს

გაფიცვამ ინგლისს მიაყენა 5 მილიარდი მან. ზარალი

შვეციის მუშები იწვევენ პროფკავშირთა ყრილობაზე საბჭოთა პროფკავშირებს

გერმანიის ნაციონალისტები მოითხოვენ მოკავშირეთა კონტროლის მოხსნას გერმანიაზე

ამხ. ჩიჩერინის გამგზავრება საზღვარ-გარეთ

ინგლისის მუშების ბრძოლა

„მშვიდობიანობა მრეწველობაში“

ლონდონი, 23 ნოემბერი. „დეილი მეილი“ იუწყება, რომ მთელი რიგი გამოჩენილ რეფორმისტულ პროფკავშირების ლიდერებისა, მათ შორის ტომას პიუ, მარგარიტა ბონდფილდი და სხვები კამპანიას აწარმოებენ „მრეწველობაში მშვიდობიანობის ჩამოგდების“ სასარგებლოდ. **მათ განზრახვა აქვთ მოითხოვონ მშვიდობიანობა არა ნაკლებ სამი წლისა, რომლის განმავლობაში არავითარ კონფლიქტებს ადგილი არ ექნება მუშებსა და მრეწველებს შორის.**

მუშათა პარტიის მემარცხენე ფრთა პროექტს უარყოფითათ უყურებს და სთვლის, რომ დასახული კამპანია ეყრდნობოდა მუშათა მოძრაობის მემარჯვენე ფრთისა და ბოლდუინს შორის შეთანხმებაზე. (ადს).

ტომასი კუკის წინააღმდეგ

ლონდონი, 23 ნოემბერი. მუშათა პარტიის ორგანო „დეილ ჰერალდ“-ში გამოქვეყნდა ტომასის წერილი, რომელშიც ის კუკს თავს ესხმის „მისი შეცდომებისა, უვარგის ხელმძღვანელობისა და თეატრალურ ხერხების გამო“.

ამასთანავე ტომასი სთხოვ კუკს, კონკრეტულად წარმოადგინოს ის ბრალდებანი, რომელიც კუკმა წააყენა მის წინააღმდეგ, როდესაც განაცხადა, რომ **ტომასმა ყველაფერი მოიმოქმედა მემაღაროების დასამარცხებლად.** (ადს).

პოლიციის შეტაკება მემაღაროელებთან

ლონდონი, 23 ნოემბერი. ფაიფშირში რამოდენიმე შეტაკება მოხდა პოლიციასა და მემაღაროებს შორის. რამოდენიმე პოლიციელი დაჭრილია. (ადს).

ზარალი გაფიცვისაგან

ლონდონი, 23 ნოემბ. ამ დღეებში გამოვიდა ვაჭრობის საერთაშორისო მიმოხილვის „ტრეიდ იბსერვერ“-ის პირველი ნომერი. ჟურნალი აღიარებს, რომ **გაფიცვისაგან მიყენებული ზარალი 500 მილ. გირ. სტერლინგს აღემატება.** (ადს).

კუკი ტომასის წინააღმდეგ

ლონდონი, 23 ნოემბერი. ლანკაშირში გამოსვლის დროს კუკმა განაცხადა, რომ მემაღაროების დამარცხება არც მაღაროს მეპატრონეებით და არც მთავრობით არ იყო გამოწვეული.

„ჩვენ დავმარცხდით, სთქვა კუკმა, **იმიტომ, რომ ტრედ-იუნიონების ლიდერებმა მთავრობის მხარე დაიჭირეს**“.

კუკმა მძაფრად გაილაშქრა ტომასის წინააღმდეგ იმ საბაბით, რომ უკანასკნელმა კაპიტალისტურ პრესაში წერილი მოათავსა **„მრეწველობაში მშვიდობიანობის ჩამოგდების“ საჭიროების აუცილებლობის შესახებ, რისთვისაც დიდი ჰონორარიც მიიღო.**

„ტომასმა — სთქვა კუკმა, — **ყველაფერი მოიმოქმედა, რაც კი შეეძლო მემაღაროელების დასამარცხებლადო**“.

კუკმა განაცხადა შემდეგ, რომ რაიონულ შეთანხმების ან რვა საათიან სამუშაო დღის საფუძველზე ნახშირის მრეწველობაში მშვიდობიანობის მიღწევა შეუძლებელია. (ადს).

მხარეები არ სთმობენ

ლონდონი, 23 ნოემბერი. სამხრეთ უელსში ოთხ მაღაროს მუშებმა უარყვეს მუშაობის განახლების პირობები, წარმოდგენილი მაღაროს პატრონების მიერ.

ლანკაშირის, დერჰემის, სამხრეთ-უელსის, კემბერლენდის, იორკშირის და სტაფორდშირის რაიონებში მოხდება მაღაროს პატრონების და მემაღაროების წარმომადგენელთა შეხვედრა.

სამხრეთ - უელსის მაღაროს პატრონებმა განაცხადეს, რომ სამხრეთ - უელსის მაღაროებში მუშაობა არავითარ შემთხვევაში არ განახლდება ისე, თუ არა 8 საათის სამუშაო დღის საფუძველზე, თუგინდ გაფიცვა კიდევ 6 თვეს გაგრძელდეს. (ადს).

ნოტინგამშირის შტრეიკბრეხერები

ლონდონი, 23 ნოემბერი. ნოტინგამშირის რაიონულ ფედერაციის საბჭომ გამოაცხადა, რომ გაფიცვა დამთავრებულია და წინადადება მისცა მემაღაროებს განაახლონ მუშაობა. (ადს).

მოკავშირეთა კონტროლი გერმანიაზე

ბერლინი, 23 ნოემბ. რეიხსტაგში გერმანიის საგარეო პოლიტიკის განხილვის დროს, მმართველი პარტიები გამოვიდენ საერთო დეკლარაციით, რომელშიაც აცხადებენ, რომ ისინი სავსებით მხარს უჭერენ შტრეზემანის თვალსაზრისს, რომელიც მან გაატარა საგარეო პოლიტიკის შესახებ წარმოთქმულ სიტყვაში და მოითხოვენ რეინის ოლქის საბოლოოთ განთავისუფლებას და საარის ოლქის შემოერთებას გერმანიასთან. ნაციონალისტი პროფ. **ხეტში** თავისი პარტიის სახელით მოითხოვდა გერმანიის განიარაღებაზე სამხედრო კონტროლის დაუყონებლივ გაუქმებას. შემდეგ გამოსულმა კომუნისტმა **შტეკერმა** განაცხადა, რომ **პირდაპირ სასაცილო სურათია, როცა ხეტში შტრეზემანთან და ბრეიტშეიდთან (სოციალ - დემოკრატი) ხელი - ხელ ჩაკიდებით შედიან ჟენევის ავაზაკურ ერთა ლიგაში, რომლის მთავარი მიზანია ომის მომზადება საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.** (ადს).

მუშათა ბრძოლა

შვეციის მუშების ბრძოლა

სტოკჰოლმი, 23 ნოემბ. შვეციის ტყის სახერხი ქარხნების მუშათა კავშირმა **ბეროლამენის დასავლეთ ნაწილის ტყის სახერხ ქარხნებში გამოაცხადა გაფიცვა.** გაფიცვაში მონაწილეობას იღებს 5.000 კაცი. მუშები მოითხოვენ სამუშაო ხელფასის გადიდებას. (ადს).

მუშების მოთხოვნილება

სტოკჰოლმი, 23 ნოემბ. შვეციის პროფკავშირთა გაერთიანების სახელზე პროფკავშირთა ცალკე ორგანიზაციებისაგან შემოდის მრავალი მოთხოვნილებები საკავშირო პროფსაბჭოს მიწვევის შესახებ სკანდინავიის და ბალტიის ქვეყნების პროფკავშირთა მომავალ კონფერენციაზე.

ჩინეთის რეაქცია

მოლაპარაკება ტიან-ძინში

პეკინი, 23 ნოემბ. მუკდენის არმიის შტაბის უფროსი იან-იუ-ტინი მუკდენიდან ტიან-ძინში ჩავიდა. ტიან-ძინში გაემგზავრა აგრეთვე ველინგტონ-კუ.სუნ ჩუან-ფანი ჯერ კიდევ იმყოფება ტიან-ძინში, სადაც გრძელდება მოლაპარაკება ჩრდილოეთ ჯგუფების ბელადების შორის. (ადს).

ჩჟან-ძო-ლინის დამარცხება აუცილებელია

ტოკიო, 23 ნოემბ. იხილავს რა ჩინეთში შექმნილ მდგომარეობას, „ტოკიო ასახი“ სწერს, რომ **ჩჟან-ძო-ლინის საბოლოო დამარცხება აუცილებელია, როგორც აუცილებელია ჩინეთის სამხედრო კასტის დანარჩენ ბელადების დამარცხება, ვინაიდან ბრძოლა კანტონის წინააღმდეგ ნიშნავს ბრძოლას ჩინეთის ხალხის წინააღმდეგ.**

უსარგებლოა ჩჟან-ძო-ლინის გაფრთხილება, რომ მან თავი დაანებოს სამხედრო ავანტიურებს, მაგრამ ჩვენ ურჩევთ იაპონიას სრული ნეიტრალიტეტი დაიცვას ჩინეთის საქმეებში. (ადს).

ირმა დუნკანი პეკინში

პეკინი, 23 ნოემბ. **ჩამოვიდა ირმა დუნკანი დასით, რომელშიაც შედის 12 მოწაფე.** პირველი წარმოდგენა დიდის წარმატებით ჩატარდა. (ადს).

ატამან სემიონოვი

პეკინი, 23 ნოემბ. რეიტერის ცნობით, თეთრგვარდიელი ატამანი **სემიონოვი** იმყოფება შანხაიში და ცდილობს ოფიციალურ დანიშვნამდე მოაწყოს თეთრგვარდიელ რუსების რაზმები სუნ-ჩუან-ფანის არმიისათვის. (ადს).

ერთ-ერთი იმედი ჩჟან-ცზო-ლინზე

პარიზი, 23 ნოემბ. „ტან“ ჩინეთში შექმნილ მდგომარეობის შესახებ სწერს: „კანტონელების გამარჯვების გამო, ჩჟან-ცზო-ლინი სათავეში უდგება კოალიციას“ ფრანგული ბურჟუაზიულ გაზეთებს მოჰყავთ ინგლისიდან მიღებული ცნობები იმის შესახებ, რომ ჩინელი მილიტარისტები ამზადებენ ნახევარ მილიონიან არმიას ჩჟან-ცზო-ლინის სარდლობით კანტონელების წინააღმდეგ საბრძოლველად. (ადს).

ოდესაში შეხვედრის შემდეგ

ანგორა, 23 ნოემბ. საკავშირო დეპეშათა სააგენტოს კორესპონდენტთან საუბრის დროს ოსმალეთის გარეშე საქმეთა მინისტრმა ტევფიკ-რუშდი-ბეიმ განსაკუთრებით აღნიშნა, რომ გამოქვეყნებული ოფიციალური ცნობა ოდესაში მომხდარ შეხვედრის შესახებ სრული სისწორით ნათელს ფენს ოდესაში გაწეულ მუშაობას. შეეხო რა გავრცელებულ ხმებს აღმოსავლეთის ხალხთა ლიგის შესახებ, მინისტრმა სთქვა: „ჩვენ დავიღალეთ სხვადასხვა ჭორების უარყოფით“. (ადს)

საფრანგეთ-ამერიკის ურთიერთობა

ბერანჟეს გადაწყვეტილება

ლონდონი, 24 ნოემბ. ბერანჟემ, რომელიც, როგორც საფრანგეთის ელჩი ვაშინგტონში, მოლაპარაკებას აწარმოებ და ვალების შესახებ შეთანხმების მისაღწევად, რაც შემდეგში არ მოიწონა საფრანგეთის მთავრობამ, გადასწყვიტა აღარ დაუბრუნდეს თავის თანამდებობას შეერთებულ შტატებში. (ადს).

კომისიიდანაც გაზის

ბერლინი, 24 ნოემბ. სენატორ ბერანჟემ უარი განაცხადა ხელმეორედ ჩაუდგეს სათავეში საფრანგეთის კომისიას, რომელიც იგზავნება ვაშინგტონში შეთანხმების დასადებათ იმ ხელშეკრულების შეცვლის შესახებ, რომელიც შეერთებულ შტატებთან დადებულ იქნა მიმდინარე წლის გაზაფხულზე. (ადს).

ფაშისტების სამფლობელოში

მუსოლინი საუბრობს

ბერლინი, 24 ნოემბ. მუსოლინიმა „ტელეგრაფ უნიონ“-ის კორესპონდენტთან საუბარში განაცხადა, რომ იტალიის გერმანიის პოლიტიკური **ურთი-ერთობა უაღრესად მეგობრულია.** თან და თან ფართოვდება აგრეთვე ეკონომიური კავშირი. როცა მოლაპარაკებას ნათელი და ლოიალური ხასიათი აქვს. როგორც ამას ადგილი ჰქონდა გერმანიასა და ინგლისთან, იმ შემთხვევებში ყოველთვის შესაძლოა ურთი-ერთ გაგება.

სამხედრო კონტროლის საკითხის შესახებ, მუსოლინიმა აღნიშნა, რომ მისი აზრით შეთანხმება შესაძლო იქნებოდა ინგლისის მიერ წამოყენებულ ხაზის მიხედვით. (ადს).

მუსოლინი იბრძვის კომუნისტებს

რომი, 23 ნოემბ. პრესის ცნობით, **კომპარტიის თითქმის ყველა დეპუტატები და სოციალისტურ და რესპუბლიკანურ პარტიებისმთელი რიგი გამოჩენილი დეპუტატები ჯერ კიდევ ციხეში სხედან.** ხმების თანახმად ყველა კომუნისტი დეპუტატები ადმინისტრატიული წესით გადასახლებულ იქნებიან ტირენის ზღვის ერთ ერთ კუნძულზე. (ადს).

დაბრუნება „სამეცნიერო“ მგზავრობიდან

ვენა, 23 ნოემბ. იტალიის მარშალმა ბადოლომ, რომელიც ბუხარესტში დაბრუნდა ბესარაბიაში „სამეცნიერო“ მგზავრობიდან, მიიღო კიშინიოვის და აკერმანის საპატიო მოქალაქის წოდება. (ადს)

მეფის სოციალისტები

მხარს უჭერენ დაუესის გეგმას

ბერლინი, 23 ნოემბერი. 21 ნოემბერს გაიხსნა ინგლისის, ბელგიის, გერმანიის და საფრანგეთის სოციალისტურ პარტიების კონფერენცია, რომელზედაც საერთაშორისო პოლიტიკაში სოციალისტური პარტიების ამოცანების შესახებ მოხსენება გააკეთა ველსმა.

კამათის შემდეგ კონფერენციამ ერთხმად მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც აცხადებს, რომ დაუესის გეგმის, ლოკარნოს ხელშეკრულების, გერმანიის ერთა ლიგაში შესვლის და საფრანგეთ - გერმანიის მოლაპარაკების საშუალებით ევროპის ხალხთა შორის შეთანხმების მისაღწევად გადადგმულია დიდი ნაბიჯი. რეზოლიუცია აღნიშნავს, რომ საფრანგეთ - გერმანიის მჭიდროთ დაკავშირებისათვის საჭიროა გერმანიის ტერიტორიის სასწრაფოდ განთავისუფლება სამხედრო ოკუპაციისაგან. შემდეგ რეზოლიუცია აცხადებს, რომ სოციალისტურმა პარტიებმა უნდა იბრძოლონ მოკავშირეთა ვალების გაუქმებისათვის, გერმანიის სარეპარაციო ვალდებულებათა შემცირებისათვის, ვაშინგტონის ხელშეკრულების (8 საათის სამუშაო დღის შესახებ) რატიფიკაციისათვის და აგრეთვე იმისათვის, რომ სახელმწიფომ და მუშათა ორგანიზაციებმა მონაწილეობა მიიღონ გაერთიანებულ მსოფლიო მრეწველობის ხელმძღვანელობაში სამუშაო ხელფასის და შრომის პირობების დაცვის მიზნით. (ადს).

კამპანია მემარცხენე ბლოკის წინააღმდეგ

მემარჯვენეები აგინებენ რადიკალებს

პარიზი, 24 ნოემბერი. რადიკალური გაზეთები მეტად კმაყოფილი არიან პუანკარეს პასუხით რადიკალ-სოციალისტის გიულენის შეკითხვაზე პენსიების მინისტრის მარენის სიტყვის შესახებ. (როგორც გამოქვეყნებული იყო, პუანკარემ განაცხადა, რომ მარენის სიტყვას არ დაურღვევია თანხმობა „ნაციონალური მთლიანობის“ მთავრობის წევრებს შორის). ნაციონალური ბლოკის ორგანოებიც ასევე კმაყოფილი არიან პუანკარეს განცხადებით. მაგრამ, მემარჯვენეები სულ უფრო ენერგიულად ილაშქრებენ „რადიკალების ორპიროვან პოლიტიკის“ წინააღმდეგ, რომლებიც, ერთის მხრივ, თანამშრომლობენ კაბინეტში ნაციონალური ბლოკის პარტიებთან ერთად, ხოლო, მეორე მხრივ, სდებენ საარჩევნო შეთანხმებას სოციალისტებთან.

ეკონომიურ ინტერესების კავშირის (მსხვილი სავაჭრო - სამრეწველო გაერთიანება) ყრილობის მონაწილეთა ბანკეტებზე, რომელსაც დაესწრო პალატის 150 დეპუტატი, და სავაჭრო პალატების 500 წარმომადგენელი, კავშირის თავმჯდომარემ, სენატორმა **ბილიემ** თავის სიტყვაში **მოითხოვა ძველი ნაციონალური ბლოკის აღდგენა მემარჯვენე რადიკალების მონაწილეობით.** „რადგან ზოგიერთმა მემარცხენე მოღვაწეებმა,— სთქვა, ბილიემ, — შესაძლებლად სცნეს მონაწილეობა მემარცხენე ბლოკის დასამარებაში, ეს იმას ნიშნავს, რომ ამჟამად შესაძლებელია მხოლოდ ნაციონალური მთლიანობის პოლიტიკა, ე. ი. ჩვენი პოლიტიკა, თუ მოხერხდა რადიკალების ცენტრალური კომიტეტის მიერ სენატის არჩევნების წინ განზრახული კომბინაცია და თუ დღევანდელი უმრავლესობა სენატში მომავალში გადაიქცევა უმცირესობად, მაშინ საფრანგეთში კვლავ დადგება კრიზისი, და უნდობლობა მოსწამლავს ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებას.

ჩვენ კი ამას არ დაუშვებთ. რადიკალების პარტიულ კომიტეტების გარეშე ჩვენ მივმართავთ რადიკალ-ამომრჩევლებს, თუ ისინი დაიჭირებენ მერყეობას, მაშინ ჩვენ მიუთითებთ იმაზე, რომ რეინს გადაღმა გერმანია განუწყვეტლივ და ენერგიულად თავისუფლდება ვერსალის ხელშეკრულების კლანჭებიდან, ალპებს გადაღმა კი ბობოქრობს იტალიის ნაციონალიზმი, ხოლო ოკეანს იქით ამერიკელი ბანკირები სხედან ოქროთ სავსე ტომრებზე“.

სავაჭრო - სამრეწველო წრეების მოთხოვნილება

პარიზი, 24 ნოემბერი. „ეკონომიური ინტერესების კავშირის“ ყრილობამ მიიღო ორი რეზოლიუცია, პირველ რეზოლიუციაში ყრილობა გადაჭრით ილაშქრებს მელონ-ბერანჟეს შეთანხმების (საფრანგეთის სამხედრო დავალიანების მოწესრიგების შესახებ ჩრ.-ამერ, შეერთ. შტატებთან) რატიფიკაციის წინააღმდეგ მის დღევანდელ ფორმებში; მეორე რეზოლიუციაში მოითხოვს, რომ ფრანკის სტაბილიზაცია გატარდეს მის რევალორიზაციის (ღირებულების აღდგენის) შემდეგ, საზღვარ-გარეთის დაუხმარებლად.

საფრანგეთის სავაჭრო პალატის თავმჯდომარეთა კონფერენციამ, რომელიც პარიზში გაიმართა, მიიღო რეზოლიუცია საზღვარ-გარეთ გასატან საქონლის განთავისუფლების შესახებ სავაჭრო ბრუნვაზე დაწესებული გადასახადისაგან. ამას გარდა, მიღებულია რეზოლიუცია, რომელშიც ყრილობა მოითხოვს „ვრცელი ახსნა-განმარტების“ შემუშავებას კანონზე 8 საათის სამუშაო დღედ მხოლოდ ნამდვილი საწარმოო მუშაობის ჩათვლას.

რადიკალ - სოციალისტები ერთგულებას ეფიცებიან პუანკარეს

პარიზი, 23 ნოემბერი. რადიკალ-სოციალისტური პარტიის აღმასრულებელი კომიტეტის სხდომაზე მოხსენებით გამოვიდა პარტიის თავმჯდომარე **მორის სარრო**, რომელიც უარყოფდა რადიკალების მიმართ როგორც სოციალისტების, ისე ზომიერი პარტიების მიერ წაყენებულ ბრალდებას. სარრომ განაცხადა, რომ პარტია თავის პროგრამის ერთგული დარჩა როგორც საშინაო, ისე საგარეო პოლიტიკის დარგში. სარრომ ენერგიული პროტესტი განაცხადა მარენის თავდასხმის წინააღმდეგ და განაცხადა, რომ რადიკალ-სოციალისტური პარტია მტკიცედ დაიცავს პარტიის ბორდოს კონგრესის მიერ შემუშავებულ ხაზს და იმუშავებს საფრანგეთის საკეთილდღეოდ.

ამის შემდეგ ერთხმად იქნა მიღებული საპროტესტო რეზოლიუცია მემარჯვენეთა ლიდერის, პენსიათა მინისტრის მარენის სიტყვის წინააღმდეგ.

მუშათა მოძრაობა

პარიზი, 23 ნოემბერი. ალეში (გარდის დეპარტამენტის მთავარი ქალაქი) დამატებითი მუნიციპალურ არჩევნებში გაიმარჯვა კომუნისტების სიამ.

ახალ მუნიციპალისტების 30 წევრიდან 28 კომუნისტია. (ადს).

ბრძოლა სამუშაო ხელფასის გადიდებისათვის

ლონდონი, 23 ნოემბერი. ტორონტოში და კანადაში 15.000 რკინისგზელმა დაადგინეს გამოაცხადონ გაფიცვა, რათა მიაღწიონ სამუშაო ხელფასის გადიდებას.

მუშების მანიფესტაცია

პარიზი, 23 ნოემბ. ბასტილიის მოედანზე გაიმართა მუნიციპალურ წარმოებათა მუშების მანიფესტაცია, რომელშიაც მონაწილეობა მიიღო 5.000 კაცმა.

ვინაიდან მუნიციპალურმა ხელისუფლებამ უარი სთქვა მუშების მოთხოვნილების დაკმაყოფილებაზე სამუშაო ხელფასის მომატების შესახებ, მიტინგმა დაადგინა გამოცხადებულ იქნეს გაფიცვა. (ადს).

აჯანყება ალბანეთში

ბერლინი, 24 ნოემბ. როგორც იტყობინებიან, ალბანეთში აჯანყება იზრდება. აჯანყებულებს მეთაურობს კათოლიკეთა მღვდელი დონ-ლარაო-ზაკა, ყოფილ პრემიერ მინისტრის ფანოლის მრჩეველი. (ადს).

აფეთქება მაღაროში

ლონდონი, 24 ნოემბ. როგორც „დეილი მეილს“ ატყობინებენ ვინიპეგიდან, „მაკ-ჯილივრე კრიკ კოლ ენდ კოკ“ კამპანიის მაღაროებში კალემანში (ალბერტის პროვინციაში) აფეთქდა გაზები, რის გამო ცოცხლად დაიმარხა 25 მემაღაროე. 15 მემაღაროემ თავი დააღწია ნანგრევებს. (ადს).

ნორვეგიის მენშევიკები

სტოკჰოლმი, 23 ნოემბ. დამთავრდა წინასწარი მოლაპარაკება ნორვეგიის სოც.-დემოკრატიული პარტიის გაერთიანების შესახებ ნორვეგიის მუშათა პარტიასთან. ორივე პარტიის ადგილობრივ ორგანიზაციების მიერ ამ საკითხის განხილვის შემდეგ მოწვეულ იქნება გაერთიანებელი ყრილობა. (ადს).

ამხ. ჩიჩერინის გამგზავრება საზღვარგარეთ

მოსკოვი, 24 ნოემბ. 24 ნოემბერს მოსკოვიდან გერმანიაში გაემგზავრა, შვებულებაში წასული, საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი, ამხ. ჩიჩერინი. ამხ. ჩიჩერინის შვებულების დროს მისი მოვალეობის შესრულება მინდობილი აქვს საგარეო საქმეთა სახ. კომისრის მოადგილეს ამხ. ლიტვინოვს.

აღმოსავლეთის საქმეებს უხელმძღვანელებს სახ. კომისრის მოადგილე ამხ. კარახანი. (ადს).

კლოდ ფარერი

პოლონეთში

ვარშავა, 24 ნოემბ. სამშაბათს ვარშავაში ჩამოვიდა კლოდ ფარერი, რომელსაც სადგურში შეხვდენ პილსუდსკის მოადგილე პოლკოვნიკი ვენიავადლუგოვსკი, საფრანგეთის ელჩი ბარონ დე-ვო, აგრეთვე გარეშე საქმეთა სამინისტროს, საზღვაო დეპარტამენტის, მწერალთა საზოგადოების, ლიტერატურულ კლუბის წარმომადგენლები და დიდძალი ხალხი. (ადს).

საბჭოთა კავშირში

სამგლოვიარო სხდომა ამხ. კრასინის გარდაცვალების გამო

მოსკოვი, 24 ნოემბერი. შესდგა გარეშე საქმეთა სახალხო კომისარიატის, ვაჭრობის სახ. კომისარიატის, სახვაჭრობის და სხვა ორგანიზაციების სამგლოვიარო სხდომა ამხ. კრასინის ხსოვნის აღსანიშნავად.

ვაჭრობის სახალხო კომისარმა ამხ. მიქოიანმა დაახასიათა განსვენებულის მოღვაწეობა და განაცხადა:

„კრასინი იყო საგარეო ვაჭრობის მონოპოლიის სისტემის აღმშენებელი, მას იცნობდა და იცნობს მთელი ჩვენი ქვეყანა, ყველა მუშები და გლეხები მას იცნობენ, როგორც მებრძოლს და ჯარისკაცს, მას იცნობენ აგრეთვე ჩვენი მტრებიც. ჩვენი მოვალეობაა ქედი მოვიხაროთ ამხ. კრასინის ხსოვნის წინაშე და აღუთქვათ, რომ მის მიერ შექმნილ საქმეს მტკიცედ და ენერგიულად გავაგრძელებთ იმ გზით, რომელიც მან დასახა.

რუს. სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახ. კომ. საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ამხ. ლეჟავამ კრებას გაუზიარა თავისი მოგონებანი ამხ. კრასინის შესახებ და სთქვა, რომ იგი განხორციელება იყო ენერგიისა და ინიციატივისა — მას ახასიათებდა ტიპიური ბოლშევიკური თვისებანი, რომელნიც შეერთებული იყვნენ მის არსებაში კულტუროსნობასთან, განათლებასთან და კაპიტალისტური მეურნეობის ცოდნასთან. ასეთი მუშაკები ჩვენს პროლეტარიატს ძალიან ცოტა ყავს. ამიტომ ამხ. კრასინის დაკარგვა განსაკუთრებით საგრძნობია მთელი ჩვენი აღმშენებლობისათვის.

საბჭოთა კავშირის ფინანსთა სახალხო კომისარის მოადგილე ამხ. ფრუმკინმა მოიგონა ამხ. კრასინის პარტიული მუშაობა 90-იან წლებიდან დაწყებული და აღნიშნა, რომ მას ყოველთვის ეჭირა ყველაზე უფრო პასუხსაგები პარტიული თანამდებობანი, ყოველთვის აკეთებდა პარტიისათვის საჭირო მეტად მძიმე საქმეებს.

გარეშე საქმეთა სახალხო კომისარის მოადგილემ ამხ. ლიტვინოვმა აღნიშნა, რომ არ არის არც ერთი საბჭოთა დაწესებულება, რომელშიაც ამხ. კრასინს თავისი ნაყოფიერი კვალი არ დაემჩნიოს. ჩემს მეხსიერებაში, ამბობს ამხ. ლიტვინოვი, შედუღებულია კრასინი — რევოლიუციონერი, კრასინი — პარტიული, კრასინი — საბჭოთა მოღვაწე და კრასინი — დიპლომატი. ყველა ეს თვისებანი თავს იყრიან ძლიერ, ენერგიულ ადამიანში.

მთელ რიგ სხვა ორატორების გამოსვლების შემდეგ ამხ. ცურიუპამ დასკვნით სიტყვაში აღნიშნა, რომ დიდ მოხსენებებშიაც კი ძნელია გარკვევა იმისა, რაც გააკეთა ამხ. კრასინმა. ჩვენი პარტიისა და რევოლიუციის ისტორიაში კრასინს განსაკუთრებული ფურცელი დაეთმობა.

თავმჯდომარის წინადადებით მთელი დარბაზი ფეხზე სდგება. ორკესტრი ასრულებს სამგლოვიარო მარშს. (ადს).

ეროვნული ბიბლიოთეკა

პარტიული ცხოვრება

ლენინური კომკავშირი პარტიის მთლიანობის სადარაჯოზე

შევისწავლოთ ოპოზიციის შეცდ[illegible]

ლენინურ კომკავშირის თბილისის ორგანიზაციის აქტივის საერთო საქალაქო კრება, მოისმინა რა მან ამხ. კახიანის მოხსენება მე-15 პარტკონფერენციის შედეგების შესახებ, მთლიანად და სავსებით უერთდება საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო აქტივის მიერ 15 ნოემბერს გამოტანილ რეზოლიუციას.

კრება უდიდესი სიხარულით აღნიშნავს ყველა გადაწყვეტილებათა ერთხმად მიღებას მე-15 პარტკონფერენციაზე, რაც ამოწმებს უძლეველ ბოლშევიკურ სიმტკიცეს და ღრმა რწმენას სოციალიზმის აშენების შესაძლებლობაში ჩვენს ქვეყანაში. მე-15 პარტიულმა კონფერენციამ დაამტკიცა ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკის სისწორე, რაც გამოიხატება ჩვენი მეურნეობის სოციალისტური ელემენტების შეუჩერებელ ზრდასა და პროლეტარიატის დიქტატურის განმტკიცებაში, მუშებისა და გლეხების მჭიდრო კავშირის საფუძველზე.

ოპოზიციურმა ბლოკმა ტროცკის მეთაურობით, რომელიც ცენტრალურ კომიტეტთან ბრძოლის დროს, იყენებდა აშკარა ანტილენინურ, ანტიბოლშევიკურ მეთოდებს, იგემა სრული დამარცხება.

მე-15 პარტიული კონფერენციის მიერ ოპოზიციური ბლოკის გადახრის დახასიათება—რომელიც გამოიხატა რწმენის დაკარგვაში, უიმედობაში, სასოწარკვეთილებაში არსებულ სიძნელეების წინაშე და ერთ ქვეყანაში სოციალიზმის მშენებლობის შესაძლებლობის უარყოფაში, პარტიის წინააღმდეგ ბრალდების წაყენებაში გადაგვარების შესახებ და სხ.—ამ გადახრის დახასიათება, როგორც სოციალ-დემოკრატიული გადახრისა არის აბსოლიუტურად და ერთადერთი სწორი შეფასება.

კრება ულრმესი აღშფოთების გრძნობით აღნიშნავს ოპოზიციის ლიდერების გამოსვლას მე-15 პარტკონფერენციაზე, რომლებიც თავის ყალბი შეხედულებების დაცვით სცდილობდნენ ლენინიზმის შეცვლას ტროცკიზმით.

თბილისის ორგანიზაციის აქტივი მთლიანად და სავსებით უერთდება მე-15 პარტკონფერენციის ყველა გადაწყვეტილებებს და მოუწოდებს ლენინური კომკავშირის მთელ თბილისის ორგანიზაციას გაერთიანდეს კომუნისტური პარტიისა და მისი ცენტრალური კომიტეტის გარშემო. კრება მოუწოდებს მუშურ-გლეხურ ახალგაზრდობას შეგნებული მონაწილეობა მიიღოს პროლეტარული დიქტატურის განმტკიცებასა და ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის მშენებლობაში.

კრება მოუწოდებს მთელ თბილისის ორგანიზაციას ღრმად შეისწავლოს ოპოზიციის შეცდომები და გამოაშკარაოს ოპოზიციის შეხედულებათა ანტილენინური შინაარსი.

კრება მოუწოდებს მთელ მუშურ-გლეხურ ახალგაზრდობას გვერდში ამოუდგეს პარტიას და მის მუშაობაში მიიღოს პრაქტიკული მონაწილეობა.

გაუმარჯოს მთლიან საქ. კომ. პარ. (ბ)!

გაუმარჯოს სოციალიზმის მშენებლობას ჩვენს ქვეყანაში!

გაუმარჯოს მსოფლიო რევოლიუციას!

ა. ლ. კ. კ. ლენინის პარტიასთან ერთად არის და იქნება

საქ. ა. ლ. კ. კ. ოზურგეთის საქალაქო ორგანიზაციის საერთო კრებამ, მოისმინა ამხ. ორაგველიძის მოხსენება ს. ა. ლ. კ. კ. ცეკას მესამე პლენუმის შედეგების შესახებ და მიიღო შემდეგი რეზოლიუცია:

„კრება სავსებით იწონებს და უერთდება ცეკას პლენუმის ყველა გადაწყვეტილებებს, რომელიც მიმართულია კავშირის საქმიან პრაქტიკული მუშაობის გაძლიერებისაკენ.

ცეკამ მეორე ყრილობიდან სწორად უხელმძღვანელა საქართველოს ორგანიზაციას და სწორად გადასჭრა მის წინაშე წამოჭრილი რთული საკითხები.

მშენებლობის პერიოდში კავშირის პრაქტიკულ მუშაობაში ადგილი აქვს ზოგიერთ სიძნელეებს, რომელთა გადალახვა შესაძლებელია კავშირის ფართო მასის აქტიური მონაწილეობით და ცეკას მტკიცე ხელმძღვანელობით. **ქედის მოხრა სიძნელეთა წინაშე, ლიკვიდატორობაა, რომლის წინააღმდეგ კომკავშირმა გააფთრებული ბრძოლა უნდა აწარმოოს.**

კრება აღნიშნავს ცენტრალური კომიტეტის სიმტკიცეს შინა პარტიულ ბრძოლის დროს, ოპოზიციონერულ ბლოკის ცდა, გამოეყენებია კომკავშირი პარტიის წინააღმდეგ დამარცხებით დამთავრდა. ლენინური კომკავშირის მტკიცე რიგებს მიემსხვრა უპრინციპო ოპოზიციონური ბლოკის ცდები. მათ ვერც ერთ ორგანიზაციაში ვერ ჰპოვეს გამოხმაურება.

კრება გულისწყრომას გამოთქვამს ცეკაში მომუშავე ამხ. ძიგრაშვილის, ფრანგიშვილის და ტაბიძის მიმართ, რომლებმაც ცეკას ნდობა გამოიყენეს ფრაქციული ოპოზიციონური მუშაობისათვის. ჩვენ სავსებით სწორად მიგვაჩნია ცეკას პლენუმის ზომები ამ ამხანაგების მიმართ.

ოზურგეთის საოლქო ორგანიზაცია აცხადებს ცენტრალური კომიტეტის საყურადღებოდ, რომ ის ყოველთვის იქნება ცენტრალურ კომიტეტთან ერთად ყოველგვარ ანტილენინურ გადახრებთან ბრძოლაში.

კრება საჭიროდ სთვლის იდეოლოგიურ ბრძოლის გაძლიერებას ოპოზიციის წინააღმდეგ.

გაუმარჯოს საკავშირო კომპარტიას!

გაუმარჯოს ლენინურ კავშირს, რომელიც მტკიცედ სდგას ლენინის პარტიის მთლიანობის სადარაჯოზე“!

ქალთა შორის მუშაობა გორის მაზრაში

4 ნოემბერს ს. კ. პ. (ბ) ც. კ. მუშა და გლეხ ქალთა შორის განყოფილებაში შესდგა თათბირი, რომელზედაც მოსმენილ იქნა გორის მაზრის ქალთა შორის მომუშავე განყოფილების გამგის ამხ. ძინძიბაძის მოხსენება და ამხ. დელიბაშის (ს. კ. პ. (ბ) ც. კ. მუშა და გლეხ ქალთა შორის მომუშავე განყ. ინსტრუქტორი) თანამოხსენება, რომელმაც ამ დღეებში დაათვალიერა აღნიშნული მაზრა. მომხსენებელი ამხ. ძინძიბაძე აღნიშნავს, რომ ამჟამად მუშაობა შედარებით გამოცოცხლებულია. არსებობს 21 სადელეგატო პუნქტი, არჩეულია 26—27 წლის მოწვევის დელეგატი ქალები (სულ 810. ქალი) უმრავლესობა ღარიბი და საშუალო გლეხი ქალებია. ახალგაზრდა ქალები ჩაბმულნი ჭრაკერის სკოლებში. საერთოდ მათ შორის მუშაობას აწარმოებს კომკავშირი, რომელთანაც დამყარებულია საკმაო მჭიდრო კავშირი. დელეგატი ქალები იწერენ ჟურნალ „მშრომელ ქალს“, არსებობს კედლის გაზეთი, სადაც აქტიურ მონაწილეობას იღებენ მშრომელი ქალები. სუსტი არის პოლიტ განმანათლებელი მუშაობა. ქალთა შორის, ამხ. დელიბაში დამატებით აღნიშნავს, რომ საერთოდ მაზრაში სუსტი არის პარტხელმძღვანელობა და მაზრკომთან კავშირი, რასაც უნდა მიექცეს ჯეროვანი ყურადღება მომავალში. სუსტი არის მუშაობა ქალთა კუთხეში, სუსტია მუშაობა აგრეთვე დელეგატ ქალთა პუნქტებში და სხვა აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ მიღებულ იქნა მთელი რიგი პრაქტიკული ღონისძიებები. რაც საჭიროდ იქნეს ცნობილი, რათა უჯრედთა მდივნების და თემკომის მდივნების საერთო თათბირის დღის წესრიგში შეტანილი იქნეს საკითხი „ქალთა შორის მუშაობის ამოცანების და მეთოდების“ შესახებ თემკომის და უჯრედის მდივნების მაზრაში გაწვევის დროს მათ უნდა მოეთხოვოს აგრეთვე ანგარიში ქალთა შორის მუშაობის შესახებ.

თათბირმა დაავალა აგრეთვე ქალთა განყოფილებას მიიღოს ყოველგვარი ზომები რათა პოლიტგანმანათლებელი მუშაობა ქალთა შორის მიმდინარეობდეს ნორმალურად ადგილებზე გამოყოფილ უნდა იქნენ პარტ. ამხანაგები დელეგატურ კრებების ხელმძღვანელებად.

უნდა გაცხოველებულ იქნას აგრეთვე ქალიშვილთა შორის მუშაობა და ამ მუშაობაში უფრო მეტად იქნას ჩაბმული კომკავშირის ორგანიზაციები ადგილობრივ.

ს. ჩ.

საბჭოთა საქართველო

დეპეშები

ახალი კოოპერატივები

ქუთაისი, 24 ნოემბერი. სენაკის მაზრის სოფ. სუჯუნასა და ნაქალაქევში გაიხსნა ახალი ერთიანი მომხმარებელი საზოგადოებანი. წევრების ჩაწერა წარმატებით მიმდინარეობს. (ადს).

საოლქო სასამართლოს სესია

ქუთაისი, 24 ნოემბერი. დასავლეთ საქართველოს საოლქო სასამართლოს სესიამ საჯევახოში დაამთავრა საჯევახოს ერთიან მომხმარებელ საზოგადოების წევრების მსხილაძის და ნიკურაძის საქმის გარჩევა, რომელთაც ბრალი ედებათ მითვისებასა და გაფლანგვაში.—პირველს—2,039 [illegible] მეორეს—416 მანეთის საქმემ ადგი[illegible] [illegible]სახლეობაში დიდი ინტერესი გამო[illegible] [illegible]ლდებულები გაამართლეს. პროკურორმა პროტესტი განაცხადა. (ადს).

„წერკუმსი“-ს კვირეული

ფოთი, 24 ნოემბერი. ამჟამად ქალაქში ტარდება „წერკუმსი“-ს კვირეული. კვირეულის ჩატარებაში აქტიურ მონაწილეობას იღებენ პროფკავშირები 19, 20 და 21 ნოემბერს საზოგადოების საშუალების ვადიდების მიზნით სწარმოებდა შემოწირულების შეკრება. (ადს)

მეხანძრეთა საზოგადოება

ფოთი, 24 ნოემბერი. ნავთსადგურში არსებულ მეხანძრეთა რაზმის გვერდით, დაარსდა მეორე მოხალისე მეხანძრეთა საზოგადოება 25 კომკავშირელის მონაწილეობით.

საზოგადოებას გარდა ინვენტარისა, აქვს აგრეთვე მშველელი სახანძრო კატერი. (ადს).

აღმშენებლობა სოფელში

გორი, 24 ნოემბერი. გორის თემში ორგანიზაციებისა და გლეხების დახმარებით გაცხოველებული აღმშენებლობა სწარმოებს. გომში ააშენეს სასოფლო-სამეურნეო სკოლის შენობა 6 ოთახით. გლეხების დახმარებით მტკვრის ნაპირზე მოწყობილ იქნა 4 დამბა წყლის გასაყვანად დაახლოვებით 20 საჟენის სიგრძეზე. (ადს).

ხილის მეორე მოსავალი

გორი, 24 ნოემბერი. სოფ. წითელ-ქალაქში ივლისში მოსულ სიტყვის გამო განადგურებულ იქნა ხილის ბაღები და ვენახები. მოკრეფის შემდეგ ხილის ხეები ისევ აყვავილდენ და ნაყოფი გამოისხეს. მეორე მოსავლის დროს ვაშლები კაკალზე უფრო დიდი შეიქნენ. ასეთ მდგომარეობაშია სხვა ხეხილებიც (ვერამი, მსხალი, თუთა და სხვ.). მეორე მოსავალი ამ ადგილებში ჯერ შემჩნეული არ ყოფილა. (ადს).

მედ. მუშაკთა კონფერენცია

ჭიათურა, 24 ნოემბერი. ამ დღეებში შესდგა შორაპნის მაზრის მედ. მუშაკთა კონფერენცია. დაესწრო 25 კაცი. დღის წესრიგში იდგა: ჯანმრთელობის განყოფილების მოქმედების წლიური საანგარიშო მოხსენება, მოხსენებები ადგილებიდან და მიმდინარე საკითხები. (ადს).

აჭარისტანი

სარწყავი არხები

ბათომი, 24 ნოემბერი. ქედის მაზრაში დამთავრდა სამ ახალ სარწყავ არხის გაყვანა, რომელიც 300 დესეტინა მიწას მორწყავს. დაწყებულია მეოთხე არხის გაყვანა რვა ვერსის სიგრძეზე.

უკანასკნელი არხის გაყვანით, არხების სარწყავი მოედნის საერთო სივრცე 5.000 დესეტინამდე აღწევს. (ადს)

აფხაზეთი

მომჭირნეობის რეჟიმი

სოხუმი, 24 ნოემბერი. მომჭირნეობის რეჟიმის გამტარებელ კამპანიამ შემდეგი შედეგები გამოიღო: თამბაქოს ფაბრიკაში მომჭირნეობა უდრის 2.385 მანეთს თვიურად, აფხაზეთის ტყის მრეწველობაში აპარატის მომჭირნეობის გამო მიღებული იქნა თვიურად 850 მანეთის ეკონომია, გაგრის ხე-ტყის სახერხ ქარხანაში მიღებულია 2.130 მან. ეკონომია.

წერილები

წინ მივიწევთ

(სოფელი ხევი, გურია)

აშენდა დიდი ხის სახლი, ექვსი დიდი დარბაზით, სადაც მოთავსებულია სოფლისათვის აუცილებელი დაწესებულებები: აღმასკომი, საფერშლო პუნქტი, კოხ-სამკითხველო, პარტიის კომიტეტი და ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილება. ადგილობრივმა აღმასკომმა საფუძვლიანად შეაკეთა 7-წლედი შრომის სკოლის შენობა. აგრეთვე გახსნა გლეხკომი, სადაც გამართულია წაღების სახელოსნო და ღარიბის გლეხობას აწვდის იაფ ფასებში წაღებს. ამასთან ღარიბს და უსახსრო გლეხებს გლეხკომების გამგეობა ერთდროულ დახმარებას უწევს ფულით.

ამასთან გაკეთდა გზები, გაყვანილ იქნა ოცი და ხუთ ვერსის მანძილზე საურმე გზა.

ამ დღეებში დასრულდება მუშაობა აგარა-ბახმარომდის მიმავალ გზაზე.

ელი ელენაშვილი.

ანთოკელების გასაჭირი

(თბილისის მაზრა)

ამ სოფელში გლეხები უწყლობის გამო დიდ გაჭირვებაშია. სასმელი წყალი სრულებით არა აქვთ. არის ერთი ჭაობი, რომელიც სავსეა ყოველგვარი მცენარით. ამის მეტი წყალი არ გააჩნიათ, ისიც სრულიად უსუფთაოა.

ხალხი, ღორი და სხვა პირუტყვი ერთ გუბეს ახვევია. გლეხები ერთმანეთს ეუბნებიან ხოლმე. ‚დაეცადოთ, ღამით მაინც დაწდება გუბეო“. მთელი დღე - ღამე ამ ჭაობზედ რიგი არ გამოილევა. რა თქმა უნდა, ასეთი უსუფთაო წყალზე ადვილად დასნეულდება ანთოკლები.

გლეხებმა: დათა თარიმონიშვილმა და [illegible] პაპუნაშვილმა მთხოვეს, რომ ეს ამბავი გაზეთში მომეთავსებინა. იმედია, რომელიმე ორგანიზაცია ჩაერევა ამ საქმეში და გლეხობას იხსნის გაჭირვებიდან.

გ. თამაზაშვილი.

წერილებიდან

საგარეჯო, (გარე-კახ.)

ენერგიული მასწავლებელი. ამხ. გ. გარსიაშვილი ცნობილია ჩვენს თემში არა მარტო, როგორც კარგი მასწავლებელი. ის ამავე დროს თავდადებული საზოგადო მუშაკია. იშვიათია საგარეჯოში ისეთი კულტურული და ეკონომიური საქმიანობა, რომელშიაც ამხ. გარსიაშვილი ენერგიულ მონაწილეობას არ იღებდეს. ასეთი მასწავლებელი ძვირფასია ყოველ თემისათვის.

ფვ. დურიძე.

ქუსის თ., (შორაპ. მ.)

იძინე ტკბილათ გლეხკომო. ამ თემში შემოდის რამოდენიმე სოფლები, რომლებიც წინათ ცალკე თემებს შეადგენდნენ. გლეხკომების პრეზიდიუმებს თავიდანვე ტკბილათ ეძინა. ახალ თემის შედგენაზე ერთი ჩოჩქოლი და განგაში იყო. სამაზრო აღმასკომიც კი ჩაერია საქმეში. მძინარე პრეზიდიუმები ვერც ამ ჩოჩქოლმა გამოაღვიძა. ძინავთ ტკბილათ, სანეტაროთ, მათი ხვრინვა ჯანიეთის მთაში ისმის.

პ. ცინცაძე.

ფალკის „სასწაულმოქმედთა“ საქმის შემდეგ

მღვდლების განცხადება

ბარმაქსიზი, 24 ნოემბერი. გუშინ საღამოს, „წალკის სასწაულმომქმედთა“ საქმეზე განაჩენის გამოტანის შემდეგ, რომელსაც უდიდესი კმაყოფილებით შეხვდენ დამსწრენი, სესიის თავმჯდომარე ბერიშვილის სახელზე მღვდელი კარიბოვისა, პარასკევოვისა და სიმონოვისაგან შემოვიდა შემდეგი შინაარსის განცხადება: (მოგვყავს სრული ტექსტი).

„ჩვენ, ქვემორე ამისა ხელისმომწერნი მღვდლები კატეგორიულად და გულწრფელად უცხადებთ სასამართლოს, რომ სამუდამოთ ვტოვებთ მღვდლობას და გვსურს გავხდეთ ჩვეულებრივი მოქალაქენი, რომ ერთგულათ და პატიოსნად ვიმუშაოთ, ისევე როგორც ყველა მშრომელნი, მუშურ - გლეხურ სახელმწიფოს განსამტკიცებლად და მის საკეთილდღეოდ.

ჩვენ ეს განცხადება იმიტომ კი არ შემოგვაქვს, რომ, როგორც სასჯელ მისჯილთ, გვეშინოდეს და უფრთხილდებოდეთ ჩვენს ტყავს, არამედ იმიტომ, რომ ხელს ვიღებთ რა მღვდლობაზე, ყველას გასაგონრად ვაცხადებთ, რომ არავითარი „ღმერთი“ არ არსებობს და რომ ყველაფერი ეს არის აფიორა, შარლატანობა, მოტყუება და ხალხის გაყვლეფა, იმ ხალხის, რომელიც, განსაკუთრებით წალკაში, უდიდეს სიბნელეში იმყოფება.

ჩვენ ვაცხადებთ, რომ არ არსებობს არავითარი „სასწაულები“ და, მაშასადამე, არც „წმინდა ნეშტები“. და ამიტომ აღარ ვთვლით რა თავს მღვდლებად, ვაცხადებთ რა იმას, რომ ესოდენ ხანგრძლივმა შრომამ არ გამოიღო ნაყოფი და უსარგებლო იყო ხალხისათვის, ჩვენ ქვემორე ამის ხელისმომწერნი გთხოვთ დააჩქაროთ ჩვენი საქმის გარჩევა საქართველოს უზენაეს სასამართლოში, გაგვანთავისუფლოთ პატიმრობიდან და მოგვცეთ შესაძლებლობა, დავბრუნდეთ მშობელ ადგილებში, სადაც პატიოსნად, ხალხის და საკეთილდღეოდ გვსურს ვიმუშაოთ, რისთვისაც გთხოვთ მოგვცეთ სამისო უფლება და სამსახური.

ჩვენ კიდევ ერთხელ ვამოწმებთ ზემოთნათქვამის სისწორეს და გულწრფელობას.

სიმონოვი ნიკოლოზ ათანასეს - ძე, პარასკევოვი კონსტანტინე დანიელის-ძე, კარიბოვი თედორე ალექსანდრეს-ძე.

23 ნოემბერი, 1926 წ. სოფ. ბარმაქსიზი“. (ადს).

პროცესის მნიშვნელობა

ბარმაქსიზი, 24 ნოემბერი. წალკის სესიის თავმჯდომარემ ამხ. ბერიშვილმა, წალკის „სასწაულმომქმედთა“ საქმეზე პროცესის დასრულების გამო, განაცხადა შემდეგი:

„პროცესმა დაგვარწმუნა იმაში, რომ მოსახლეობის ბნელი მასა ნამდვილად იმყოფებოდა ადგილობრივი სამღვდელოების დიდი გავლენის ქვეშ, ეს სამღვდელოება პირადი ანგარების მიზნით უნერგავდა ხალხს რწმენას „სასწაულებსა“ და „წმინდა ნეშტებში“.

ამ პროცესით გლეხობა დარწმუნდა იმაში, რომ სამღვდელოებამ ჩაითრია ის ავანტიურაში, რაშიც თვით მღვდლებივე გამოტყდნენ, უწოდეს რა თავის მოღვაწეობას აფიორა, ხოლო ყველა „ქადაგად დაცემულთ“—ბრბო. დამახასიათებელია ის, რომ დაკითხვის დროს თვით მღვდლებივე ამჟღავნებდნენ ერთი მეორის დანაშაულს. მღვდლებმა დაამტკიცეს სრული უვიცობა არა მარტო თანამედროვე მდგომარეობაში, არამედ მათ საკუთარ სფეროშიც კი.

განაჩენის გამოტანის შემდეგ, რომელსაც დამსწრენი უდიდესი კმაყოფილებით შეხვდნენ, მღვდლებმა კარიბოვმა, სიმონოვმა და პარასკევოვმა შემოიტანეს მათ მიერ წინდაწინვე შედგენილი განცხადება, რომელშიც ისინი უარყოფდნენ წოდებას, „ღმერთს“, ეკლესიას, რწმენას „წმინდა ნეშტებში“ და „სასწაულებს“, აცხადებდნენ, რომ სამღვდელოება დღემდე ატყუებდა ხალხს და თხოვდნენ შუამდგომლობის აღძრას პატიების შესახებ და საბჭოთა სამსახურში შესვლის ნებადართვას.

ეს განცხადება კიდევ ერთხელ ამტკიცებს, რომ სამღვდელოებამ სრულიად გამოააშკარავა თავისი თავი და დაკარგა მასებში ყოველგვარი „რწმენა“. (ადს).

მზადება აღწერისათვის

აჭარისტანში

აჭარისტანის სტატისტ. სამმართველოს თავმჯდომარემ ი. კუხალეიშვილმა, აჭარისტანში ჩატარებულ საალწერო წინასწარ მოსამზადებელ მუშაობის შესახებ ჩვენს თანამშრომელს აცნობა შემდეგი:

— აღწერის ჩასატარებლათ წინასწარი მოსამზადებელი მუშაობა აჭარისტანში თითქმის დასრულებულათ უნდა ჩაითვალოს. შედგენილია დასახლებულ ადგილთა რუკები, მეკომურთა სიები, ჩატარებულია სააგიტაციო კამპანიები სოფლებში და შემდგარია აღწერის ჩამტარებელთა შტატი.

როგორც აღმწერელთა კონფერენციაზე გამოირკვა, საქართველოს ბევრ კუთხეებში (ფშავ-ხევსურეთი, სვანეთი) ყოფილა ზამთრის პერიოდის განმავლობაში მიუვალი ადგილები. ჩვენში კი აბსოლიუტურათ მიუვალი ადგილები არ არის, მაგრამ შესაძლებელია, რომ დიდმა თოვლმა ცოტა შეგვიშალოს ხელი.

აღწერის საქმის ხელის შესაწყობად ბათომში დაარსდა საალწერო ხუთეული აჭარისტანის სახკომსაბჭოს თავმჯდომარის ამხ. მემედ გოგიბერიძის მეთაურობით.

მოსახლეობას ყველგან განემარტა აღწერის მნიშვნელობა და სრული იმედია, რომ აღწერა აჭარისტანში ჩატარდება სრული ასი პროცენტით.

სამხრეთ-ოსეთში

სამხრეთ-ოსეთის აღწერის საქმის ხელმძღვანელმა ამხ. ი. ფავლენიშვილმა ჩვენს თანამშრომელს განუცხადა შემდეგი:

— საქმე იმაშია, რომ სამხრეთ-ოსეთში აღწერისათვის განსაკუთრებული პირობებია შექმნილი. სამხრეთ-ოსეთში, როგორც ახალგაზრდა რესპუბლიკაში, ჯერ არ მომხდარა აღწერა.

ამიტომ ამ აღწერას სამხ.-ოსეთისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან მტკიცე სტატისტიკური მასალები ამ ოლქის შესახებ გვექნება მხოლოდ აღწერის ჩატარების შემდეგ.

წინასწარი მოსამზადებელი მუშაობა, ბრწყინვალეთ ჩატარდა. ამ მუშაობას ძლიერ უწყობდნენ ხელს პარტიულ-პროფესიონალური და საზოგადოებრივი ორგანიზაციები.

აღწერის ჩატარების საქმეში დიდ დაბრკოლებას წარმოადგენს უგზოობა და ზოგიერთ დასახლებულ ადგილების სრული მიუდგომლობა ზამთრის პერიოდში. ასეთი ადგილებია, მაგალითად, ჯამური, გუფთი და სხ.

მიუხედავათ ასეთი ბუნებრივი დაბრკოლებებისა, ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ საბჭოთა საზოგადოებრივი აზრის დახმარებით—ბრწყინვალეთ შევასრულებთ ამ დიდ საქმეს და უნაკლოთ ჩავატარებთ აღწერას.

კალოშები

ა.-კ. შინა - ვაჭრობის სახ. კომისარიატის ცნობით, წელს ამიერ - კავკასიაში შემოტანილი უნდა იქნას 750 ათასი წყვილი კალოში. კალოშების შემოტანა უნდა დამთავრდეს 1927 წლის იანვრისათვის.

ამჟამად გამორკვეულია ოქტომბრის განმავლობაში შემოტანილი კალოშების რაოდენობა. ოქტომბერში შემოტანილია 108.500 წყვილი კალოში.

ამ რაოდენობიდან საქართველოში შემოუტანიათ — 47.000 წყვილი კალოში, სომხეთში — 1.500 წყვილი, ხოლო აზერბეიჯანში — 60.000 წყვილი.

კალოშების შემოზიდვა ოქტომბერში ვერ იყო დამაკმაყოფილებელი; ამის გამო ა.-კ. შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატმა მიმართა „რეზინოტრესტს“ წინადადებით გაადიდოს კალოშების შემოზიდვა. „რეზინოტრესტის“ მიერ მიღებულ ზომებით შემოსაზიდ კალოშების რაოდენობა მიმდინარე თვეში საგრძნობლად გაიზარდა.

წითელ ჯარში

ანტირელიგიურ პროპაგანდის ფრონტზე

(№ ქართ. მსრ. დივიზია)

ანტირელიგიურ პროპაგანდას დივიზიის ნაწილებში აქვს მიქცეული დიდი ყურადღება. იგი წარმოადგენს სკოლის გარეშე მუშაობის ერთ-ერთ მთავარ მხარეს. და შეტანილია პოლიტსაგანმანათლებლო მუშაობის მთლიან პროგრამაში.

მუშაობას ამ დარგში ძალიან აბრკოლებდა გამოცდილ და მომზადებულ ამხანაგების უყოლობა. მიღებული ზომებით ეს ნაკლი მალე იქნება გამოსწორებული.

ანტირელიგიურ პროპაგანდის საწარმოებლად არ არის შექმნილი განსაკუთრებული ანტირელიგიური წრეები. მათ მაგივრობას ასრულებენ სასოფლო-სამეურნეო და საბუნებისმეტყველო წრეები. აღნიშნულ წრეების რიცხვი დივიზიაში აღწევს 7-ს. მათ მუშაობაში ჩაბმულია 400-დე აქტიური წითელი არმიელი, წრეების ხელმძღვანელებათ გამოყოფილია მომზადებული ამხანაგები.

ანტირელიგიური პროპაგანდის დროს დიდი ყურადღება აქვს მიქცეული მუშაობის მასიურ ფორმებს. ექსკურსიებს გარდა ნაწილებში ეწყობა გასამართლება, საუბრები, დისპუტები და სხვა.

ი—ა.

ავადმყოფ წითელ-არმიელთა შემოწმება

სამხედრო უწყების მომართვის თანახმად ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატმა მისწერა ყველა ფსიქო-ნერვოლოგიურ საავადმყოფოებს მოახდინონ იმ წითელ-არმიელთა აღრიცხვა, რომელიც საქმიმდე იმყოფებიან ფსიქიატრიულ საავადმყოფოებში.

ფსიქიატრიული საავადმყოფოების გამგეებს წინადადება მიეცა გამოიწვიონ სამხედრო უწყებიდან საექიმო სასანიტარო კომისიები, რომლებმაც უნდა შეამოწმონ საავადმყოფოებში მოთავსებულ წითელ-არმიელთა ჯანმრთელობა. ის წითელ-არმიელნი, რომელიც ცნობილი იქნებიან ავადმყოფებად, განთავისუფლდებიან სამხედრო სამსახურისაგან და სახელმწიფო ხარჯით გაიგზავნებიან საცხოვრებელ ადგილებზე.

ზაჰესი

ნოემბრის დამდეგისათვის ზემო ავჭალის ჰიდრო-ელსადგურის სამშენებლო სამუშაოები სავსებით დამთავრდა და დაიწყო ჰიდრო-ტექნიკურ ნაგებობათა შემოწმება; ამასთან ერთად თავდება ელქტრო-მექანიკურ მოწყობილობათა მონტაჟი, მათ შორის, ორი ტურბო - გენერატორი 900.000 ძალოვანებისა,—მუშათ იქნება 15 დეკემბრისათვის.

ყველა ჰიდრო-ტექნიკურ მოწყობილობათა და, მათ შორის ლენინგრადის მანქანების სამშენებლო ტრესტის მიერ დამზადებული ლითონის ფარების წინასწარმა გამოცდამ მოგვცა სავსებით დამაკმაყოფილებელი შედეგი.

ასე რომ, სადგურის ასამუშავებლად შუა დეკემბრისათვის არავითარი დაბრკოლება არ არსებობს.

ჰიდრო სადგურის სამშენებლო კომიტეტის მიერ ჰიდრო - ტექნიკურ ნაგებობათა დასათვალიერებლად მოწვეულია გზათა მიმოსვლის ლენინგრადის ინსტიტუტის პროფ. ცნობილი ჰიდრო - ტექნიკოსი, ვოლხოსტროის მთავარი ინჟენერის თანაშემწე **ბ. ე. ვედენეევი.**

თავის დასკვნაში პროფ. ვედენეევი ზემო ავჭალის ჰიდრო-სადგურის ჰიდრო-ტექნიკური ნაწილის შესრულებას სცნობს სავსებით დამაკმაყოფილებლად და შესაძლებლად მიაჩნია სადგურის დანიშნულ დროისათვის ამუშავება.

ექსპერტ ვედენეევთან ერთად ოაზესის სამუშაოთა სამმართველოს გამომუშავებული აქვს ჰიდრო - ტექნიკურ ნაგებობათა თანდათანობითი დატვირთვის წესი და გეგმა.

15 დეკემბრისათვის განზრახულია ტურბინების ფუჭი ამუშავება გენერატორების გასაშრობათ; პირველი ორი აგრეგატისათვის საჭირო იქნება ორი-სამი კვირის მუშაობა. ელდენის თანდათანობით მიწოდება თბილისში და დამწევი ქვე-სადგურების მაღალი ძაბვის ქვეშ გამოცდა თბილისში დაიწყება იანვრის პირველ რიცხვებში.

წინასწარი გამოცდების დამთავრებისა და თბილისში ელდენის გაშვების შემდეგ დაიწყება ლენინგრადის მანქანების საამშენებლო ტრესტისაგან ჰიდრო - სადგურის ლექტრო - მეხანიკური მოწყობილობის მიღება (ტურბო - გენერატორების, ტრანსფორმატორების, განმანაწილებელი აპარატების და სხვა).

ამ მოწყობილობათა შემოწმებას და გასინჯვას მოახდენს სპეციალური კომისია, რომლის თავმჯდომარეთ დანიშნულია საბჭოთა კავშირის ცენტრალური ელექტრო-ტეხნიკურ საბჭოს წევრი **პროფ. ნ. ი. სუშკინი.** ექსპერტებად **პროფ. ვორონოვი** (ელექტრიკოსი)და **პროფ. ესმა** (ჰიდრავლიკოსი სპეციალისტი).

საგეგმო კომისიაში

ადგილობრივი სამრეწველო ფონდი

ჩვენი ადგილობრივი ბიუჯეტის დეფიციტიანობის გამო, საგეგმო კომისიამ შეუძლებლად სცნო ადგილობრივ ფინანსთა ახალი დებულებით გათვალისწინებულ სპეციალური ადგილობრივი სამრეწველო ფონდის დაარსება 1926—27 წელში. კანონმდებლობის გამოცემა აღნიშნული ფონდის შექმნისა და გამოყენების შესახებ საგეგმო კომისიამ საჭიროდ სცნო მხოლოდ მომავალი 1927—28 წლიდან.

ადგილობრივი მრეწველობა

ახალქალაქის სამაზრო აღმასკომმა შუამდგომლობა აღძრა საგეგმო კომისიის წინაშე მთელ რიგ ქარხნების აგების შესახებ ახალქალაქის მაზრაში.

საგეგმო კომისიის აზრით, ახალქალაქის მაზრაში განზრახულია ყველისა და ერბო-კარაქის დამამზადებელი ორი მორჩილი ქარხნის აგება. აგების დროს მხედველობაში მიღებული უნდა იქნეს ის გარემოება, რომ თუ მექანიკურად მოწყობილ თითოეულ ამ ქარხანას არ ექნა დასამუშავებლად წელიწადში 50.000 ფუთი რძე, იმ შემთხვევაში იგი ზარალს მოიტანს.

ღიათ არის დატოვებული ზეთის ქარხნის აგების საკითხი, რადგან გამორკვეული არ არის, თუ რა რაოდენობით და რა თესლების კანაფი არის გავრცელებული ახალქალაქის მაზრაში.

ახალქალაქის მაზრაში მეფუტკრეობის განვითარება სასურველად იქნა მიჩნეული, მხოლოდ არა სახელმწიფო-სამრეწველო გზით, არამედ სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის ხაზით.

მაუდის ქარხნის აშენება დაუშვებლად იქნა ცნობილი მატყლის ნაკლებობისა და იმის გამო, რომ თბილისში უკვე შენდება დიდი მაუდის ქარხანა.

ამავე დროს მიზანშეუწონლად იქნა ცნობილი ლუდის ქარხნის აგება ახალქალაქის მაზრაში, ვინაიდან, საგეგმო კომისიის აზრით, იგი იქ წამგებიანი საქმე იქნება.

ხილის სასმელი

როგორც აღნიშნული გვქონდა, წელს გორის სამაზრო მეხილეობის რაიონებში ხილის,—განსაკუთრებით,—ვაშლის კარგი მოსავალია. კოოპერატიული ორგანიზაციების მიერ საექსპორტო ხილის დამზადება სწარმოებს, მაგრამ ხილის დიდი ნაწილი მაინც გაუსაღებელი რჩება. ბაზარზე არა სჩანს კერძო მყიდველებიც. ამგვარად გორის მაზრაში წელს ხილის მთავარი შემსყიდველი არის გორის საკონსერვო ფაბრიკა.

გორის სამაზრო აღმასკომის საადგილ-მამულო განყოფილებას გადაწყვეტილი აქვს საკონსერვო ფაბრიკასთან ერთად შეიყიდოს საექსპორტოთ გამოუდეგარი ხილი და დაამზადოს მისგან სპირტეული სასმელი. გამომუშავებული პროგრამის მიხედვით წლევანდელი ვაშლის მოსავლიდან დამზადებული იქნება 10 ათასი ვედრო სასმელი, რომელიც სარეალიზაციოდ გაიგზავნება საქართველოს და საბჭოთა კავშირის ქალაქებში.

წელს ხილის დიდი მოსავალია აგრეთვე ვანის რაიონში (ქუთაისის მაზრა). მოწეული ხილის რაოდენობა 100 ათას ფუთს აღემატება.

ნაწილი ხილისა უკვე შეყიდული აქვთ კერძო პირებს: ნაწილი იგზავნება ხილის სახმობ ფაბრიკაში.

ექსპორტი

მუხის ტკეჩები

ამიერ - კავკასიის სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველო ამ დღეებში მარსელში გაგზავნის 100.000 ცალ მუხის ტკეჩებს საფრანგეთის ფირმა „ასკარ - პოპოლ“-ისათვის.

ბზა

სამმართველომ ჰამბურგში გაგზავნა 100 ტონა ბზა.

ნიგვზის ხეები

ოქტომბრის განმავლობაში სამმართველომ ამერიკაში გაასაღა 200 ტონა ნიგვზის ხეები. ამდენივე გასაღებული იქნება გერმანიაში (ჰამბურგში).

ნიგვზის გული

ახალ - სენაკის ნიგვზის საწმენდ ქარხანაში, რომელიც ამიერ - კავკასიის სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველოს გამგებლობაშია, ამჟამად იწმინდება 2 ტონა ნიგვზის გული ლონდონში გასაგზავნად.

საბინაო გადასახადი

1925—26 წლის საბინაო მიზნობრივი გადასახადის აკრეფა ქალ. თბილისში სავსებით დამთავრდა. ამჟამად მუშათა საბინაო კოოპერატიულ მშენებლობის დამხმარე კომიტეტთან ერთად უკვე შედგენილია საბინაო მიზნობრივი გადასახადის აკრეფის გეგმა 1926—27 წლისთვის.

თბილისის აღმასკომის პრეზიდიუმმა თავის უკანასკნელ სხდომაზე დაამტკიცა ამ გადასახადის ვადები, რომელიც ახლო ხანში გამოქვეყნდება.

მიზნობრივი გადასახადი ეხება მხოლოდ არა მშრომელ ელემენტებს. ამ გადასახადის შემოსული თანხა მთლიანად მოხმარდება მუშათა საბინაო მშენებლობის საქმეს.

სახელმწიფო ვაჭრობა

აჭარისტანში

უკვე შეუდგა მუშაობას ახლად დაარსებული აჭარისტ. სახელმწიფო ვაჭრობის საპაიო ამხანაგობა. რომლის ძირითადი თანხა 70 ათას მანეთს უდრის. სახელმწიფო ვაჭრობის ამხანაგობის მთავარ პუნქტს შეადგენს აჭარისტანის წარმოებათა პროდუქციის გასაღება და ამავე წარმოებებისათვის ნედლეულის შეძენა.

ამხანაგობამ ნოვოროსიისკში უკვე შეიძინა 4.000 ბოჩკა ცემენტი, რომელიც განაწილდება საწარმოო და სააღმშენებლო დაწესებულებებს.

შინა ვაჭრობის სახალხო კომისარიატის ცნობით აჭარისტანის სავაჭრო ბრუნვა 1925—26 წლისათვის უდრიდა—სახელმწიფო სავაჭრო ორგანიზაციების—12.252.512 მანეთს, კოოპერატიული ორგანიზაციების—2.735.494 მანეთს, კერძო ორგანიზაციების—11.894.574 მანეთს. 1925—26 წელს სულ სავაჭრო ბრუნვა უდრიდა—26.889.530 მანეთს.

ნავთსადგურები

ა.-კ. ნავთსადგურების სამმართველომ დაამუშავა საბოლოო ცნობები ჩვენი ნავთსადგურების მუშაობის შესახებ. ამ ცნობების თანახმად წელს ჩვენი ნავთსადგურების მუშაობა საგრძნობლად გაზრდილა შედარებით წარსულ წელთან. ბათომის, ფოთისა და სოხუმის ნავთსადგურების მუშაობა შესამჩნევად გაიზარდა. ამ ნავთსადგურების საშუალებით გასული წ. განმავლობაში შემოზიდულა და გაზიდულა 1.766.978 ტონა ტვირთი. აქედან საზღვარ-გარეთის ბაზარზე გაზიდულა 1.547.300 ტონა ტვირთი, ხოლო საბჭოთა რესპუბლიკების ბაზრებზე—219.678 ტონი.

ტვირთის საერთო ბრუნვა შემდეგნაირათ გამოიხატება. გაზიდულია 1.589.112 ტონა საქონელი, შემოზიდული კი 177.866 ტონა. უმთავრესად იზიდებოდა საზღვარგარეთ ნავთი და შავი-ქვა. მთელი გაზიდული საქონლის 19 პროცენტს შეადგენდა ნავთი, ხოლო 11 პროც.—ჭიათური შავი-ქვა.

ტვირთზიდვის საქმეში ჩვენს ნავთსადგურთა შორის უმთავრესი ადგილი ეჭირა ბათომის ნავთსადგურს, რომლის ტვირთის ბრუნვა წელს 1.149.592 ტონას აღწევდა.

ტვირთბრუნვის გადიდებასთან ერთად, წელს საგრძნობლად გაიზარდა ნავთსადგურების შემოსავალი. აღნიშნული შემოსავალი ბათომის ნავთსადგურში წელს აღწევდა—1.019.500 მანეთს, ფოთში—134.381 მანეთს, ხოლო სოხუმში—36.308 მანეთს. ნავთსადგურებში გაწეულ ხარჯების საერთო რაოდენობა წელს 1.130.000 მანეთს აღწევდა.

მიუხედავათ აღნიშნული ხარჯებისა ტვირთზიდვის შემოსავალი ჩვენს ნავთსადგურებში წელს შედარებით მნიშვნელოვნად გაზრდილა.

სას.-სამ. პროდუქტები

ღვინო

საქართველოს სახელმწიფო ვაჭრობის საპაიო ამხანაგობა უკვე ორი თვეა რაც შეუდგა ღვინის დამზადებას.

წელს ღვინის დამზადებას განსაკუთრებული ყურადღება ჰქონდა მიქცეული. ორი თვის განმავლობაში საქართველოში საპაიო ვაჭრობის ამხანაგობამ დაამზადა 25.000 ვედრო საექსპორტო ღვინო. დამზადებული ღვინო უკვე გადაიგზავნა სარეალიზაციოთ რუსეთის განყოფილებებში.

ამჟამად დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოში გაცხოველებით სწარმოებს ღვინის დამზადება საექსპორტო გეგმის განხორციელების მიზნით. საქართველოს სახელმწიფო ვაჭრობის საპაიო ამხანაგობას გადაწყვეტილი აქვს დაამზადოს კიდევ 100.000 ვედრო ღვინო.

რაც შეეხება ძველი ღვინოების დამზადებას, ამ საქმეს კვლავ აწარმოებს სახელმწიფო ვაჭრობის საპაიო ამხანაგობა. ამ დღეებში ამხანგობამ გადაგზავნა საბჭოთა რესპუბლიკებში სარეალიზაციოთ 12.000 ვედრო ძველი ღვინო.

რკინისგზებზე

ფორმის ტანსაცმელი

გზათა მიმოსვლის კომისარიატმა დაადგინა შემოიღოს ფორმის ტანსაცმელი იმ რკინისგზელებისათვის, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულნი არიან თავისი მუშაობით გზების ექსპლოატაციასთან.

ფორმის ტანსაცმელი დაურიგდებათ: სადგურის უფროსებს, მათ თანაშემწეებს, სათადარიგო აგენტებს, რომლებიც ასრულებენ სადგურის უფროსების მოვალეობას, მატარებლების უფროსებს, კონდუქტორებს, რომლებიც მუშაობენ სახალხო მატარებლებზე, მატარებლების გამყოლებს, გზის ხელოსნებს, ნადის მამასახლისებს და სხვებს.

ყველა ამათ მიეცემათ ფორმის ქუდები და ტუჟურკები. სამსახურის განმასხვავებელი ნიშნები ჩამოთვლილ რკინისგზელებს დაკერებული ექნებათ სახელოებზე და გადაფენილ საყელოებზე.

ბარგის უფასოდ გადატანა

ა.-კ. რკ. გზების გამგეობამ ნება დართო, ლენინაკანიდან-კარაკლისამდე მიმავალ მიწისძვრისაგან დაზარალებულ პროფკავშირის წევრებს ზიდონ უფასოთ 5 ფუთამდე ბარგი სამგზავრო ვაგონებში.

ამ შეღავათით სარგებლობისათვის თითოეულმა დაზარალებულმა პროფკავშირის წევრმა უნდა წარუდგინოს რკინისგზას სათანადო მოწმობა მიწისძვრისაგან დაზარალებულთა დამხმარე საგანგებო კომისიისაგან.

საყოველთაო სწავლა

(ათწლიანი პერსპექტიული გეგმა)

საგეგმო კომისიამ შეიმუშავა და საქართველოს ცაკმა დაამტკიცა საქართველოში საყოველთაო დაწყებითი სწავლების შემოღების ათწლიანი პერსპექტიული გეგმა. გეგმის განხორციელება იწყება 1925 წლიდან.

პერსპექტიული გეგმის მიხედვით, სასკოლო ჰასაკის ბავშვთა მოძრაობა საქართველოში ავტონომიურ რესპუბლიკებთან ერთად უახლოესი 10 წლის განმავლობაში გამოიხატება შემდეგში:

1925—26 წელში—253.756 ბავშვი, 1926—27 წელში—270.191, 1927—28 წელში—253.280 1928—29 წელში—263.298, 1929—30 წელში—272.947, 1930—31 წელში—278.184, 1931—32 წელში—283.156, 1932—33 წელში—288.278, 1933—34 წელში—293.468, 1934—35 წელში—298.881.

ათი წლის განმავლობაში საქართველოში გახსნილი იქნება 4.774 ახალი სასკოლო კომპლექტი. არსებული კომპლექტის შესანახავი ხარჯები გეგმით ნავარაუდევია 1.065 მანეთი ყოველწლიურად (თითო კომპლექტი), ახლად გახსნილ კომპლექტების შენახვა კი—1.365 მანეთი თითო კომპლექტზე ყოველწლიურად. სულ არსებულ და ახლად გახსნილ კომპლექტების შენახვა ათი წლის განმავლობაში დაჯდება 91.466.235 მანეთი.

საყოველთაო დაწყებითი სწავლების გასატარებლად საჭირო იქნება პირველი საფეხურის სკოლების მასწავლებელთა რიცხვის გადიდება. სულ ათი წლის განმავლობაში საჭირო იქნება 10.346 ახალი მასწავლებელი.

პედაგოგიური პერსონალის მოსამზადებლად გახსნილი იქნება პედაგოგიური ტეხნიკუმები და კურსები, რასაც ათი წლის განმავლობაში დასჭირდება 15.484.600 მანეთი.

საყოველთაო დაწყებითი სწავლების შემოღებისათვის საჭიროა სასკოლო შენობების გაფართოვება და ახალი სკოლების აგება. სულ ათი წლის განმავლობაში აგებული იქნება 1681 ახალი სასკოლო შენობა, რისთვისაც საჭირო იქნება 30.784.080 მანეთი (მინიმალური თანხა).

ამის გარდა, საჭიროა კიდევ არსებული სკოლების შეკეთება და გაფართოვება, რასაც დასჭირდება 16.119.360 მანეთი.

სულ საყოველთაო დაწყებითი სწავლების ვატარება საქართველოში ავტონომიურ რესპუბლიკებთან ერთად ათი წლის განმავლობაში დაჯდება 154.500.275 მანეთი. აქედან: სკოლების შესანახავი ხარჯები—91.466.235 მანეთი, პედაგოგიური პერსონალის მომზადება — 16.430600 მანეთი, ახალი სკოლების აგება—30.484.080 მანეთი, შენობების აგება არსებული სკოლებისათვის, სკოლების შენობების გაფართოვება და რემონტი—16.119.360 მანეთი, სულ—154.500.275 მანეთი.

გამოკვლევა

სოღანლუღ - კუმისის რაიონისა

წყალთა მეურნეობის სამმართველომ ამას წინეთ სოღანლუღ - კუმისის ველზე გაგზავნა ჰიდროლოგიური ექსპედიცია ჰიდროლოგების, გეოლოგების და ბოტანიკოსების მონაწილეობით.

ექსპედიციას დავალებული ჰქონდა გამოეკვლია აღნიშნული ველი, როგორც ჰიდროლოგიური და გეოლოგიური, ისე ბოტანიკურის მხრივ.

ექსპედიციამ კუმისის ტბაში აღმოაჩინა სამკურნალო ტიპის ტალახი, ისეთივე ნა სამკურნალო ტიპის ტალახი, ისეთივე, როგორიც პიატიგორსკთანაა. თვით ტბის დროს აღმოჩნდა, რომ იქ არავითარი ცოცხალი ორგანიზმები არ არიან, ვინაიდან წყალი ისეთი შემადგენლობისაა, რომ იქ ცხოველებს არ შეუძლიათ ცხოვრება. ტბაში აღმოჩნდა აგრეთვე განსაკუთრებული მცენარენი, რომლითაც იკვებებიან ფრინველები.

სოღანლუღ - კუმისის ველის ნიადაგის გამოკვლევის დროს აღმოჩნდა, რომ იქ სცხოვრობენ აუარებელი მავნებლები, რომლებიც ანადგურებენ ნათესებს. ამ მავნებლების გავრცელებას ხელს უშლიან მელიები.

ექსპედიციამ დაადგინა აღძრას შუამდგომლობა, რომ აიკრძალოს აღნიშნულ რაიონში მელიებზე ნადირობა.

გარდა ამისა ველზე მოიპოვებიან დიდძალი გარეული მტაცებელი ფრინველები, რომლებიც სპობენ მინდვრის თაგვებს და საზოგადოთ მავნებლებს. ექსპედიცია საჭიროდ სთვლის ხელის შეწყობას მათი გავრცელებისათვის და ამ ფრინველების ხოცვის აკრძალვას.

აგროპუნქტები

გასულ წელს გორის მაზრაში მოწყობილი იყო ხუთი აგრონომიული პუნქტი. ახალი საბიუჯეტო წლის დამდეგიდან აგრონომიულ პუნქტთა რიცხვი გადიდებულია 12-მდე.

ამჟამად მაზრაში მუშაობს 13 ტრაქტორი, აქედან 9 „ხოლტი“-ს სისტემის არის, 4 „ფორძონი“-ს სისტემისა. ტრაქტორები შეძენილია გლეხთა კოლექტივების მიერ. უკანასკნელი თვის განმავლობაში მოწყობილია 8 სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობა, რომლის უახლოესი მიზანია ტრაქტორებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო იარაღების შეძენა.

მთელ ახალქალაქის მაზრაში არსებობს მხოლოდ სამი აგრონომიული პუნქტი. გარდა ამისა მოწყობილია კიდევ ორი სასოფლო-სამეურნეო იარაღების გასაქირავებელი პუნქტი. სეზონის განმავლობაში ამ პუნქტებიდან საქირაოდ მიეცა გლეხებს 11 გუთანი, 30 სათიბი მანქანა, 54 ცხენის შესაბმელი ფარცხი და სხვა. სასოფლო-სამეურნეო იარაღების ნაკლებობა გლეხებს საშუალებას არ აძლევს დააკმაყოფილოს თავისი საჭიროება. მიმდინარე საბიუჯეტო წელს განზრახულია, როგორც გასაქირავებელ პუნქტების გადიდება, ისე იარაღების შეძენა.

„ორიანტი“

მუშაობა სასტუმრო „ორიანტი“-ს გადასაკეთებლად და მოსაწყობად დამთავრდება ახლო ხანში. მთავარი სამუშაოები დამთავრებული იქნება 15 დეკემბრისათვის, რის შემდეგაც დაიწყება სასტუმროს გაწმენდა - გასუფთავება შიგნიდან და ოთახების მოწყობა.

სასტუმროს გახსნა მოსალოდნელია იანვარში.

„ორიანტი“ კაპიტალურად გადაკეთებულია. ზოგიერთი ოთახები გაერთიანებულია. ყოველ ოთახს ექნება საკუთარი საპირფარეშო, ვანა და ტელეფონი. სულ მოწყობილი იქნება 70-დე ოთახი.

სასტუმროს ქვედა სართულში ეწყობა რესტორანი, კაფე - საკანდიტერო, საპარიკმახერო და სხვა. სასტუმროს სახურავზე მოწყობილი იქნება საზაფხულო ვერანდა.

ოთახების კედლები ხელახლა შეღებილია. მისაღები ოთახის კედლების დახატვაზე მუშაობდა მხატვარი **ლადო გუდიაშვილი.** კედლებზე დახატულია: ქართული ჯირითი—სეირნობა, თბილისის აღმოჩენა (ნადირობა მიმინოთი, რომელიც ცხელ წყალში ჩავარდა და მოიხარშა) და ქალების წასვლა წყალზე სურებით.

ეს ოთახი მეტად კარგ შთაბეჭდილებას სტოვებს თავისი მხატვრობით.

საერთოდ სასტუმრო ეწყობა ევროპიულ სტილზე. მოწყობილია ცენტრალური გათბობა, ყველა ოთახებში გაყვანილია წყალსადენის მილები და სხვა.

ექიმთა ყრილობა

უკანასკნელი სხდომა

რეზოლიუციების მიღება

24 ნოემბრის დილის სხდომაზე, ყრილობა შეუდგა მოსმენილ მოხსენებათა ირგვლივ რეზოლიუციების მიღებას.

რეზოლიუციების ტექსტის წაკითხვის შემდეგ, ყრილობა არჩევდა რეზოლიუციის ცალკე პუნქტებს და ღებულობდა საბოლოო რედაქციით.

ყრილობის მიერ რესპუბ. ბიუროს მუშაობის შესახებ მიღებულ რეზოლიუციაში ნათქვამია, რომ ბიუროს წარსულში ბევრი სამუშაოები შეუსრულებია; შემდეგ მოყვანილია მომავალი მუშაობის მოკლე სქემა.

ყრილობამ მიიღო აგრეთვე რეზოლიუცია ჯანსახკომის მიერ გაკეთებულ მოხსენებაზე, წითელი ჯვრის საზოგადოების წარმომადგენლის მოხსენებაზე და ექიმთა შრომის პირობებისა და ხელფასის საკითხის შესახებ.

მიღებულ რეზოლიუციებში ყრილობა გამოსთქვამს რწმენას, რომ მოხსენებული ორგანიზაციები მომავალში შესძლებენ უფრო გააფართოვონ თავიანთი მუშაობა და დააგვირგვინონ ის საქმე, რომლის შესრულებაც მათ დავალებული აქვთ.

არჩევნები

სხდომის დასასრულს ყრილობამ ამოირჩია მედსანშრომის მუშაკთა კავშირის საექიმო სექციის რესპუბლიკანური ბიურო 19 კაცის შემადგენლობით. ბიუროში აირჩიეს: ამხ. ქუთათელაძე, სტეფანოვი, მამულია, ცომაია, ვეკუა, ანჩაბაძე, იორაიშვილი, ურუშაძე, არუშანოვი, ასრიბეკოვი, ლორთქიფანიძე, კიკალეიშვილი, ნაზარეტიანი, დემიდოვ, მიქელაძე, წულუკიძე და სხ. დასასრულ, ყრილობამ ამოირჩია ხუთი დელეგატი სრ. საკავშირო ექიმთა ყრილობაზე დასასწრებლად.

საკავშირო ყრილობაზე ვასაგზავნათ აირჩიეს: ამხ. ქუთათელაძე, ანჩაბაძე, მამულია, იორაიშვილი და ცომაია.

ამით დამთავრდა ყრილობის მუშაობა.

ოქტომბრის გზით

ამხ. მამია ორახელაშვილის მოხსენება სრულიად საქართველოს ექიმთა ყრილობაზე თბილისის ექიმებისა და მედსანშრომის პროფკავშირის აქტივის თანადასწრებით.

— ამხანაგებო! თქვენ თავი მოიყარეთ მორიგ წლიურ ყრილობაზე, რომ იმუშავოთ ხალხის ჯანმრთელობის საკითხებზე და შემდეგ თქვენს პრაქტიკულ მოღვაწეობაში გაშლილი ფრონტით წაბიჯდეთ იმისკენ, რასაც მშრომელი ნაწილის ბედნიერება ეწოდება.

თქვენი საქმიანი და სამეცნიერო -პრაქტიკული მუშაობა გვერდს ვერ აუვლის შინაურ და საგარეო პოლიტიკის საკითხებს, რადგან ეს საკითხები მჭიდროთ დაკავშირებულია თქვენი ყრილობის დღის წესრიგში დასმულ პრაქტიკულ საკითხებთან.

ჩვენთვის საჭიროა გავეცნოთ საბჭოთა მიჯნის იქით მდებარე სახელმწიფოების და ჩვენს შინაურ მდგომარეობას, რომ შევიმუშავოთ შემდგომი მოქმედების გეზი. აუცილებელია საერთაშორისო ძალთა განწყობილების გამორკვევა. ძალთა განწყობილება კი ჩვენს სასარგებლოდ იცვლება.

კაპიტალიზმი იმპერიალისტური ომის შემდეგ ნაწილობრივ გამტკიცდა და უახლოვდება ომის წინა ხანების მდგომარეობას. მაგრამ ეს სტაბილიზაცია არ არის სრული, მას ადგილი არ აქვს ყველა დარგებში.

ჩვენ ვიცით სოციალიზმის ისტორიიდან, რომ რაც უფრო მტკიცდება კაპიტალიზმი, მით უფრო ძლიერდება მასში შინაგანი წინააღმდეგობანი. ეს წინააღმდეგობანი ღრღნის კაპიტალიზმს და ნიადაგს უმზადებს ახალი საერთაშორისო კონფლიქტებს.

ჩვენ ეხლა ვდგევართ ახალი გართულების წინ კაპიტალისტურ ქვეყნებში, მოსალოდნელია ახალი ომი, რადგან კაპიტალიზმი თვითონ ომია. მშვიდობიანი კონკურენცია, ბოლოს და ბოლოს, ომით თავდება. კაპიტალიზმის სტაბილიზაციას თან მოაქვს ბურჟუაზიული პოლიტიკის ყველა მეთოდები, მათ რიცხვში სადავო საკითხების იარაღით გადაწყვეტა.

მაგრამ ამ ომს ჩვენ უნდა დავუპირდაპიროთ მეორე—ომი სამოქალაქო ომი, რომელიც თანდათან მზადდება ევროპის ქვეყნებში. ჩვენ ამჟამად გვაქვს არა მარტო კაპიტალიზმის, არამედ მისი ანტიპოდის სტაბილიზაციაც.

გადახედეთ რა ხდება ინგლისში, კაპიტალიზმის ამ კლასიურ ქვეყანაში. მემაღაროეთა გაფიცვა, რომელიც 7 თვე გრძელდება, შემთხვევითი მოვლენა არ არის. იგი ამტკიცებს რომ ინგლისის მრეწველობის ჰეგემონიას ბოლო ეღება. ინგლისის მრეწველობა დეგრადაციის გზაზე სდგას. ეხლა იქ ბრძოლა სწარმოებს ბურჟუაზიასა და პროლეტარიატს შორის იმისათვის, თუ ვინ უნდა იკისროს მრეწველობის ზარალი. მემაღაროეები რომ დამარცხდენ კიდეც, ამით მდგომარეობა არ შეიცვლება, რადგან ინგლისის მრეწველობის დაქვეითება ფაქტია.

როგორია ინგლისის საგარეო ურთიერთობა? ამ დღეებში დამთავრდა ბრიტანეთის საიმპერიო კონფერენცია. ბრიტანეთის იმპერიას, რომელმაც ომის დროს განავითარა დომინიონების მრეწველობა და ერთგვარი თავისუფლება მისცა მათ, ეხლა უხდება ზომების მიღება ამის წინააღმდეგ. დომინიონებმა განავითარეს საკუთარი მრეწველობა,მათ მოიპოვეს ერთგვარი უფლებები, ეხლა კი მათ გაფართოვება მოითხოვეს. ეს კი ბრიტანეთის იმპერიას დაშლას უქადის. მდგომარეობა თანდათან მწვავდება. კოლონიები, რომლებიც წინეთ ძალას მატებდნენ ინგლისის ლომს, ეხლა კოლონიალური ომის გაჩაღებას უპირებენ ბრიტანეთს.

ის, რაც ხდება ინგლისში, შემთხვევითი მოვლენა არ არის. იქ ვითარდება რევოლიუცია, რომელიც უპირველეს ყოვლისა იმპერიალისტების წინააღმდეგაა მიმართული. ამ რევოლიუციის გამარჯვების პირველი შედეგი იქნება ის, რომ ჩინეთიდან განდევნიან ყველა იმპერიალისტებს.

რევოლიუციის ალი ედება აგრეთვე სირიას, ინდონეზიას და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებს. დაჩაგრული აღმოსავლეთი იღვიძებს და ემუქრება კაპიტალისტურ ქვეყნებს და ყველაზე ძლიერს მათ შორის —ინგლისს.

კაპიტალიზმის სტაბილიზაცია არ არის სრული, მტკიცე, რადგან თვით კაპიტალისტური ქვეყნების შიგნით ყველაფერი რიგზე ვერ არის. ეს ასუსტებს ჩვენი მტრების და უმთავრესად, ინგლისის ძალებს.

ჩვენი ძალები კი თანდათან იზრდება. ჩვენ გვყავს ძლიერი რეზერვი დასავლეთის პროლეტარიატის და აღმოსავლეთის კოლონიალური ერების სახით, რომლებიც აჩერებენ ჩვენს წინააღმდეგ მომართულ იმპერიალისტების იერიშებს. თუ ჩვენ გავიმარჯვეთ და გავმაგრდით დედა-მიწის ერთ მეექვსედ ნაწილზე, ამაში დიდი ღვაწლი მიუძღვის ევროპის პროლეტარიატს. ჩვენ გვახსოვს ის წლები, როდესაც ჩვენზე მოდიოდა 14 სახელმწიფო. გერმანიის და ინგლისის მუშებმა უარი სთქვეს იარაღის ჩვენს წინააღმდეგ გამოგზავნაზე და ამით ხელი შეუწყვეს საბჭოების გამარჯვებას.

ეხლა იმპერიალისტებს არ შეუძლიათ ჩვენზე წამოსვლა არა მარტო იმიტომ, რომ ჩვენი წითელი არმია ძლიერია, არამედ იმიტომაც, რომ იქაური მუშათა კლასის თანაგრძნობა ჩვენს მხარეზეა.

ოქტომბრის რევოლიუციის ცხრა წლის თავზე ჩვენ დავამთავრეთ სახალხო მეურნეობის აღდგენის პერიოდი. ძველმა ხელისუფლებამ ჩვენ ყველაფერი დანგრეული დაგვიტოვა. ეს დანგრეული მეურნეობა ჩვენ აღვადგინეთ. ჩვენ თავიდან მოვიშორეთ უძლიერესი მტრები. ჩვენ ჩამორჩენილობის მთავარი მიზეზები და სათავეში ჩაუდექით მეურნეობას.

დღეს უკვე აღდგენის პერიოდი დამთავრდა. რას ნიშნავს ეს? ჩვენ აღვადგინეთ ის, რაც ჩამქრალი იყო. მაგრამ ჩვენ გვაქვს ახალი აღმშენებლობაც, რომლითაც მტკიცე ეკონომიურ საფუძველს ვუყრით საბჭოთა ხელისუფლებას. ეს აღმშენებლობა უნდა გავაფართოვოთ, რადგან სხვანაირად არ შეიძლება სოციალიზმის დამყარება.

ამ მიმართულებით დიდი ნაბიჯებია გადადგმული. საქართველოში აღსადგენი ცოტა იყო, რადგან ჩვენ აქ ბევრი არაფერი დაგვხვედრია. აღვადგინეთ ეს და საძირკველი ჩაუყარეთ ახალ მრეწველობას. ჩვენი ნაბიჯები რეალურია. ინდუსტრიალიზაციას ვატარებთ ისე, რომ საქართველო ახლო ხანში გადაიქცევა სამრეწველო ქვეყნათ. ჩვენში ვითარდება მრეწველობის ისეთი დარგები, რომლებიც წინეთ არ იყო. იქმნება ახალი მრეწველობა, ახალ საზოგადოებრივ საფუძველზე.

ჩვენ გლეხური ქვეყანა ვართ. გრძნობს თუ არა გლეხობა თავისი მდგომარეობის გაუმჯობესებას? იმისათვის, ვინც ზერელედ მაინც დაკვირვებია ჩვენი გლეხების ცხოვრებას, შეამჩნევდა, რომ მათი მდგომარეობა საგრძნობლად გაუმჯობესდა და უმჯობესდება დღითი დღე. სოფლად გაჩაღებულია აღმშენებლობა.

მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვა ჩვენი ერთერთი მთავარი სამუშაოა. მართალია ამ დარგში ჩვენ ვერ შევძელით ყველაფრის გაკეთება, მაგრამ ამაში დამნაშავეა თანხების უქონლობა. ყოველ შემთხვევაში ჩვენ ამჟამად 600.000 დაზღვეული, რაც დიდი მიღწევაა ჩვენს პირობებში.

ჩვენ მთავარ ყურადღებას ვაქცევთ სახალხო მეურნეობას. თუ აქ მივაღწიეთ მნიშვნელოვან შედეგებს, ამით გაუმჯობესდება ცხოვრების სხვა მხარეებიც.

1926 წელში უკვე არავის ეჭვი არ უნდა ჰქონდეს იმაში, რომ ჩვენი წესწყობილება დამყარებულია ჯანსაღ საფუძველზე. ჩვენ ვივლით ამ გზით და დავარწმუნებთ ყველას, რომ ოქტომბრის გზა არ ყოფილა შემცდარი.

ჩვენი მუშაობის გასაძლიერებლად საჭიროა მთლიანობა. ძლიერი ვართ თუ არა ჩვენ ამ მხრივ? თუ ჩვენ დღეს გვაქვს დიდი მიღწევები მუშაობის ყველა დარგებში, ეს იმის შედეგია, რომ მრავალმა მუშაკმა შეიცვალა აზრი საბჭოთა ხელისუფლებაზე. წინეთ იყო ეჭვი. დარწმუნებული არ იყვნენ რაში გამოიხატებოდა დაწყებული მოძრაობა. ეხლა დროა შეიცვალოს მდგომარეობა. ვინც არ ფიქრობს ძველის დაბრუნებაზე მოდით და ვიმუშაოთ ერთად. ჩვენ ჯერჯერობით ბევრი არ გვაქვს, მაგრამ შეერთებული მუშაობით ბევრს გავაკეთებთ.

თუ ჩვენ რამე გავაკეთეთ, ეს თქვენი და ჩვენი მუშაობის ნაყოფია. წინეთ ამის მიღწევა არ შეიძლებოდა, რადგან მაშინ კერძო საკუთრება ბატონობდა, მაშინ მტრები იყვნენ ირგვლივ, რომლებსაც ყველაფერი მიჰქონდათ, მაგრამ არაფერი არ მოჰქონდათ. ეხლა ჩვენ სხვა მეზობლები გვყავს. ისინი გვეხმარებიან ქვეყნის საწარმოო ძალების აღდგენა - განვითარებაში.

ჯანმრთელობის დაცვა არის სოციალიზმის ერთი ნაწილი. ამიტომ საჭიროა თქვენი და ჩვენი გაერთიანებული მუშაობა, რომ გადავლახოთ ხალხის უმეცრება და კულტურის გზაზე გამოვიყვანოთ იგი (ტაში).

ზეიმი ებრაელთა უბანში

ებრაელთა პირველი კოოპერატივის გახსნა

24 ნოემბრის საღამო დაუვიწყარ და წარუშლელ თარიღათ დარჩება თბილისის მშრომელ ებრაელთათვის. ამ დღეს მათ უბანში თბილისის მთლიანი მუშათა კოოპერატივის თაოსნობით გაიხსნა პირველი კოოპერატივი.

გახსნის ზეიმს დაესწრო დიდძალი მშრომელი ებრაელობა, მთავრობის, თბილისის აღმასკომის, მუშკოოპის და საზოგადოებრივი ორგანიზაციათა წარმომადგენელნი. კოოპერატივის ოფიციალურად გახსნის შემდეგ იქვე გაიმართა დიდი მიტინგი, რომელიც გახსნა დ. ბაზოვმა. მიტინგზე პირველი მისასალმებელი სიტყვით გამოვიდა ამხ. შამშე ლეჟავა.

ამხ. შამშე ლეჟავას სიტყვა

ორატორი თავისი სიტყვის შესავალში აღნიშნავს ებრაელთა მშრომელი მასის კოოპერატიულად დარაზმვის დიდ მნიშვნელობას და ამბობს, რომ ებრაელთა ღარიბი ნაწილის მომავალზე ფიქრი შეიძლება მხოლოდ მათი კოოპერატიული დარაზმით.

შემდეგ ის ვრცლად იგონებს ებრაელთა წარსულს, მათ მდგომარეობას მეფის რეჟიმის დროს და იმ დევნას, რომელსაც ისინი განიცდიდენ შავრაზმელებისაგან. საბჭოთა ხელისუფლება განაცხადა ამხ. შამშემ მუდამ მუშაობს მშრომელი მასებისათვის. ისთვის არ არსებობს არავითარი განსხვავება, არც სარწმუნოებრივი და არც ეროვნული.

დეე, ეს კოოპერატივი პირველი ლამპარი იყოს, რომელიც არ ჩაქრება და მუდამ გაგინათებთ უკეთეს მომავლისაკენ სავალ გზას. გაუმარჯოს ებრაელთა პირველ კოოპერატივს—ასრულებს თავის სიტყვას ამხ. შ. ლეჟავა.

ამხ. ვარძიელის სიტყვა

მთავრობის სახელით დამსწრეებს მიესალმა ამხ. ი. ვარძიელი.

ორატორი შეეხო ებრაელთა მშრომელი მასის კულტურულ ჩამორჩენილობას და აღნიშნა ის როლი, რომელსაც ითამაშებს მათში კოოპერატიული და კულტურულ-განმანათლებელი ორგანიზაციები. ამხ. ვარძიელი ამბობს, რომ ხელისუფლება ყოველგვარ დახმარებას აღმოუჩენს შესაძლებლობის ფარგლებში ებრაელთა მშრომელ მასებს.

დასასრულ, ორატორი უსურვებს ებრაელობას კულტურულ წინსვლას და გამარჯვებას საბჭოთა საზოგადოებრივობის განმტკიცების საქმეში.

თბილისის აღმასკომის მისალმება

თბილისის აღმასკომის სახელით მისასალმებელი სიტყვა წარმოსთქვა ამხ. კორძახიამ.

ორატორი ვრცლად ჩერდება ებრაელთა წარსულზე და ამბობს, რომ ძველ დროში ქალაქის მესვეურები ნაკლებ ყურადღებას აქცევდენ საზოგადოთ მშრომელთა უბნებს და არავინ არ ფიქრობდა კერძოთ ებრაელთა უბანზე. საბჭოთა ხელისუფლების დროს კი მდგომარეობა შეიცვალა და აღმასკომი თავის მუშაობას ქალაქის კეთილმოწყობის დარგში ატარებს პირველ რიგში გარე უბნებში, რასაც ამტკიცებს თუნდაც ის ბაღი, რომელიც ებრაელთა ქუჩაზე იქნა გაშენებული.

ორატორი იძლევა დაპირებას ქალაქის აღმასკომის სახელით, რომ აღმასკომი მომავალშიაც არ მოაკლებს თავის ყურადღებას ებრაელთა უბანს და იქ ჩაატარებს საჭირო და შესაძლებელ სამუშაოს უბნის გამშვენიერებისათვის.

მუშკოოპის მისალმება

მუშკოოპის სახელით მისასალმებელი სიტყვა წარმოსთქვა მუშკოოპის გამგეობის თავმჯდომარემ ამხ. ერისთავმა.

იგი აღნიშნავს კოოპერატივის როლს მშრომელი ხალხის კეთილდღეობისათვის და ამბობს, რომ ეს კოოპერატივი პირველია მთელ რესპუბლიკაში, როგორც ებრაელთა კოოპერატივი და იმედია ებრაელთა მასის ერთსულოვანი დახმარებით კოოპერატივი შესძლებს მასზე დამყარებულ ყველა იმედების გამართლებას.

ზეიმის ბოლოს, საბოლოო სიტყვით გამოვიდა დავით ბაზოვი, რომელმაც აღნიშნა ხელისუფლების დიდი ყურადღება მშრომელ ებრაელობისადმი.

ორატორი მოუწოდებს დამსწრეებს ხელი შეუწყონ ასეთ დიდ მნიშვნელოვან წამოწყებებს, რადგანაც ამას უაღრესად დიდი მნიშვნელობა ექნება კულტურულად ჩამორჩენილ ებრაელთა ღარიბ ნაწილისათვის.

ზეიმის დასასრულს დამსწრე ებრაელებმა გადასცეს ამხ. კ. ხომერიკს 200 მანეთი ლენინაკანში მიწის ძვრისაგან დაზარალებულთათვის გადასაცემად.

დახმარება უმუშევრებს

1926-27 წლისათვის უმუშევართა დასახმარებლად საქ. საგეგმო კომისიამ გადასდო 165.125 მანეთი. ეს თანხა საქართველოს საგეგმო კომისიამ ცალკე ქალაქთა შორის განაწილა შემდეგნაირად:

თბილისს მიეცა — 95.060 მანეთი, ბათომს 17.000, ქუთაისის მაზრას—13.660 სოხუმს — 11.100, შორაპნის მაზრას —14.700, გორის მაზრას — 2.500 მანეთი და ფოთს—2.865 მანეთი, დანარჩენი 11.115 მანეთი დატოვებული იქნა შრომის სახალხო კომისარიატის განკარგულებაში საორგანიზაციო და მოულოდნელი ხარჯების დასაფარავად.

უმუშევართა ფონდის ცალკე რაიონებს შორის განაწილებას საფუძვლად დაედვა გასულ სამეურნეო წლის დამლევის უმუშევართა რიცხვი.

ფოთისათვის, შორაპნისა და გორის მაზრებისათვის გადადებული თანხა, საგეგმო კომისიის აზრით, მთლიანად საზოგადო სამუშაოებზე უნდა დაიხარჯოს, ხოლო დანარჩენ პუნქტებისათვის გადადებული თანხა განაწილებულია შემდეგნაირად: 50 პროც. უნდა დაიხარჯოს შრომის კოლექტივებზე, საზოგადო სამუშაოებისათვის გაღებული უნდა იქნეს 25 პროც., გადამზადებაზე უნდა დაიხარჯოს 15 პროც., ხოლო ექსპერტიზაზე და გადაგზავნაზე კი ხუთ-ხუთი პროცენტი.

ქრონიკა

მისალმება ცაკს

საქ. ცაკის პრეზიდიუმმა ბათომიდან მიიღო შემდეგი დეპეშა:

„აჭარისტანის ფიზკულტურის მუშაკთა პირველი თათბირი მიესალმება საქართველოს ცაკს და გამოსთქვამს იმედს, რომ მისი ხელმძღვანელობის საშუალებით აჭარისტანის ფიზკულტუროსნები უფრო მაღლა ასწევენ წითელ დროშას პროლეტარული საერთაშორისო ფიზკულტურისას".

დუბენეცკის ჩამოსვლა

გუშინ თბილისში ჩამოვიდა საბჭოთა კავშირის სტატ. სამმართველოს სასოფლო-სამეურნეო სტატისტიკის გამგე ამხ. ნ. ო. დუბენეცკი, რომლის მიზანია გამოიკვლიოს, თუ რა მდგომარეობაში არის ა.-კ. ფედერაციაში პურისა და საძების დამზადების საქმე.

უმუშევრობასთან ბრძოლა

უმუშევრობასთან ბრძოლის გაძლიერების მიზნით საგეგმო კომისიამ შრომის სახალხო კომისარიატს დაავალა შეიმუშავოს გეგმა რესპუბლიკის ქალაქებსა და მაზრებში საზოგადო სამუშაოების მოსაწყობად.

კერძოდ, თბილისში განზრახული საზოგადო სამუშაოების მოწყობის გეგმა გამომუშავებული იქნება თბ. აღმასკომთან ერთად. თბილისში საზოგადო სამუშაოები მოეწყობა საბურთალოს ჭაობების ამოსაშრობად და გასაფართოვებლად და საერთოდ ქალაქის კეთილმოსაწყობად.

თბ. აღმასკომში

◆ **დინამო.** ახალქალაქის მაზრას თბ. აღმასკომმა გადასცა 20 კილოუატიანი დინამო-მანქანა.

◆ **საექიმო დახმარება.** ჯანმრთელობის განყოფილებას დაევალა მაზრაში მომუშავე მოჯამაგირეებს საექიმო დაწესებულებებიდან პირველ რიგში გაუწიოს საექიმო დახმარება.

◆ **წყალსაზომები.** რუსეთიდან კომუნალურ განყოფილებამ დამატებით მიიღო 1900 წყალსაზომი.

მიწათმოქ. სახ. კომისარიატში

◆ **სახ.-სამ. მუზეუმში** მიწათმოქ. სახ. კომისარიატის თაოსნობით კვირაში ერთხელ გაიმართება აგრონომიულ და სახ.-სამ. ხასიათის ლექციები.

◆ **ფრინველების საჯიშე.** დიდუბეში კომისარიატი აწყობს შინაურ ფრინველების საჯიშეს.

◆ **აგრო-დახმარება.** მიწათმოქ. კომისარიატმა გადასწყვიტა წელს მაზრებში გააფართოოს აგრო-სადგურების ქსელი.

◆ **ტყე.** კომისარიატმა სატყეო განყოფილებას დაავალა შეუდგეს ადგილობრივ მნიშვნელობის ტყეების მოწყობას.

თბ. დამზღვევ სალაროში

◆ **პენსიები.** თბ. დამზღვევმა სალარომ გასულ თვეში პენსიების სახით გასცა 37.628 მან.

◆ **დახმარება.** ოქტომბერში დამზღვევ სალაროს რაიონულმა პუნქტებმა სხვადასხვა დახმარების სახით დაზღვეულებს დაურიგეს 95.000 მან.

◆ **მშობიარეთა დასახმარებლად** გასულ თვეში სალარომ გასცა 10.825 მან.

ჯანმრთელობის კომისარიატში

◆ **რუქა.** ჯანმრთელობის კომისარიატმა გადასწყვიტა შეადგინოს ორი რუქა, ერთი არსებული საექიმო დაწესებულებების და მეორე—საპერსპექტივო.

◆ **ახალი საავადმყოფოები.** ჯანსახკომმა დაადგინა მაზრების უმთავრეს თემებში არსებული საექიმო პუნქტები გადააკეთოს საავადმყოფოებათ.

სხვადასხვა

◆ **უმუშევართა კრება.** მუშათა სასახლის დიდ დარბაზში 1-ლ დეკემბერს, საღამოს 6 საათზე მოწვეულია საბჭოთა და სავაჭრო მუშაკთა პროფკავშირის უმუშევარ წევრთა საერთო-საქალაქო კრება.

დღისწესრიგში დასმულია თბილისის შრომის ბირჟის გონებრივ მუშაკთა სექციის ანგარიში.

უმუშევარ წევრთა დასწრება სავალდებულოა.

◆ **ხალიჩების მეურნეობის** გასაძლიერებლად ა.-კ. სახ. ვაჭრობის სამმართველომ გადასდო 500.000 მან.

◆ **ქარხლის მეურნეობა.** ტირიფონის ველზე განზრახულია ქარხლის მეურნეობის მოწყობა.

— **დისპანსერი.** გორში იხსნება ვენერიული დისპანსერი.

— **სათესლე.** ახალქალაქის მაზრაში დაიწყო გლეხებისთვის მიცემულ სათესლე სესხის აკრეფა.

შემთხვევები

◆ **„პონჩიკის" მსხვერპლი.** 23 ნოემ. მარგარიტა ხაიჯანბეგოვას საგანელიძის საკონდიტეროში (პუშკინის ქ., № 51), შეუჭამია „პონჩიკი", რითაც მოიწამლა. დაზარალებული სასწრაფოდ გადაიგზავნა საავადმყოფოში.

◆ **მორგებული გასაღების საშუალებით.** პლეხანოვის გამზირი, № 133, აგაფია საფაროვის ბინიდან მოიპარეს 200 მ. ნივთები.

◆ ამავე დღეს სანაპიროს ქ., № 15, გერმანელების საავადმყოფოს სამორიგეო ოთახიდან მოპარული იქნა სხვადასხვა ნივთები.

◆ ამავე დღეს ლოტკინის ქ., № 8, უცნობ ბოროტმოქმედთა მიერ გაქურდული იქნა შალვა ვაშაკიძის ბინა.

სასამართლო

ცოლის მკვლელი

(თედო ჩანგიშვილის საქმე)

გუშინდელ სხდომაზე სასამართლოს მიერ ექსპერტებს მიეცა მთელი რიგი კითხვები.

ექსპერტები გადაჭრით აღიარებენ, რომ ბრალდებულის მიერ მკვლელობა ჩადენილია არა წინასწარი განზრახვით, არამედ პატოლოგიური აფექტის დროს.

ბრალდებულმა **ჩანგიშვილმა** სასამართლოში განაცხადა, რომ ექიმ-ექსპერტის დასკვნა იმის შესახებ, რომ თითქოს ის იყოს პატოლოგიური ტიპი სინამდვილეს არ შეესაბამება.

თავმჯდომარის შეკითხვაზე ბრალდებულმა უპასუხა, რომ ის სრულიად ნორმალურ ადამიანათ გრძნობს თავს.

ექსპერტი პროფ. **ახათიანი** ამბობს, რომ ბოროტმოქმედების ნიადაგი მომზადებულია მთელი 10 წლის განმავლობაში.

ექსპერტიზა შეკითხვებზე პასუხს აძლევდა მთელი 5 საათის განმავლობაში.

მხარეთა კამათი

ექსპერტების დასკვნის მოსმენის შემდეგ, გაიმართა მხარეების კამათი.

სახელმწიფო ბრალმდებელმა **კიკაბიძემ** ვრცელი ანალიზი გაუკეთა საქმეში დართულ მასალას და აღნიშნა, რომ ბრალდებულის მიერ ბოროტმოქმედება ჩადენილია უსაფუძვლო იჭვიანობის ნიადაგზე. პროკურორს მოჰყავს მთელი რიგი მოწმეების ჩვენებები იმის შესახებ, რომ გარდაცვალებულ ეკატერინას ქმარი უყვარდა და დიდ ერთგულებასა და სიყვარულს იჩენდა ის ოჯახისადმი. პროკურორს უსაფუძვლოთ მიაჩნია ბრალდებულის და ზოგიერთი მოწმის განცხადება იმის შესახებ, რომ ავადმყოფობა (მალარია) ყოფილიყოს მთავარი მიზეზი მომხდარ უბედურებისა.

პროკურორი აკრიტიკებს ექსპერტების დასკვნას და ამტკიცებს, რომ ჩანგიშვილის მიერ მკვლელობა ჩადენილია არა პატოლოგიური აფექტის დროს, არამედ წინასწარი განზრახვით.

პროკურორი მოითხოვს ბრალდებულ ჩანგიშვილის დასჯას სისხლის სამართლის კოდექსის იმ მუხლის ძალით, რომლითაც გათვალისწინებულია მკვლელობა წინასწარი განზრახვით იჭვიანობის ნიადაგზე.

გუშინ, საღამოს 7 საათზე მოსმენილ იქნა დამცველების სიტყვები.

დამცველი **შ. მესხიშვილი** თავის ვრცელ სიტყვაში აღნიშნავს, რომ ბრალდებულ ჩანგიშვილს არ ჰქონდა წინასწარი განზრახვა მოეკლა თავისი ცოლი. დამცველი ეყრდნობა რა ექსპერტების დასკვნას ამბობს, რომ ჩანგიშვილის მიერ მკვლელობა ჩადენილია დროებით სულიერი მღელვარების ნიადაგზე და სთხოვს სასამართლოს ბრალდებულის მიმართ სისხლის სამართლის კოდექსის მე-12-ე მუხლის შეფარდებას ე. ი. სასჯელისაგან სრულიად განთავისუფლებას.

მეორე დამცველი **ლვამიჩავა** უერთდება დამცველ მესხიშვილის შუამდგომლობას.

დღეს მოსმენილ იქნება ბრალდებულის უკანასკნელი სიტყვა და გამოტანილი იქნება განაჩენი.

პურის ფქვილის მოყვარულნი

(ამირანაშვილის და პოზოიანცის საქმე)

ბრალდებული ამირანაშვილი მსახურებდა თბილისის რკ. გზ. სადგურში მწონავის თანამდებობაზე. ბოლოს ის საწყობის გამგეთ დანიშნეს. ერთ დღეს საწყობში შევიდა მოვაჭრე **პოზოიანცი**, რომელმაც წარუდგინა ამირანაშვილს ქვითარი, რითაც უნდა გაეტანა თავის კუთვნილი შავი ფქვილი 1000 ფუთის რაოდენობით. ამირანაშვილმა ქვითარი მიიღო და უთხრა:

— თქვენ, გერგებათ 1000 ფუთი შავი ფქვილი, მაგრამ, თუ თქვენც თანახმა იქნებით, მე შემიძლია მოგცეთ 1000 ფუთი თეთრი ფქვილი, რომელიც ეკუთვნის ჭიათურის მუშკოოპს.

პოზოიანცი დასთანხმდა. ჭიათურაში გაგზავნეს შავი ფქვილი, ხოლო თეთრი ფქვილიდან 600 მანეთამდე მოგება თანასწორად გაინაწილეს.

აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლომ ამირანაშვილს მიუსაჯა სამი წლით თავისუფლების აღკვეთა, ხოლო პოზოიანცს—2 წლით.

მსჯავრდადებულებმა საკასაციო საჩივარი შეიტანეს საქართველოს უზენაეს სასამართლოში.

გუშინ უზენაეს სასამართლოში ამხ. ხურგულაძის თავმჯდომარეობით და პროკურორ ქიქოძის მონაწილეობით გაირჩა ამირანაშვილის და პოზოიანცის საქმე.

სასამართლომ ამირანაშვილს სამი წლის თავისუფლების აღკვეთა შეუცვალა ერთი წლით, ხოლო პოზოიანცს კი—2 წლის თავისუფლების აღკვეთა—8 თვით.

კოოპერატიული ფულების მოყვარულნი

(შალამბერიძის და სხვათა საქმე)

გუშინდელ სხდომაზე მოსმენილ იქნა ექსპერტების დასკვნა.

დღეს გაიმართება მხარეების კამათი.

განაჩენი მოსალოდნელია ხვალ.

ხელოვნება

„სინათლე"

დადგმა მარჯანიშვილისა და ახმეტელისა

მუსიკა ვახვახიშვილის

ი. გედევანიშვილის პიესა „სინათლე" დადგმულია კარლოს გოცის ზღაპრულ თეატრის სულისკვეთებაში, რომელიც ასეთ აღტაცებას იწვევდა მე-19-ე საუკუნის მწერლებში; მაშინ ლამობდენ ლიტერატურის შეცვლას, სიტყვის თეატრით, წმინდა სცენიურ ჟანრებით, მოქმედების და სანახაობის თეატრით. ეს იყო ერთგვარი რეაქცია რეალიზმის და ნატურალიზმის წინააღმდეგ.

ჩვენ წინ იშლება თეატრალური სანახაობა არა ჩვეულებრივ მსუბუქი გრაციოზული და მხიარული, მოხდენილად შერჩეულ მუსიკალურ არიების თანხლებით; პიესაში მოცემულ გულის გამგმირავ არაადამიანური ტანჯვის და წამების განწყობილება შეცვლილია ელეგიური იდილიით და მსუბუქი მელანქოლიით. აღმოსავლური ზღაპრული ეგზოტიკა გასცენიურებულია გროტესკულ ანტურაჟებში. ეს არის მხატვრული ვინიგრეტი ჯადოქრულ ზღაპრულ ფერის და ანეკდოტისებურ შტრიხებში მოცემულ საჭირ-ბოროტო ყოველ დღიურობის; ეს უდარდელი ხუმრობა მოცემულია, როგორც დადგმასა და კარგათ დამუშავებულ დეკორაციებში, ისე თითოეულ ამსრულებელში.

„საწყალი, გლახაკი და კეთილი ხალხის წყალობით მცხოვრები დევრიშის" როლი კარგად აქვს დამუშავებული მსახიობ **ხორავას**; მთელი ატლეტური ფიგურა, გრიმი, კოსტუმი ქმნის პლასტიურად დასრულებულ სცენიურ სახეს.

კარგია სიმწვრით მოლხინე მეფე ჯიმშერის როლში მსახიობი **უშანგი ჩხეიძე**.

მსახიობი—ქალი **შავიშვილის** თამაში (ავთანდილის როლში) სიცოცხლის და მხიარულების შადრევანი სჩქეფს ხმის კისკისში, მოძრაობაში, ბევრია ზღაპრულ-ფერიული მზიურობა და სინათლე, ბევრია დასრულებული სცენიური სახეები.

ყარამან ღერღილაძე თავისი გამოულეველი ასი მანეთით (**ყორყოლიანი**) მეტად ეკონომიური მოძრაობაში. მისი თვითეული ნაბიჯი, კუნთის შეხრა ნაანგარიშებია განსაზღვრულ სცენიურ ეფექტზე; ის წარმტაცია მის მიერ მოწყობილ შეთქმულების სცენაში.

კარგია დამახასიათებელ როლში მსახიობი **ქანთარია**; მის თამაშში მოსჩანს სრული დაუფლება განსაზღვრულ ჟანრის.

ფერიებში კარგია **ხ. ჭიჭინაძე**; კარგია აგრეთვე **შ. ლამბაშიძე**.

შეუდარებელია ძიძის როლში მსახიობი ქალი **ბეჟანიშვილი**; პოზა, სახე, მიმიკა და, განსაკუთრებით ხმა: ეს რაღაც გადმოუცემელია; გულუბრყვილო ქართველ დედაკაცის ეს ჟანრი, საუცხოვოთ აქვს დამუშავებული მსახიობ ქალს, ხშირად სცენიური სახე მხატვრულად დასრულებულ შარჟამდის არის აყვანილი.

კარგია ოსი ძიძის როლში **ც. თაყაიშვილი**, თავის ადგილზე არიან დესპანის დამახასიათებელ როლებში **სარჩიმელიძე** და **მჟავია**, კარგია კარის კაცები — სპასალარი (**კანდელაკი**) და კარის კაცი (**კახიძე**) კარგი იყო სადებიუტო გამოსვლაში მსახიობი ქალი **ლეინიაშვილი** (დედოფალი).

კარგია კაცებისაგან შემდგარი გველეშაპის ფიგურა; აქ გროტესკი და ბუფონადა ოსტატობით არის გამოყენებული; ეს არის ხუმრობა არა მარტო ხალხურ ფანტასტიკაზე, არამედ თვით ამ ფანტასტიკის სცენიურ განსახიერებაზე.

შხეფი.

◆ **„კარმენ".** დღეს ოპერის თეატრში წარმოდგენილი იქნება „კარმენ".

◆ **ხელოვანთა სასახლეში** ორშაბათს გაიმართება საღამო.

◆ **„სიყვარულის სიმღერა".** კინო „არფასტოში" ორშაბათიდან წავა სურათი: „სიყვარულის სიმღერა".

◆ **„მეძავი".** დღეს მუშათა თეატრში რუსული დრამის მიერ წარმოდგენილი იქნება „მეძავი".

◆ **ლეო სიროტის კონცერტი.** კვირას, რუსთაველის საკონცერტო დარბაზში გაიმართება ლეო სიროტის გამოსათხოვარი კონცერტი.

◆ **„ჰამლეტ".** დღეს რუსთაველის თეატრში წარმოდგენილი იქნება „ჰამლეტ". ჰამლეტის როლს შეასრულებს უშანგი ჩხეიძე.

◆ **„რობინ გუდ".** კინო „აპოლოში" ამჟამად მიდის „რობინ გუდ" დუგლას ფერბენქსის მონაწილეობით.

◆ **ოპერის ბილეთები.** დღეიდან ოპერაში შესასვლელი სასეზონო ყველა უფასო ბილეთები გარდა რედაქციებისა, გაუქმებულათაა გამოცხადებული.

◆ **კონსერვატორიის დარბაზში** 27 ნოემბერს გაიმართება მომღერლების ეკატერინე ჩოჩიას და მ. კვიჟინაძის კონცერტი. მონაწილეობენ პოეტი რაჟდენ გვეტაძე, კ. ჯანუმოვი (ვიოლონჩელი) და ა. ხოფერია (სიმღერა). პროგრამაში: ქართველი, რუსი, სომეხი და ევროპის კომპოზიტორების ნაწარმოები.

◆ **განათლების მუშაკთა სახლში** დაარსდა მომღერალთა გუნდი კალანდაძის ლოტბარობით.

— **ესპერანტოს კურსები.** ამხ. ს. ორჯონიკიძის სახელობის კლუბში დაარსდა ესპერანტოს კურსები. მეცადინეობა უკვე სწარმოებს.

კინო

„დედა"

რეჟისორი პუდოვკინი.

რეჟისორი პუდოვკინი.

მუშის ოჯახის ძნელ კოშმარულ ყოფა-ცხოვრების ფონზე გადაშლილია რამოდენიმე გვერდი მუშათა კლასის ბრძოლის ისტორიიდან. მოძრაობის პირველი ყლორტი ისრისება პოლიციის ტლანქ ჩექმის ქვეშ. თითქოს სასოწარკვეთილებამ უნდა მოგვიცვას. მაგრამ რეჟისორის მხატვრული ალღო გრძნობს მოვლენების შინაგან ენერგიას. ყინვის მტვრევის, ლაზიერის სურათი. უბრალო მხატვრულ ეფექტისათვის კი არ მოსდევს მოძრაობის ზეაღსვლის სურათს.

ამ კინო სიმბოლიკის ენით რეჟისორს, სურს სთქვას, რომ ეს მოძრაობა არ არის ეფექტიური აღტყინება ორიოდ თავგაწირულ მებრძოლის; რომ ეს ისეც სტიქიური და შეუჩერებელია, როგორც ეს ყინვია ბორკილებისაგან განთავისუფლებული მდინარე.

სურათში არ არის „გმირები" ამ სიტყვის ჩვეულებრივ მნიშვნელობით; აქ მთელი მასალა გმირია; ამიტომ არის, რომ დამარცხებულ დემონსტრაციის და დროშით ხელში განგმირულ დედა შვილის სურათი არ ქმნის ჩვეულებრივ სასოწარკვეთილების განწყობილებას.

სურათში მიღწეულია როგორც მთლიანი მწყობრი განვითარება დრამატიულ სიუჟეტის, ისე მისი პლასტიურ სახეებში ჩამოსხმა.

რა ძლიერია თავისი მხატვრული დამარწმუნებლობით სცენა მამა—ვლასოვის სახლში დაბრუნების, ოჯახური ტრაღედია, კოშმარული სცენა ვლასოვის მოკვლისა, სცენა სამიკიტნოში, შავრაზმელები უცხვირპირო დეგენერატულ სახეებით; თვითეული უმნიშვნელო ფიგურაც კი თითქოს არა ჩვეულებრივის გულმოდგინეობით არის შერჩეული.

დედა (ბარანოვსკაია), — რამდენი უენო ტანჯვაა ამ გაქვავებულ სახეში, როცა ის ქმრის კუბოს უზის, რამდენი სიყვარული და თავდადებაა სახეზე შვილის უნებურად გაცემის სცენაში, როგორი მარტივი და სადა დროშით ხელში.

კარგია შვილი ჩისტიაკოვი.

მშვენიერია ალკოჰოლიკი ვლასოვი, განსაკუთრებით შინ დაბრუნების სცენაში.

სურათს ამჩნევია გამოცდილ ოპერატორის ხელი, კარგადაა გადაღებული ქარხნის ფასადები მდინარე, სცენების განწყობილების შესაფერისი ბუნება და სხვა;

სურათი „დედა" მორიგი გამარჯვებაა ჩვენი ეკრანის და ახალგაზრდა რეჟისორის, რომელმაც პირველ დადგმაშივე შესძლო იდეოლოგიურად გამართლებული და მხატვრულად დასრულებული ფილმის შექმნა.

ზ.

გლეხური სახლები

შინაგან საქმეთა სახ. კომისარიატის კომუნალურ განყოფილებასთან ახლო ხანში შესდგება განსაკუთრებული თათბირი სასოფლო, გლეხური ტიპის სახლების გეგმების გამოსამუშავებლად.

თათბირის მიერ გამომუშავებული გეგმები. იწარმოებს სოფლებში ახალი სახლების აშენება. გეგმებს გამოიმუშავებენ გლეხ-მეურნესათვის საჭირო ყოველი სახის შენობისათვის, როგორც მაგალითად, საცხოვრებელი სახლის, ბეღლებისას, ბოსლებისას, საბძელისას და სხვ.

კრედიტები

საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ბანკმა ამიერ-კავკასიის სას.-სამ. ბანკებთან დასდო ხელშეკრულება, 1926—27 წლის პირველ მეოთხედში კრედიტის გახსნის შესახებ.

ამ ხელშეკრულების თანახმად, საქართველოს ბანკმა ამ პერიოდში უნდა მიიღოს 416.000 მანეთი.

ამ თანხიდან მუშა-საქონლის შესაძენად გაცემული იქნება 25.000 მან., მოკლევადიან სესხის სახით. სასოფლო-სამეურნეო მანქანების და იარაღების შესაძენად—30.000 მან. გრძელვადიან სესხის სახით; ტრაქტორების შესაძენად—30.000 მან. გრძელვადიან და 50.000 მან. მოკლევადიან სესხების სახით. მავნებლებთან საბრძოლველ საშუალებათა შესაძენად—50.000 მნ., მოკლევადიან სესხის სახით.

სუბტროპიკულ კულტურათა განსავითარებლად—10.000 მან., გრძელვადიან სესხის სახით.

მესაქონლეობის დარგში ვაიცემა: 13.000 მან. გრძელვადიან და 25.000 მან. მოკლევადიან სესხის სახით ჯიშიან საქონლის შესაძენად და ცხენთსაშენისათვის, 15.000 მან. (მოკლევადიანი სესხი)—მეცხვარეობისათვის და 40 ათასი მანეთი აბრეშუმის თესლის დასამზადებლად.

სასოფლო-სამეურნეო მრეწველობას მოხმარდება: 30.000 მან. რძის მეურნეობისათვის და 46.000 მან. მეღვინეობისათვის., ორივე დარგს სესხები მიეცემათ მოკლე ვადით.

განსაკუთრებულ დანიშნულების საშუალებათაგან ცალკე საბჭოთა მეურნეობებს მიეცემათ 27.000 მან., მოკლე ვადით.

იურიდიული რჩევა-დახმარება

როგორ მოვიქცე და ვის მივმართო, რომ ჩემი უფლებები არ დაირღვეს

კითხვა

1922 წელში თბილისის აღმასკომის საადმშენებლო კომისიამ მე მომცა ცარიელი მიწა (მე-11 სამ. უბ. ქ. თბილისისა მესამე ხაშურის შესახვევში). ამის შემდეგ მიწა შევღობე ფიცრული ღობით და ჩავდგი ორი ფიცრული ფარდული საჭიროების ადგილით, მოვაშენე ვაზი და ხეხილები და აგრეთვე სახლის ასაშენებლად შევიძინე 18.000 ცალი აგური და დავაწყვე აღნიშნულ მიწაზე. დღემდე გავსწიე შრომა და ხარჯი; მეგონა რომ ავაშენებდი ჩემთვის და ჩემ ოჯახისთვის თავშესაფარად პატარა სახლს, მაგრამ ამ ბოლო დროს ვიღაც სულხანაშვილმა დაანგრია ჩემი ფიცრული ღობე და ყოველ ღონიძიებას ხმარობს ჩამომართვას მე აღნიშნული მიწა, რომლის შემდეგ ჩემი შრომა, ამაგი და ხარჯები მეკარგება. ეს კი ჩემთვის, უბრალო რკინისგზელი მუშისთვის, რომელსაც გარდა ფიზიკური შრომისა სხვა რაიმე ცხოვრების წყარო არ გამაჩნია, მეტად მძიმეა.

გთხოვთ მომცეთ დარიგება, თუ როგორ მოვიქცე, რომ ჩემი უფლებები არ იქნეს უხეშად დარღვეული.

თბ. რკინის გზის მთავარ სახელოსნოს მუშა
ხ. შალამბერიძე.

პასუხი

თანახმად მიწის კოდექსის მუხ. 21-ის, მიწის მოსარგებლეს (ამ შემთხვევაში თქვენ) არსებული კანონების მიხედვით აქვს უფლება: ა) გამოიყენოს და ისარგებლოს მიწა ისე, როგორც თვითონ დაინახავს საჭიროდ და ბ) ააგოს შენობები, მოაწყოს ნაგებობანი და გამოიყენოს მეურნეობისა და სახიჯაო საჭიროებისათვის.

მიწის მოსარგებლეს (ამ შემთხვევაში თქვენ) არა აქვს უფლება თავის მიწაზე ააშენოს, მოაწყოს ან და მოიმოქმედოს ისეთი რამე, რითაც (იგი) დაარღვევს მეზობელი მიწის სარგებლობათა არსებით ინტერესებს.

თუ კი მიწის მოსარგებლის საადგილ-მამულო უფლება დარღვეულ იქნა (უკანონოდ) ან და მის მეურნეობის საქმეში ვინმე უკანონოდ ჩაერია, მაშინ მან (მიწის მოსარგებლემ) უნდა მიმართოს სახალხო სასამართლოს მისი უფლებების აღსადგენად. (იხ. მიწ. კოდექსის მუხ. 25).

ანდერძის ქაღალდით ქონების გადაცემა შესაძლებელია თუ არა?

კითხვა

მე მომიკვდა და, რომელსაც შვილი არ დარჩენია. მან დასტოვა ანდერძის ქაღალდი, რომ მამაჩემის მიერ მისთვის გაცემული მზითევი გადმომეცემოდა მე.

მეკუთვნის თუ არა ანდერძით გადმოცემული ქონება.

ნატალია ბარძიმაშვილისა.

პასუხი

კანონით, ქონების დამკვიდრება შეიძლება ყველა შემთხვევებში თუ კი ის (დამკვიდრება) შეცვლილი არ არის ანდერძით. (იხ. სრულ. საქ. ცაკის და სახკომსაბჭოს დადგენილება № 85 1926 წ. ივლისიდან და სამოქ. სამართ. კოდექსის მუხ. 419). კანონით მემკვიდრეებად ითვლებიან პირდაპირი შთამომავალნი (შვილები და შვილიშ-შვილები). გარდაცვალებულის ცოცხალი მეუღლე და შრომის უნარს და ქონებას მოკლებული პირი, რომელსაც გარდაცვალებული ფაქტიურად და მთლიანად ინახავდა თავის სიკვდილამდე ერთ წელიწადზე არა ნაკლებ. (იხ. სამ. სამართ. კოდ. მუხ. 418). მოანდერძეს აქვს უფლება გადასცეს თავისი საკუთარი ქონება (მაგ. სახლის მოწყობილობა ფუფუნების საგნების გამოკლებით, თვით სახლი, თუ კი იგი მუნიციპალიზაცია ან ნაციონალიზაცია ქმნილი არ არის) იმ პირს, ვისაც ანდერძით მემკვიდრეთ აღიარებს მეანდერძე. (იხ. იგივე დადგენილება გამოქვეყ. გაზ. „კომუნისტი"-ს № 160—1705 1926 წ. 15 ივლისიდან) თქვენი დის მზითევი, რომელიც თქვენთვის ნაანდერძევია, უდავოდ გეკუთვნით თქვენ და ფაქტიურადაც უნდა გადმოგეცეთ. თუ კი ვინმე ხელს გიშლით იმის მიღებაში, მიმართეთ სასამართლოს. (იხ. სამ. სამ. კოდ. მუხ 427).

ოფიციალური განყოფილება

დადგენილება

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოსი

აზარტიანი და უაზარტო თამაშობისათვის საწარმოთა გახსნისა და მათთვის ზედამხედველობის გაწევის წესის შესახებ.

საქართველოს ს.ს.რ. სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. უაზარტო თამაშობისათვის (ბილიარდი, კეგლი, ნარდი და სხვა) საწარმოს გახსნა ან აღნიშნული თამაშობის მოწყობა უკვე არსებულ ან ახლად გასახსნელ საწარმოში (კაფე, რესტორანი), აგრეთვე საჯარო გასართობის (კარუსელი, საქანელა და სხვ.) მოწყობა—ქ. თბილისში და მის მაზრაში—შეიძლება თბილისის აღმასრულებელი კომიტეტის ადმინისტრატიული განყოფილების ნებართვით, ხოლო საქართველოს ს.ს.რ. სხვა ადგილებში—სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის ნებართვით.

2. ქაღალდისა, ლოტოს და სხვა აზარტიანი თამაშობისათვის საწარმოს გახსნის ნებართვა მიეცემა მხოლოდ იმ დაწესებულებას და ორგანიზაციას, რომელსაც, საქართველოს ს.ს.რ. სახალხო კომისართა საბჭოს განსაკუთრებული დადგენილებით, აღნიშნული საწარმოს გახსნის უფლება მინიჭებული აქვს თავისი სახსარის გაძლიერების მიზნით.

3. ზედამხედველობა ამა დადგენილებაში აღნიშნულ საწარმოთა მიერ ყველა საამისოდ არსებული წესების შესრულებისათვის დაევალება მილიციის ორგანოებს.

4. შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს დაევალება, ფინანსთა კომისარიატთან შეთანხმებით, გამოსცენ ინსტრუქცია ამა დადგენილების შესაფარდებლად.

საქართველოს ს.ს.რ. სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე—
ხ. პ. ჯულელი.

საქართველოს ს.ს.რ. სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი **ალ. ხალარიძე.**

1926 წ. ნოემბრის 18.
თბილისი სასახლე.

დადგენილება № 25/73

ა.-კ. შინა-ვაჭრობის სახკომის რწმუნებულისა საქართველოში

1926 წ. ოქტომბრის 6

შაბიამან „მაკლსფელდ"-ზე ფასების დაწესების შესახებ

თანახმად ა.-კ. შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატს ა. წ. ოქტომბრის 5-ი დადგენილებისა, № 52—108 და გასაუქმებლად ა.-კ. შინა-ვაჭრობის სახკომის რწმუნებულის 1925 წ. მაისის 12-ს დადგენილებისა, № 34, ა.-კ. შინა-ვაჭრობის სახკომის რწმუნებული საქართველოში ადგენს:

§ 1.

დაწესებულ იქნეს შაბიამან „მაკლსფელდზე" შემდეგი საბითუმო საგასაცემო ფასი „ა.-კ. სასოფლო - სამეურნეო მანქან. ტრესტისა" („ზაკსელმაშ") და საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ბანკისათვის მისი გაცემის დროს სახელმწიფო სავაჭრო ორგანიზაციებისა და ნაციონალურ კოოპერატიულ ცენტრებზე—1 კილოგრამი ფრანკო—რონოდა—ბათომი—34,8 კაპ. და კერძო პირთათვის—1 კილოგრამი 35,7 კაპ. ბრუტტო—როგორც ნეტტო.

§ 2.

დაწესებულ იქნეს შაბიამან „მაკლსფელდზე" შემდეგი საბითუმო საგასაცემო ფასები „ა.-კ. კოოპერატიულ კავშირისა" („ზაკსოიუზ"). ნაციონალურ კოოპერატიულ ცენტრებისა, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ბანკისა და „ა.-კ. სასოფლო-სამეურნეო მანქანათა ტრესტისათვის" („ზაკსელმაშ")—მისი გაცემის დროს ძირითად კოოპერატივებზე,—1 კილოგრამი ფრანკო—რონოდა ბათომი—35,7 კაპ. ბრუტტო, როგორც ნეტტო.

§ 3.

ძირითადი კოოპერატივების საგასაცემო ფასი შაბიამანი „მაკლსფელდი"-სა მისი გაცემის დროს უშუალოდ მომხმარებელ—გლეხობაზე, გამოანგარიშებულ უნდა იქნეს შემდეგნაირად. შაბიამანის თვითღირებულებას ფრანკო—რონოდა ბათომი უნდა მიემატოს 1) 12 პროცენტი კოოპერატივის საორგანიზაციო და სხვა ხარჯების, აგრეთვე დანაფანტის დასაფარავად და 2) ის ნამდვილი ხარჯები, რაც კოოპერატივს ამ შაბიამანის გაყიდვის ადგილამდე გადაზიდვა დაუჯდება.

§ 4.

შაბიამანი „მაკლსფელდის" გაყიდვა „ა.-კ. სასოფლო-სამეურნეო მანქანათა ტრესტის" („ზაკსელმაშ") თბილისის მაღაზიიდან ძირითადი კოოპერატივებისა და სახელმწიფო სავაჭრო ორგანიზაციებისათვის უნდა სწარმოებდეს შემდეგ ფასებში: 40 კაპ. ერთი კილო, ხოლო კერძო პირთათვის—41,2 კაპ. ერთი კილო.

ფასები იანგარიშება ბრუტტო—როგორც ნეტტო.

§ 5.

ა.-კ. შინა-ვაჭრობის სახკომის რწმუნებულის წარმომადგენლებს რესპუბლიკებში, რომელნიც შედიან საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკაში და ყველა ადგილობრივი აღმასკომის შინა-ვაჭრობის კომისიას ევალება ფხიზლად ადევნოს თვალყური ამა დადგენილების ცხოვრებაში გატარებას.

§ 6.

ამა დადგენილების რამღვევნი პასუხისგებაში იქნებიან მიცემულნი თანახმად რესპუბლიკის სისხლის სამართლის კანონებისა.

§ 7.

დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

ა.-კ. შინა-ვაჭრობის სახკომის რწმუნებულის მაგიერ **ბერელაშვილი.**

საქმეთა მმართველი **აბესაძე.**

წერილი რედაქციის მიმართ

გთხოვთ ადგილი დაუთმოთ „კომუნისტი"-ს ფურცელზე შემდეგს ღია წერილს.

1919 წლიდან მე ფაქტიურად შევწყვიტე მუშაობა საქართველოს სოციალისტ-რევოლიუციონერთა პარტიაში. — ხოლო საქართველოს საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადების შემდეგ გამოვედი პარტიიდან ფორმალურათაც (მე ვეკუთვნოდი პარტიის მემარჯვენე ფრთას). თუმცა პარტიის გარეშე მყოფი. მე, როგორც მემარჯვენე სოც.-რევოლიუციონერი, განწყობილი ვიყავი საბჭოთა ხელისუფლების მიმართ მტრულად. მაგრამ საბჭოთა სინამდვილესთან უფრო ახლოს გაცნობა-[illegible] მარწმუნებს კიდევაც, იმაში, რომ ჩვენში ძლიერი აქვს სოციალისტურ აღმშენებლობის [illegible] პროცესს, კულტურულ და ეკონომიურ აღორძინებს.

ჩემთვის აშკარად შეიქნა, რასაც ამ წერილით ვაღიარებ, რომ საბჭოთა ხელისუფლება არის გამომხატველი მუშათა კლასის და ამასთანავე მთელი მშრომელი მასის სწორეთ გაგებულ ინტერესებისა, როგორც სოციალ-პოლიტიკურ, ისე ეროვნულ სფეროში.

ქ. ჯავრიშვილი.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

საქართველოს კომუნისტურ პარტიის თბილისის ორგანიზაციის **ქალაქის რაიკომი** წინადადებას აძლევს ქვემოთ ჩამოთვლილ ამხანაგებს. რათა დღეს, 25 ნოემბერს, დღის 10 საათიდან 3 საათამდე გამოცხადდენ ქალაქის რაიკომის სააღრიცხვო-განმანაწილებელ განყოფილებაში ამხ. ეგოროვთან:

დეკანოზოვი არიანდა, ბერიძე პავლე, თელაძე ლადო, კსოვრელი გიორგი, ქორიძე სოფიო, ლაკვა ივანე, კონონხკი ვერა, მიქაძე ილია, პელიძე მიხეილ, მელქონია არტაშეს და კიპრიზოვა ოლღა.

კომკავშირის ქალაქის რაიკომი იტყობინება, რომ დღეს, 25 ნოემბერს, საღამოს 6 საათზე რაიკომის შენობაში **მოწვეულია აგიტპროპკომისიების თათბირი.**

დასწრება ყველა აგიტპროპების და უჯრედის აგიტ-პროპკომისიის წევრებისა სავალდებულოა.

საქართველოს კომუნისტურ პარტიის (ბ) თბილისის ორგანიზაციის **მე-2-რე რაიკომი** იტყობინება, რომ დღეს 25 ნოემბერს, საღამოს 5½ საათზე, ცენტრალურ მუშათა კლუბში ტარდება მე-2-ე რაიონის შემდეგი უჯრედების ჯგუფური კრება.

ტრამვაი, არსენალი, მუშკოოპი, მეფურნეები, ცეკავშირი, სახ. მეურნეობის უმაღლესი საბჭო, ტრამვაის ელექტრ. სადგური, სახელმწიფო მედ. ვაჭრობა, დამზღვევი სალარო, შერეული ქართული სკოლის, მე-2-რე არტილ. პოლკის და განათლების მუშაკთა.

კომუნისტურ პარტიის ყველა წევრების და კანდიდატების დასწრება სავალდებულოა.

ხუთშაბათს 25 ნოემბერს, საღამოს 6 საათზე ს. კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტის შენობაში **შესდგება ორგ-კოლეგიის სხდომა;** დასწრება ქვემოთ აღნიშნულ ამხანაგებისა სავალდებულოა:

ლოლობერიძე,—(ს. კ. პ. (ბ) ც. კ.), მაშკევიჩი,—(ს. კ. პ. (ბ) ც. კ.). ინსტრუქტორები: ჯაფარიძე ალ., ჯავახია, გობეჯიშვილი, აკოპოვი, ეუეიკაშვილი, ინფორმატორები: ვოლხოვსკი, მისკინი, ჯვარშეიშვილი, ენუქიძე, მარტიროსოვი, ლიცინოვი, ჯაფარიძე, ესაიანი, ჩერქეზიშვილი, დელიბაში, საყვარელიძე, ხაცკევიჩ, ფანცხავა, მელნიკოვი, შოგირაძე, ჩალიანი, ჯავახიძე, სიხარულიძე, პეტროვი, ქუჩულორია, იმედაძე, თათარიშვილი, მოწვეულია ამხ. მათიკაშვილი (შინსახკომიდან).

ს. კ. პ. ლენინის რაიკომი იუწყება, რომ 25 ნოემბერს საღამოს სრულ 6 საათზე, პლეხანოვის კლუბთან არსებულ ყოფ. წიგნთ-საცავში (სამკითხველო) მოწვეულია ქალთა ორგანიზატორების თათბირი, მიმაგრებულ ამხანაგებისა, კომუჯრედების მდივნების და მცირე წლოვან ქალთა ორგანიზატორების თანდასწრებით. დღის წესრიგშია: პარტიული მუშაობა მუშა და გლეხ ქალთა შორის.

ს. კ. პ. ცენტრ. საკ. კომისია წინადადებას აძლევს ამხ. **გრიგოლ მაღრაძეს**, 25 ნოემბერს გამოცხადდეს საკონტროლო კომისიაში. (რუსთ. 24, მესამე სართული. ოთახი № 9).

საქართველოს კომუნისტ. პარტიის თბილისის ორგანიზაციის **ქალაქის რაიკომი** იტყობინება, რომ დღეს 25 ნოემბერს, საღამოს 6 საათზე, რაიკომის საორგანიზაციო განყოფილების შენობაში **შესდგება მუშათა უჯრედების მდივნების თათბირი,** სამხედრო უჯრედების წარმომადგენლების თანდასწრებით.

სახ. უნივერსიტეტის ა. ლ. კ. კ. ბიურო-კოლექტივი იტყობინება, რომ დღეს, 25 ნოემბერს, საღამოს 8 საათზე მოწვეულია ცალკე ფაკულტეტებთან არსებულ უჯრედების კრება.

კომკავშირის ყველა წევრების და კანდიდატების გამოცხადება თავიანთ უჯრედის კრებაზე სავალდებულოა.

საქართველოს კომუნისტურ პარტიის (ბ) თბილისის ორგანიზაციის პროპაგანდისტთა კურსების ქართული ჯგუფის მეცადინეობა შესდგება. დღეს, 25 ნოემბერს, საღამოს 6 საათზე, აგიტ-პროპ მუშაკის ცენტრალურ კაბინეტში. (რუსთაველის თეატრის შენობა, შესასვლელი ეზოდან, მესამე სართული).

საქ. ახ. ლენ. კომკავშირის თბილისის კომიტეტი იუწყება, რომ დღეს, 25 ნოემბერს, დღის 1 საათზე, თბილისის კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილების შენობაში **შესდგება საორგანიზაციო კოლეგიის სხდომა.**

თბილისის კომიტეტის საორგანიზაცო კოლეგიის ყველა წევრების დასწრება სავალდებულოა.

საქ. ახ. ლენ. კომკავშირი იუწყება, რომ ხუთშაბათს, 25 ნოემბერს დღის სრულ 2 საათზე შესდგება **თბილისის კომიტეტის მიმღები კომისიის სხდომა.** სავალდებულოა დასწრება იმ კომკავშირის ყველა კანდიდატების, რომელთა ანკეტები მიმღებმა კომისიამ უნდა გაარჩიოს.

საქ. კომუნისტურ პარტიის ცენტრალური საკონტროლო კომისია წინადადებას აძლევს ამხ. **ვ. ბერბერაშვილს,** რათა 25—26 ნოემბერს გამოცხადდეს საკონტროლო კომისიაში. (რუსთაველის პროსპექტი № 24, მესამე სართული, ოთახი № 9).

საქ. კ. პ. ცენტრ. საკ. კომისია წინადადებას აძლევს ამხ. **იონა ვაკელს** 25 ნოემბერს გამოცხადდეს საკონტროლო კომისიაში. (რუსთ. პრ. 24. მეს. სართული. ოთახი № 9).

საქ. კ. პ. ცენტრ. საკ. კომისია წინადადებას აძლევს ამხ. **თომა ფოცხიშვილს,** 25 ნოემბერს გამოცხადდეს საკონტროლო კომისიაში (რუსთაველის პრ. 24. მესამე სართ. ოთახი № 9).

ს. კ. პ. ცენტრ. საკ. კომისია წინადადებას აძლევს ამხ. **ალექსანდრე პეტრაიდის** 25—26 ნოემბერს გამოცხადდეს საკონტროლო კომისიაში. (რუსთაველის პროსპ. № 24. მესამე სართ. ოთახი № 9).

ს. კ. პ. ცენტრ. საკონტრ. კომისია წინადადებას აძლევს ამხ. **თედორე სოლომონოვს,** 25—26 ნოემბერს გამოცხადდეს საკონტროლო კომისიაში (რუსთაველის 24. მესამე სართული ოთახი № 9).

ღრმად დამწუხრებულნი: დედა ქრისტინე, მეუღლე მარუსია, შვილი ბორია, ძმები—კოსტა, დათა, გიორგი, ილიკო, დაი ანიჩქა და სიძე ილია ევკალიდი, რძლები ნინა, მარო, ზინა და კატო, და ძმისშვილები აუწყებენ ნაცნობთ ნათესავებს მათი უსაყვარლეს და ძვირფას

აკაკი ლევანტის-ძე წილოსანის

ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაცვალებას. დასაფლავება ძოხდება ქ. ლანჩხუთში, ხუთშაბათს, 25 ნოემბერს 1926 წ.

690

დაუსრულებელ მწუხარებაში მყოფნი მშობლები—მატრონაე და ლომინ, ბებია ეთერი, და ანიჩქა, ბიცოლა ვერა, ბიძაშვილი თამარა და მამიდები შვილობით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ შაბათს, 27 ნოემბერს, დღის 12 საათზე, სოფელ ბახვში (გურია) გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი ჩვენი დაუვიწყარი

თედორე ლომინის-ძე ანთაძის

გარდაცვალებიდან 1 წლის შესრულების გამო. ნ. 263

სახელმწიფო დრამა

რუსთაველის თეატრის დირექცია ამით აცხადებს, რომ თანახმად ხელოვნების განყოფილების განკარგულებისა

გაუქმებულია

ამა წლის 25 ნო. მბრიდან

ყველა მუდმივი სეზონის ბილეთები

გაცემული მიმდინარე სეზონში დირექციის მიერ

ნ. 267 დირექცია

სახელმწიფო ოპერა

დღეს, 25 ნოემბერს **კარმენ**

ვოლჩანეცკაიას, მოზოვეცკაიას, ქუმსიაშვილისა და დოლონაძის მონაწილეობით. დირიჟორი—დამსახ. არტისტი სტოლერმანი

პარასკევს, 26 ნოემბერს, პრემიერა **თავადი იგორი**

ბოგოლეპოვას, დამსახ. მსახ. სკუბიცკაიას, კანცბურგის, ქარცივაძის, მესხიევის და შარაშიძის მონაწ. დირიჟ. სახ. არტ. ი. ფალიაშვილი

ნ. 264

სახელმწიფო დრამა

დღეს, 25 ნოემბერს

უილ. შექსპირის

ჰამლეტ

თარგმანი ივ. მაჩაბლის. მუსიკა პ. ჩაიკოვსკის

ჰამლეტ—უშანგი ჩხეიძე

დადგმა კ. მარჯანიშვილის და ალ. ახმეტელის

დეკორაციები ირ. გამრეკელის

სამხატვრო ნაწილის გამგე და მთავარი რეჟისორი ალ. ახმეტელი.

3—3 ნ. 251

აპოლო
არფასტო
სოლეი
დარბაზი
(ყოფ. გლობუსი)
ნ. 157 0—20

საუკეთესო სურათი უკანასკნელად თბილისში
რობინ გუდ
დუგლას ფერბენქსის მონაწილეობით

პირველად თბილისში
სიყვარულის სიმღერა
კინო-პოემა 7 ნაწ. ნატ. კოვანკოს მონაწილეობით

საუკეთესო სურათი **დედა** რეჟ. ვ. პუდოვკინი
სურათი გამოშვებულია „მეჟრაბპომრუს"-ის მიერ

მეტად საუკეთესო ფრანგული კინო-რომანი
ა, დიუმას რომანის მიხედვით
გრაფი მონტე-კრისტო
6 სერიად (1 და 2 სერია ერთად)
ანონსი: ჩქარა „სამანიშვილის დედინაცვალ"

მოწაფეთა საყურადღებოთ
გამოვიდა და იყიდება
ც. ი. მიხალევსკის
„პოლიტიკური ეკონომიის დაწყებითი კურსი"
(ქართულ ენაზე)
მისამართი: გაზ. „კომუნისტის"-ს მთავარი კანტორა, რუსთაველის პროსპექტი № 34

თბილისის აღმასკომის ცენტრალური განყოფილება

აცხადებს, რომ 1926 წლის 29 ნოემბერს დღის 12 საათზე თბილისის აღმასკომის შენობაში ოთახში № 324 დანიშნულია

საჯარო ვაჭრობა

წყალის შემკრები არხის გასათხრელად მიწის სამუშაოების იჯარით გასაცემად სუნჟენის რაიონში, კუკის სასაფლაოს გაღმა. მუშაობის საერთო რაოდენობა—3000 კუბ. საჟ. მიწის ამოთხრა.

ვაჭრობაში მონაწილეობის მიღების მსურველთ შემოაქვთ განცხადებები დახურულ კონვერტებში ვაჭრობის დაწყებამდე. ტეხნიკური განყოფილება იტოვებს ზეპირი ვაჭრობის უფლებას წერილობით განცხადებების გახსნის შემდეგ.

მუშაობის პირობებთან გაცნობა შეიძლება ყოველდღე ოთახში № 332 დილის 11-დან დღის 2 საათამდე.

კომუნალური მეურნეობის ტეხნიკური განყოფილების გამგე—ინჟ. ლეჟავა.
კეთილმომწყობ. ქვეგანყოფილების გამგე—ინჟ. ქურდიანი.
ნ. 268.

ქ. თბილისის შრომის სასამართლოს აღმასრულებელი გრ. ა. დანელია

ამით აცხადებს, რომ ის 29 ნოემბერს 1926 წლ. დღის 1-ლ საათზე სახლში № 13 ნიკოლოზის მოედანზე **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის მოქ. დავით ომაროვის მოძრავ ქონებას: სხვადასხვა გემოს სასმელებს 400 ბოთლით 1 | 40 და 300 ბოთლი 1 | 20. შეფასებულს 550 მანეთად, სურსათ გემოკვების კავშირის ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქალ. თბილისის შრომის სახალხო სასამართლოსაგან 15 ოქტ. 1926 წ. თარიღით № 3831 გაცემულ აღსრულებულ ფურცლისა. 687

ქ. ფოთის სახალხო სასამართლოს აღმასრულებელი პ. კობალაძე

აცხადებს, რომ 1 დეკემბერს 1926 წელს 11 საათზე, გაყიდის სახალხო სასამართლოს დარბაზში გადატანის უფლებით პავლე გვასალიას კუთვნილი ცირკის შენობას აშენებული ყავრით დახურული ყავრით ორი განყოფილებით აგებული ქალაქის მიწაზე ბულვარის მახლობლად შეფასებულია 150 მან. (ქალ. ფოთის აღმასკომის 571 მან. 25 კაპ. ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქალ. ფოთის სახალხო სასამართლოსაგან 12 ივნისს 1926 წელს თარიღით № 2611 გაცემული აღმასრულებელი ფურცლისა. ნ. 262

გაზ. „კომუნისტი"-ს ხელისმომწერთა საყურადღებოთ

გაზ. „კომუნისტი"-ს მთავარი კანტორა **დაბეჯითებით სთხოვს,** ხელისმომწერლებს, რომ იმ შემთხვევაში, როდესაც საჭირო მისამართებში ცვლილებების შეტანა ან სრულიად გამოცვლა, პროვინციის ხელისმომწერლებმა გამოგზავნონ ის მისამართი, რომლითაც გაზეთს იღებენ, ხოლო თბილისელებმა აუცილებლად წარმოადგინონ ის ქვითარი (ან ქვითარის №-რი). რომელიც მიღებული აქვთ „კომუნისტი"-ს კანტორიდან ხელის მოწერის დროს.

წინააღმდეგ შემთხვევაში ყოველგვარი კორესპონდენცია, მისამართებთან დაკავშირებული, უყურადღებოთ იქნება დატოვებული.

ხარჯების დასაფარავად, მისამართების შეცვლის მსურველები მოვალენი არიან წარმოადგინონ კანტორაში 25 კაპ. 0—1 უფ. მთავარი კანტორა

გორის უბნის სახ. სასამ. აღმასრ. გ. ი. ტლაშაძე

ამით აცხადებს, რომ 29 ნოემბერს 1926 წ. დილის 10 საათზე, ადგილობრივ ქ. გორში, კუთხის ქუჩაზე, დანიშნულია მოქალაქე იაკოფ მოსეს-ძე მეჩითოვის ქონების **საჯარო ვაჭრობა** ქონება შეიცავს: სხვადასხვა სახლის ავეჯეულობას და წვრილმანის დუქნის სხვადასხვა საქონელს: ტყავის ქამრებს, ღილებს, ქალის ჩულქებს, პრიაშკებს, კოჭის ძაფებს, გლუბოკის ძაფებს, სავარცხლებს და ბავშვის სხვადასხვა სათამაშოებს, სულ შეფასებულ 240 მან. თბილისის ქალაქის ბანკის გორის განყოფ. ვალის დასაფარავად თანახ. გორის უბ. სახ. სასამ. ბრძანებისა 13 ოქტ. 1926 წ. №№ 2460 და 2461. ნ. 266

ჭიათურის უბნის სახ. სასამართლოს აღმასრულებელი შ. ს. ლაბაძე

ამით აცხადებს, რომ 29 ნოემბერს 1926 წ. დღის სრულ 12 საათზე სოფ. სარქველეთ უბანში არის დანიშნული **საჯარო ვაჭრობით** გაყიდვა კარპე სამყურაშვილის ერთი ხის სახლის, რკინის ვაგონეტკის და სხვა მოძრავი გადასატან ქონების შეფასებული ყველა ხუთას სამი მან. დასაკმაყოფილებლათ ნიკოლოზ ბარათაშვილის ვალისა, თანახმად ბრძანებისა ჭიათურის სახ. მოსამართლისა 10 ნოემბერს 1926 წ. № 989. ნ. 264

ექ. ი. დ. თოფურიძე
კალინინის ქ. (ყოფ. ნიკოლოზის) № 33 იღებს ავადმყოფებს კანის, ვენერიული და სიფილისი (აგრეთვე სასქესო ორგანოთა მწვავე და ქრონიკული დაავადებით).
დილის 8—9 საათ.—საღამოს 4—8 ს 25—1

ექიმი ი. ი. ბერიშვილი
ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა
დილით 9—1 საათ., საღამოს 5—8 ს. ქალებისთვის ცალკე შესავალი. სასტუმრო „ნოე"-ს პირდაპირ მიხეილის შესახვევი, № 8. 25—1

ექიმი მ. ა. ლუკოვეცკი
სიფილისი, კანის და ვენერიული ავადმყოფობანი.
ავადმყოფების მიღება დილის 9 საათიდან—11 საათამდე და საღამოს 5 საათიდან—7 საათამდე, ქალების მიღება 11 საათიდან 12 საათამდე საპიორის ქუჩა, № 35 ყოფილი კადეტ. კორპ. უკან. 25—1

ექიმი ზ. ა. ტარუმოვი
დაბრუნდა და განაახლა **შინაგან და ბავშვთა** სნეულების ავადმყოფთა მიღება საღ. 5—7 საათამდე. ტრიბუნელის ქ. (ყოფ. სასამართლოს) 12 ტელ. 22—59,

მიხეილ გედევანიშვილის
სახელობის
სამკურნალო
საწოლებით
ელექტრონით და სინათლით
სამკურნალო კაბინეტი
ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყორღანოვის ქ., № 20 25—21

ექიმი ჯალალოვი
სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობანი, შეშხაპუნება „914". ტრიპერისა და მისი შედეგების წამლობა. მიღება დილ. 8—9 —საათამდე საღამოს 5—8 საათამდე. ქალების მიღება 2—3 საათ. მისამართი: კამოს ქუჩა, № 19 (ყოფ. დიდი მთავრის ქ.), ყოფ. ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. 25—16 25—5

ექიმი ა. ს. ფონ-ირტელი
პლეხანოვის პროსპექტი, № 10, (ვორონცოვის ხიდის მახლობლად, ყოფ. „ბო-მონდი").
გარდა საექიმო, სიფილისის და ქირურგიულ ავადმყოფობათა (სიმსივნეების, ბუასილის, სქესობრივი სისუსტე, ტრიპერის) სპეციალისტი. ავადმყოფების მიღება დილის 8 საათიდან 12 საათამდე და 4—7 საათამდე. 25—1

ქუთაისში
ექ. ა. მ. ასათიანმა
ლენინგრადის კლინიკაში გამგზავრების გამო ავადმყოფების მიღება შესწყვიტა
25—1 ქ. 379

სათვალეების მორგება
უფასოდ
ექიმ სპეციალისტის მიერ „სახმედვაჭრობის" ოპტიკურ განყოფილებაში დილის 1—5-დე. პლეხანოვის გამზირი № 106 (ყოფ. მიხეილის პროსპექტი) ტელ. 3—63. 25—1-

ექიმი
გ. ნ. ონანოვი
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულობანი, სქესობრივი სისუსტის ექიმობა
ავადმყოფების მიღება დილით 9 საათიდან 12 საათამდე, საღამოთ 5—8 ს-დე. ქალების 7—8 ს-დე. ელისაბედის ქუჩა, № 3.

ექიმი ნ. ა. ჯანდიერი
შინაგან, ბავშთა და ქალთა ავადმყოფობანი
ღებულობს 5—7 საათზე. სომხის ბაზარი № 3, თავისუფლების მოედნიდან მეორე სახლი 25—1

ა. ვ. მიქაბერიძე
პარიზში 1923 წელს დაამთავრა
„სილამაზის ინსტიტუტი"
მასაჟი სახის, კისრის, ხელების და სხ. ელექტრ. ორთქლის ვანები და ახალი ელექტრო-აპარატები კანის სილამაზის დასაცავათ.
ძნელაძის ქუჩა (ყოფ. საპიორის) 19 იღებს დილით 10-დან 2-დე და საღამოს 5—8-დე. შესასვლელი შესახვევიდან 25

სახელმწიფო უნივერსიტეტის
კბილის სნეულებათა კლინიკაში
პლეხანოვის პროსპექტი № 1 6), საღამოობით 4—6 საათამდის ავადმყოფები მიიღებიან უფასოდ. 12 5 | 1

პროფესორი
მ. წინამძღვრიშვილი
დაბრუნდა
და განაგრძობს შინაგან ავადმყოფთა მიღებას ყოველ დღე, გარდა კვირისა საღამოს 4 ნახ.—8 საათამდ კლ. ცეტკინის (ყოფ. ელისაბედის) ქუჩა № 7. ტელეფ. 14—56 13—

ექიმი არჩილ სავანელი
განაახლა ავადმყოფების მიღება
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი.
მიღება: დილით 7—9 ს. საღამოს 5—9 ს. ქალები 4—5 ს. მისამართი: კომუნალური ქ. № 59. მეხუთე კომისარიატის ახლოს. 25—1

ექიმი
მ. ს. არჯევანიძე
გადავიდა
ლენინის ქუჩა № 3 (ყ. მელიქ აზარიანცისა) სამეანო და ქალთა სნეულებით. დღის 2—4 სათ. და საღამოს 6—7

ექიმი ა. დ. შახბაზიანი
ქალთა, სამეანო და ქალთა საშარდო სნეულებათა ავადმყოფების მიღება ყოველდღიურათ საღამოს 5-დან 7 საათამდე; დუმბაძის ქ. 30 (ყოფილი გრილიამინოვის ქ.) 25—1

ყველასათვის ხელმისაწვდომი
სამშობიარო თავშესაფარი
ს. ივ. არარატოვისა
პრესის (ყოფილი დიდი ვანქის) ქ. № 6. სამშობიაროდ მიღება—25-დან 50 მანეთამდე. მშობიარობა და შემდეგ კვება 7 დღის განმავლობაში. ქალთა სნეულებებისათვის—2 მ. 50 კაპ.—4 მანეთამდე. 25—

ექიმი-ქალი
თოფურიძე-ფანიევა
იღებს ქალთა და საბებიო სნეულებით დაავადებულთ. საღამოს 5-დან 7 საათამდე.
მისამართი: ლადო დუმბაძის ქ. 10 (ყოფ. ველიამინოვის ქ. ერევნის მოედნის ახლოს) ტელ. 19—12. 25—1

ექიმი
ს. ი. ვოლოხი
განაახლა ავადმყოფების მიღება
ქალთა სნეულებანი და საბებიო ავადმყოფობანი. საღამოს 5—7 საათამდე ყოველდღე გარდა ხუთშაბათისა. 23—1 ყოფილი ბელგიის ქ. № 5.

თბილისის მაზრის სამხედრო კომისარიატი

ამით აცხადებს, რომ ა. წ. 18 ნოემბერს **დაიკარგა** აღნიშნულ კომისარიატის საღერბო (ლუქის) ბეჭედი. 692

დაიკარგა რკინის გზის პროფკავშირის წიგნაკი № 39075, რკ. გზის პირადობის მოწმობა № 203, მეტრიკული ბარათი № 491, სიღარიბის მოწმობა № 28 და ნარკვევი 4 წლის ნამსახურობის № 471, პავლე ალექსის-ძე გიორგობიანის სახელზე, ჩ. გ. ნ. 263

დაიკარგა პირადი საქმე ს.ა.ლ.კ. კავშირის, გაცემული მე-2 რაიკომის დიმიტრი მახვილაძის სახელზე, ჩ. გ. 689

დაიკარგა სარეგისტრაციო ბარათი შაქრო კორკოშვილის სახელზე, ჩ. გ. 686

დაიკარგა პირადობის მოწმობა თამარ ნიკოლოზის ასული მამულაშვილის სახელზე, ჩ. გ. 688

დაიკარგა საბინაო დავთარი ციციანოვის ქუჩა № 15—თოფურიძის სახლი, ჩ. გ. 691

აღმასკომის სტამბა, კამოს ქ. 68.